# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

შაბათი, 24 ივნისი, 2006 წელი.

№ 121 (5461)




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


ელექტრონული ფოსტა: sakresp@gol.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## SOS!

## უვიცობა და ამბიციურობა იმარჯვებს!

იხ. მე-3 გვ.

## სამიტიდან — რქებდადგმულ ქმრამდე

იხ. მე-2 გვ.

ნუ გავყიდით, მოვუაროთ საქართველოს!

## რას აპირებდნენ „ღობის ძირას“ გახსნილი ზოგიერთი კლინიკის ქირურგები...

იხ. მე-5 გვ.



## ყველა მეფეს კარის მასხარები ართობდნენ

იხ. მე-3 გვ.




გაუტიეს, მარა, რა გაუტიეს!

## ანსამბლი „რუსთავიც“ სომხური ყოფილა?!

იხ. მე-16 გვ.

## ასი არ იქნება?!

იხ. მე-10 გვ.

## თიანეთში ოჯახი ბავშვებიანად ამოხოცეს

იხ. მე-6 გვ.

## ⦾ კვირის თვალსაწიერი

# სამიტიდან რქებდადგმულ ქმრამდე

## სანამ განჯაში ჩახვალ, კარგად მიიხედ-მოიხედე



**მოგეხსენებათ, სანქტ-პეტერბურგში მიხეილ სააკაშვილთან შეხვედრის უმალ, რუსეთის პრეზიდენტი ჩინეთს გაემგზავრა.**

შანხაიში, ოფიციალური ღონისძიებების დასრულების შემდეგ, ბატონ პუტინს ჟურნალისტები მიუწვევია „ჭიქა ჩაიზე“ თავისთან, სასტუმროს ნომერში (ჩაი სახელად ერქვა, თორემ ღვინითა და ძეხვიანი ბუტერბროტებით გაუმასპინძლდა. ოღონდ, ბუნებრივია – არა ქართული ღვინით. თუმცა კი ჩინეთში ამას წინათ დიდი ამალით ყოფნისას ჩვენმა პრეზიდენტმა ისეთი პროპაგანდა გასწია, ქართული ნუნუა კონფუცის სამშობლოში რატომ ხუანხესავით არ უნდა მიედინებოდესძ. მთელი ორი საათი სხვადასხვა თემაზე უსაუბრიათ (ტელეეკრანების გარეშე! არადა, წარმოიდგინეთ, ჩვენმა პრეზიდენტმა მხოლოდ „გაზეთჩიკები“ მიიწვიოს ორსაათიან რანდევუზე და ტელეპიარზე არ თქვასძ, მათ შორის საქართველოს პრეზიდენტის შესახებაც. კერძოდ:

**– სააკაშვილთან ურთიერთობა გაგიძნელდათ? – ეკითხება ჟურნალისტი.**

**– არა. ის, რა თქმა უნდა, მძიმე კაცია (პუტინმა ჟესტებით უჩვენა, თითქოს სასწორით წონიდა საქართველოს პრეზიდენტსძ, მაგრამ პირადი თვალსაზრისით – არა.**

**– კმაყოფილი ხართ მოლაპარაკებით?**

**– მე საერთოდ ვცდილობ კმაყოფილი ვიყო იმით, რასაც ვაკეთებ.**

**– ღვინოზე ილაპარაკეთ?**

**– არა. ღვინოზე მათ კრინტიც არ დაუძრავთ. არადა 60 პროცენტი მართლაც ნაყალბევი იყო. ბოთლებში ნაგავი, ძონძები ეყარა.**

**–სააკაშვილმა გითხრათ, რომ დსთ-დან გასვლა უნდა?**

**– მე არ მიკითხავს, მას კი არ უთქვამს.**

**–სამაგიეროდ საქართველოს პრეზიდენტმა რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის ანექსიაზე ილაპარაკა.**

**–იგი ფიცხი კავკასიელი კაცია (პუტინმა აქცენტის იმიტირება გააკეთაძ, თქვენ ის „ააგდეთ“. საერთოდ საქართველოს შესახებ არის ერთი რამ, რაც ცოტამ თუ იცის. ამათ უნდოდათ კონტრაქტი დაედოთ ირანთან გაზის მიწოდებაზე. მათ შესთავაზეს 233-ად, ჩვენგან კი 110-ად იღებენ. ისე, ცუდი არ იქნებოდა ფხიზელი თვალით შეგვეხედა, რას წარმოადგენს რუსეთი საქართველოსთვის. მათი მხრიდან უხეში რიტორიკის მიუხედავად, ჩვენ ხომ იქ უტიფრად არ ვიქცევით.**

რამდენად მწყაზარად ექცევა რუსეთი საქართველოს, ეს საკითხის სხვა მხარეა. ახლა ამაზე არ არის ლაპარაკი.

მთავარი აქ ის არის, რომ რუსეთის პრეზიდენტი ძალზე გამჭვირვალედ „აპირაპირებს“ ციფრებს: 233 და 110! მიგვანიშნებს და თუ გამგები ხარ, გაიგე!

ერთი კია: სანქტ-პეტერბურგიდან დაბრუნების შემდეგ ბატონ მიხეილის რიტორიკა რამდენადმე შეიცვალა. ახლა „ლილიპუტინს“ აღარ ახსენებს (ჯერჯეროზით!ძ და რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობის აუცილებლობის შესახებ ლაპარაკობს დამტკბარი სახით (თუმცა ეს ხელს არ უშლის ენამჭევრად შეასხას ხოტბა საქართველოს გაუმაგებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ წინსვლას, კიდევ ერთხელ შეგვახსენოს, რომ მთელი მსოფლიო ჩვენ შემოგვნატრისძ.

ბოლო დღეებში, მას შემდეგ რაც გაცხადდა, რომ მას 5 ივლისს თეთრ სახლში იწვევენ (თანაც ვინ, თვით პრეზიდენტი ბუში!ძ ხმაში უფრო მეტი რიხი შეემატა.

რიხი ჩვენც, როგორც მოქალაქეებსაც შეგვემატა: კარგად გვეიმშნა სანქტ-პეტერბურგში „დიდი რვიანის“ სამიტის წინ ჩვენი პრეზიდენტის ვაშინგტონში მიწვევა. აბა, წარმოიდგინეთ: ჩასხდებიან ოვალურ კაბინეტში ბატონი ჯორჯი და ბატონი მიშა შინაურულად, დაიდგამენ თითო ბოთლ „საფერავს“ (როგორც ამბობენ, მისტერ ბუშმა ისევ „შაუბერა“ – ჩუმჩუმად ყლურწავს და ამის გამო შეიძლება ცოლი გაექცეს კიდეც. ჰმ, ჰმ, ჰმ, რა იცის ეს ზოგიერთმა პირველმა ლედიმ – დაკრავს ფეხს და გავარდება!ძ და მთელი საღამო საქართველოს ნათელ მომავალზე იჭუკჭუკებენ. მაგრამ გაირკვა: მხოლოდ მიხეილ სააკაშვილი როდი ყოფილა 5 ივლისს მიწვეული ამერიკის დამოუკიდებლობის დღესასწაულზე, გარე 12 სხვა პრეზიდენტიც. ისე რომ, შეიძლება გულითადი კუჭკუჭი ვერ მოახერხონ, მაგრამ მთლად წყალშიც ნუ ჩავუყრით, ეს მიწვევა მაინც საქმეა, რაღაცას ხომ მაინც გადაულაპარაკებენ ერთმანეთს ზეიმსა და ზეიმს შუა.

არადა ეს გადალაპარაკება საჭიროა.

ბატონმა მიხეილმა იმ დღეს იმედიანად გვითხრა, „დიდი რვიანის“ სამიტზე საქართველოს საკითხს განიხილავენო.

მგონი არ ყოფილა საქმე მთლად ასე.

„ვაშინგტონ პოსტი“ წერს: ბოლო კვირეების განმავლობაში „ანტიპუტინური დასავლური ფრონტი“ დაიშალა. ათიოდე დღის წინათ ნატოს მინისტერიალზე საფრანგეთმა და რამდენიმე ევროპელმა ქვეყანამ უარყო აშშ წინადადება, რომელიც საქართველოსთან დიალოგის გაფართოებას და ალიანსში უკრაინის შესვლისთვის გეგმის შედგენას ითვალისწინებდა. ვიცე-პრეზიდენტ ჩეინის ცნობილ გამოსვლას კი (რამაც ხზოს აღტაცება მოგვგვარა ამ ცოტა ხნის წინათ – **ა.ა.**ძ ნეგატიური რეაქცია მოჰყვა არა მარტო მოსკოვში, არამედ თვით დასავლეთ ევროპაშიც კი. მას ღიად აკრიტიკებენ ზედმეტად პროვოკაციული გამოსვლის გამო. თეთრი სახლის ადმინისტრაციაში აცხადებენ, რომ ისინი დღემდე ცდილობენ საქართველო და მოლდოვა „დიდი რვიანის“ სამიტამდე ჩართონ ამ ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის პროგრამაში, თუმცა წარმატების იმედი არა აქვთ. რუსეთი უფრო აგრესიულ და გათვლილ თამაშს თამაშობს და მოგებულიც რჩება. ქართველებს და მოლდოველებს ისღა დარჩენიათ, უყურონ როგორ ადლეგრძელებენ დასავლელი ლიდერები რუსეთის პრეზიდენტს იმ დროს, როცა მათი ღვინოების მიმართ რუსეთის ბოიკოტი და მათ ქვეყნებში მოსკოვის მხრიდან სეპარატისტების მხარდაჭერა სანქტ-პეტერბურგის სამიტის შეხვედრაზე არც განიხილებაო, – დაასკვნის „ვაშინგტონ პოსტი“.

აქედან ბევრი რამის პროგნოზირება შეიძლება.

და ეს პროგნოზი უნდა გაკეთდეს.

თორემ ისე არ მოგვივიდეს, ვახტანგ VI-ეს რომ დაემართა.

რუსეთის იმპერატორმა პეტრე პირველმა ვახტანგი 1722 წელს ირანზე სალაშქროდ მიიწვია. ქართლის მეფემ ჯარი შეჰყარა და განჯაში ჩავიდა, სადაც რუსთა ხელმწიფეს უნდა შეერთებოდა. მაგრამ სამი თვის ლოდინის შემდეგ იქიდან ამბავი მოუვიდა, წლეულს არა, გაისადო. ვახტანგი გააფთრებულ ირანს პირში შერჩა და სამეფო წააგო.

პერსონალიები გადავაადგილოთ: პეტრეს ნაცვლად ვაშინგტონი ჩავსვათ, ირანის ნაცვლად – რუსეთი...

ისე, რომ სანამ განჯაში ჩახვალ, კარგად მიიხედ-მოიხედე...

### შეკვეთილ ტერაქტს გადავურჩით, შეკვეთილ გამოთაყვანებას – ვერა

კარგა ხანია პოლიტიკური ტერაქტების თაობაზე არაფერი გვსმენია, და უცებ, ინებეთ, კინაღამ დეპუტატი კოკა დავითაშვილი არ გამოგვაცალეს ხელიდან?

ჩვენმა შინაგან საქმეთა სამინისტრომ პირდაპირ ელვის სისწრაფით გახსნა ეს წარუმატებელი ცდა. (ოღონდ რაც „გახსნა“ მაინცდამაინც დასტურ „ტერაქტის ცდა“ იყო?ძ ვანო მერაბიშვილმა გუშინწინ ცხინვალამდე მისდია „კვალს“.

ოღონდ, ესეც ვთქვათ: იმდენად განსაცვიფრებლად ბრიყვულად და არაპროფესიულად ირჯებოდა ქილერი (ამიტომაც უმალ აიღეს მისი გეშიძ, რომ ბევრს თავიდან ეჭვიც შეეპარა, ყველაფერი ეს მისტიფიკაცია ხომ არ იყოო. დეპუტატმა გესო ჯულელმა საქვეყნოდ განაცხადა, კოკა დავითაშვილს ჰალუცინაციები აქვსო (საერთოდ, ბატონ გესოს უყვარს თავდაჯერებული და სულსწრაფი განცხადებებიძ.

აღმოჩნდა, რომ კოკას ჰალუცინაციები არ ჰქონია. მაგრამ მიგზავნილი მკვლელის გამოუცდელობა (!ძ გვაფიქრებინებს: ძალები, ვინც მას ეს საქმე შეუკვეთა, ჩრდილოეთში კი უნდა ვეძიოთ, მაგრამ არა მაინცდამაინც რუსეთის უშიშროების ფედერალურ სამსახურში ან დაზვერვის მთავარ სამმართველოში. არ ჰგავს ეს მათ პროფესიულ ხელწერას. ერთი ორმა ისიც კი თქვა, ეს იგორ გიორგაძემ გამოილო ხელიო (რაკილა შევარდნაძეზე განუხორციელებელ ტერაქტებს გიორგაძეს აწერენ, ლოგიკის შესაბამისად, ეს წარუმატებელი ცდაც მას დაუკავშირესძ.

**ისე იმ „შემკვეთი“ ძალების“ ტვინში ჩამახედა და მომკლა: ან რამ მოაფიქრებინა, ან რამ დააგეგმინა.**

ასეა თუ ისე მიზანი კი აშკარად იკვეთება: თვალსაჩინო ოპოზიციონერის ლიკვიდაცია ბუნებრივად (!ძ გამოიწვევდა ხელისუფლებისადმი ეჭვსა და უნდობლობას, რასაც შეიძლებოდა ქვეყანაში ახალი კრიზისი მოჰყოლოდა. ოღონდ: კრიზისი აქამდე იმდენ რაღაცას უნდა გამოეწვია და არ გამოიწვია (თუნდაც პრეზიდენტის და მისი ნაზირვეზირების გასაშტერებელი განცხადებები და არანაკლებ გასაშტერებელი რეფორმები, „პრივატიზებები“ და „კორუფციის წინააღმდეგ“ ბრძოლაში დაშვებული შეცდომები ავილოთძ დიდი ეჭვი მეპარება, კოკა დავითაშვილის მოცილებას (ჯვარი სწერიაძ ახალი რევოლუცია მოჰყოლოდა.

**აბა, სხვა რა უნდა იფიქრო, იმის კვლევას ხომ არ დაიწყებ, ვინმე რქებდადგმული ქმრის შურისძიება ხომ არ იყოო...**

* * *

შეკვეთილ ტერაქტებს გადავურჩით, მაგრამ ფეხბურთით ხალხის შეკვეთილ გამოთაყვანებას – ვერა. „გამარჯვებულის ხალხის (თუ ხალხზე გამარჯვებულიძ ტელევიზია“ ისე მასირებულად გადმოდის იერიშზე, წინააღმდეგობას ვერ გაუწევ. გოგო-ბიჭები კი არა, მთელი პარლამენტი და სახელმწიფო კანცელარია აცუნდრუკეს (თუმცა, რა აცუნდრუკეს, სწორედ მათგან არ მოდის შეკვეთა, ხალხის ყურადღება ერთი თვით მაინც სხვა რამეზე, კერძოდ, ფეხბურთის მსოფლიო ჩემპიონატზე გადაიტანონ?ძ. პრეზიდენტი წავკისში დადის „ფანებთან“ ერთად მატჩების საყურებლად, პარლამენტის თავმჯდომარე კი მაისურზე წარწერით კეკლუცობს, იტალიაო.

**რა წავკისი და იტალია აგიტყდათ, ბატონო იმანო და ქალბატონო ამანო, ქვეყანა თავზე გვექცევა!..**

**ალეკო ასლანიშვილი**

## ⦾ ფაქტი

### ეუთოს თავმჯდომარე ცხინვალში ჩავიდა

**საქართველოში ვიზიტით მყოფი ეუთოს მოქმედი თავმჯდომარე, ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრი კარელ დე გუხტი გუშინ ცხინვალში ჩავიდა, სადაც სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლებთან შეხვედრებს გამართავს.**

მანამდე კი კარელ დე გუხტმა მოლაპარაკებები თბილისში გამართა, სადაც ერთ-ერთი საკითხი „სამხრეთ ოსეთის“ კონფლიქტი იყო. გუშინ დილიდან ეუთოს მოქმედი თავმჯდომარის ცხინვალში ჩასვლის საკითხი სათუო იყო, რადგან ცხინვალში ეუთოს ოფისი ოსურ მოსახლეობას ბლოკირებული ჰქონდა. ბოლო ინფორმაციით, ცხინვალში ეუთოს ოფისთან ოსურ სოფელ ზემო ფრისის მოსახლეობის საპროტესტო აქცია უკვე შეწყდა. აქციის მონაწილეები ეუთოს სოფლის მახლობლად ქართული პოლიციის საგუშაგოს გაუქმებაში დახმარებას სთხოვდნენ. „სამხრეთ ოსეთის“ ბეჭდვისა და ინფორმაციის კომიტეტის ინფორმაციით, ქართული მხარე აქციის მონაწილეებს დაჰპირდა, რომ აღნიშნულ საგუშაგოს გააუქმებდა.

**მედიანიუსი**

## ⦾ გენოციდი

# მალაშხია სამხედრო ტრიბუნალის შექმნას მოითხოვს

**მართალია, თავდაცვის მინისტრი შეგვპირდა, ახალ წელს ცხინვალში შევხვდებითო, მაგრამ, როგორც ჩანს, ის ერთადერთი ოპტიმისტი ქართველია. კონფლიქტის ახლო მომავალში მოგვარების პერსპექტივა ჯერჯეროზით არ ჩანს, მიუხედავად იმისა, რომ დაპირისპირებული მხარეების წარმომადგენელთა შეხვედრები გახშირდა. დავის გადაწყვეტის პროცესში თავისი წვლილის შეტანას პარლამენტიც ცდილობს. გუშინ კოლეგებს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისიის თავმჯდომარემ შოთა მალაშხიამ ანგარიში წარუდგინა.**

მალაშხიას თქმით, კომისიამ მუშაობა ბოლო ექვსი თვის განმავლობაში (ანუ იმ დროიდან, როცა იგი გახდა თავმჯდომარეძ გააქტიურა. ეს, ძირითადად, ინფორმაციის მოპოვებაში გამოიხატებოდა, იქნებოდა იგი გენოციდის შესახებ არსებული მასალების შევსება, თუ კონფლიქტის ზონიდან ინფორმაციის ოპერატიულად მოწოდების მექანიზმის ამუშავება. ამას გარდა, კომისიამ ბევრ საკითხზე იმუშავა, მათ შორის, კანონპროექტზე კონფლიქტის დროს დაზარალებულთა ქონებრივი რესტიტუციის შესახებ.



– ჩვენთვის არ არსებობდა წვრილმანი საკითხები, რადგან ის, რაც ერთი შეხედვით თითქოს უმნიშვნელოა, შეიძლება, ადამიანებისთვის პირადი ტრაგედია იყოს. ამიტომ განსაკუთრებულ ყურადღებას ვუთმობდით და გულმოდგინედ ვსწავლობდით თითოეულ საკითხს, – აღნიშნა შოთა მალაშხიამ.

კომისიის თავმჯდომარე შეეხო ყველაფერს, რაც მის კომპეტენციაში შედიოდა, გალის მცხოვრებთათვის საპასპორტო რეჟიმის გამარტივებით დაწყებული გენოციდით დამთავრებული. მათ შორის იყო ინიციატივა სოციალური სამშენებლო ფონდის შესახებ. როგორც იცით, სასტუმროებიდან გასახლებულ დევნილებს შვიდშვიდი ათასი დოლარი გადაუხადეს. ეს ის თანხაა, რომლითაც გარეუბანშიც ვერ იყიდი ერთოთახიან ბინას. კარგი იქნებოდა, ხელისუფლებას კომისიის ინიციატივა გაეთვალისწინებინა და ამ ფულით სპეციალური ფონდი შეექმნა, რომელიც მშენებლობას დააფინანსებდა. მალაშხიას თქმით, ასეთ შემთხვევაში, იქნებ, თითოეულ დევნილ ოჯახს 50-70 კვადრატული მეტრის ფართი რგებოდა.

შოთა მალაშხიამ დიდი დრო დაუთმო კონფლიქტის მოგვარებაში საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვას. ამავე დროს, აუცილებელია ჰააგის სასამართლოსადმი მიმართვა. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის კომისიის წევრთა აზრით, აუცილებელია, საქართველომ ევროსაბჭოში დააყენოს საკითხი აფხაზეთთან დაკავშირებით სამხედრო ტრიბუნალის შექმნის შესახებ. მალაშხია საჭიროდ მიიჩნევს, საქართველომ საჩივარი არა მხოლოდ გენოციდის და ადამიანის უფლებათა დარღვევის, არამედ ეკონომიკური ანექსიის გამოც შეიტანოს ჰააგაში. ეკონომიკურ ანექსიაში, უპირველესად, აფხაზეთში რუსული მობილური კომუნიკაციების უკანონო შესვლა იგულისხმება. შოთა მალაშხიამ გამოთქვა იმედი, რომ ყველა ამ აუცილებელი ნაბიჯის გადადგმის საქართველო იოლად შეძლებს დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას.

**რუსუდან გოგუა**

## ⦾ ინფორმაცია

### საუკუნის ნავთობსადენი 13 ივლისს გაიხსნება

**თურქეთის მინისტრთა კაბინეტმა, შინაგან საქმეთა ენერგეტიკისა და ბუნებრივი რესურსების და საგარეო საქმეთა სამინისტროებმა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გახსნის ოფიციალურ ცერემონიასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა გეგმა შეიმუშავეს.**

**გაზეთ „ჯუმჰურიეთის“ ცნობით, ცერემონიაზე 15 სახელმწიფოს მეთაური, 30 პრემიერ-მინისტრი, ენერგეტიკისა და საგარეო საქმეთა 50 მინისტრია მიწვეული. ღონისძიებაში მონაწილეობაზე ოფიციალური თანხმობა ექვსი სახელმწიფოს მეთაურმა, ცხრა პრემიერ-მინისტრმა და 23 ენერგეტიკის მინისტრმა უკვე განაცხადა.**

**საზეიმო ღონისძიებები 12 ივლისს საღამოს თურქეთის პრეზიდენტის ახმეტ ნეჯდეტ სეზერის სახელით გამართულ სადღესასწაულო მიღებით დაიწყება. 13 ივლისს სახელმწიფოს მეთაურები სპეციალური თვითმფრინავით ადანუში გაფრინდებიან, საიდანაც პორტ ჯეიჰანში ბრონირებული ავტომანქანებით გაემართებიან.**

**კომპანია „ბი-პი“ დიდი ბრიტანეთიდან სპეციალური თვითმფრინავით 1280 ადამიანზე გათვალისწინებულ კარვებს ჩამოიტანს. კომპანიის ხაზით ლონდონიდან საზეიმო ცერემონიაზე დასასწრებად 400-კაციან დელეგაციას ელოდებიან.**

**ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის გახსნის საზეიმო ღონისძიებები, სავარაუდოდ, 3,5 მილიონი დოლარი დაჯდება.**

**მედიანიუსი**

SOS!

# უვიცობა და ამბიციურობა იმარჯვებს!

## საქართველოს პრეზიდენტს, მის აღმატებულებას ბატონ მიხეილ სააკაშვილს

**ბატონო პრეზიდენტო,**

**ჩვენ, მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზის მთავარი სამმართველოს თანამშრომლები, ყველანი უკლებლივ, შეძრწუნებულნი, აღშფოთებულნი და შეურაცხყოფილნი ვართ თქვენი განცხადების გამო იმის თაობაზე, რომ თითქოს ჩვენი სამსახური არის კორუმპირებული და იგი არა მარტო დასაშლელია, არამედ ზოგიერთები დასაჭერიც კია! (მშენებლებთან შეხვედრა ამა წლის 21 ივნისს).**

მიუხედავად ასეთი მდგომარეობისა, ჩვენ არ ვართ ნაწყენი თქვენზე, არც ვბრაზობთ, მაგრამ გამოვთქვამთ ჩვენს უდიდეს გულისწყრომას იმ უსინდისო ადამიანების მიმართ, რომლებმაც თქვენ არასწორი, ღვარძლიანი და დაუსაბუთებელი ინფორმაცია მოგაწოდეს ამ სამსახურის საქმიანობის თაობაზე. ეს ის ხალხია, რომლებიც თვითონ არიან კორუმპირებულები, ეწევიან უპატიოსნო ბიზნესს, ზოგ შემთხვევაში, არასათანადო დონეზე ჩატარებულ ტენდერებში იმარჯვებენ პატიოსან ბიზნესმენებზე, რომლებიც ჩვენი საზოგადოების მშენებლობის ძირითად მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ და, რომელთა ინტერესებსაც მუდამ პრინციპულად იცავდა ჩვენი სამსახური.

მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზის სამსახური მოქმედი კანონის საფუძველზე აღწევდა სახელმწიფო მნიშვნელობის ობიექტების, მშენებლობის პროექტების ხარისხის რეალურ ამაღლებას, იცავდა მოქალაქეთა, იურიდიულ და ფიზიკურ პირთა კანონით დაცულ უფლებებს და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ებრძოდა დარღვევებსა და დამახინჯებებს მშენებლობაში. ჩვენ ვამაყობდით და ვამაყობთ იმ დიდი ავტორიტეტით და პატიოსან პროფესიონალთა სახელით, რითაც ცნობილია ჩვენი ორგანიზაცია საზოგადოებაში.

ჩვენთვის ის კი არ არის მთავარი, რომ უვიც და ამბიციურ ჩინოვნიკთა მცირე ჯგუფმა შეძლო, რომ კანონს სახელმწიფო ექსპერტიზის შესახებ პარლამენტი გააუქმებს და რამდენიმე ადამიანი უმუშევარი დავრჩებით... თავისთავად ეს უბედურებაა, მაგრამ ჩვენთვის მთავარი იყო და არის სახელმწიფოს და, მაშასადამე, ხალხის ინტერესები, რომელიც ამ კანონის გაუქმებით აბსოლუტურად დაუცველი დარჩება! მთავარია ისიც, რომ შეილახა ჩვენი, როგორც პროფესიონალებისა და პიროვნებების ღირსება და პატივი, მაგრამ თქვენი უსამართლო ხელისუფლების პირობებში ჩვენ სასამართლოში არ ვიჩივლებთ. თანაც, ჩვენ არანაირი შემოწმებების არ გვეშინია, რადგანაც ნებისმიერი შემმოწმებელი, ბინძური მეთოდის გამოყენების გარეშე, ჩვენთან ვერ აღმოაჩენს დარღვევებსა და დამახინჯებებს.

სახელმწიფო ექსპერტიზის სამსახური წლების განმავლობაში ახორციელებდა ღონისძიებებს, რომელთა შედეგადაც იზოგებოდა მილიონობით საბიუჯეტო სახსრები, ვლინდებოდა ასევე მილიონობით გადასახადების დაფარვის კონკრეტული ფაქტები, ხოლო 30-კაციან სამსახურს ბიუჯეტში წელიწადში შეჰქონდა 300 ათასი ლარი. ზედმეტი არ იქნება ვთქვათ: საქართველოში თითოეულ მომუშავეს ბიუჯეტში რომ შეეტანა 10.000 ლარი (როგორც ჩვენ შემთხვევაშია) და ჩავთვლით, რომ დასაქმებულია მხოლოდ მილიონი კაცი, მაშინ საქართველოს ბიუჯეტი 10 მილიარდი ლარი იქნებოდა!

**ერთადერთი თხოვნა გვაქვს, მიიღეთ სწორი ინფორმაცია ექსპერტიზის სამსახურის შესახებ ნებისმიერი მისი ექსპერტის წარმომადგენლის, ან მცირე ჯგუფისგან.**

ვითხოვთ რეაბილიტაციას!

ჩვენთვის უმთავრესია, რომ საზოგადოებას არ აღეძრას რაიმე ეჭვი ჩვენს პატიოსნებაში, ვერავინ გაუბედოს ჩვენ შვილებს და შვილიშვილებს, იმის თქმა, რომ მათი დედა, მამა, თუ ბაბუა, თითქოსდა, არ იყო წესიერი მოქალაქე დამოუკიდებელ საქართველოში.

ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ იმ ელემენტარულ პრინციპებსა და ამოცანებს, რაზეც თქვენ ისაუბრეთ მშენებლებთან შეხვედრისას და მათი განხორციელების საქმეში სიცოცხლის ბოლომდე შეგვიძლია შევიტანოთ საკუთარი წვლილი. მიუხედავად შექმნილი სიტუაციისა, ვიმედოვნებთ, რომ ადრე თუ გვიან, ჩვენი სიმართლე დამტკიცდება.

ჩვენ არ ვართ დარწმუნებული, რომ ეს წერილი თქვენამდე მოაღწევს (ზემოაღნიშნული ჩინოვნიკების გამო), ამიტომ მოგმართეთ ამ ღია წერილით, რათა სერიოზული გაზეთის დახმარებით ხალხმა სიმართლე იცოდეს.

**ლერი მეძმარიაშვილი, ბოგდან ზატუაშვილი, იზოლდა ცხოვრებაძე, მზია ჩლაიძე, ლერი გოშაძე, რევაზ გეთია, ზაურ ხომერიკი, ლიანა სიხარულიძე, გიორგი ჯინჯოლია, თამარ გუნია, ლევან კიკნაძე, ნოდარ გაგუა, გიორგი კაცაძე, გურამ ჩიქოვანი, აზა რუხაძე, ნიკო ჩხეტიანი, ნელი ციტაიშვილი, ნინო ცხოვრებაძე, ნინო ბაგაშვილი, ტარიელ მაჭავარიანი, ლუიზა ჭანტურია, როინ სადრაძე, მარინე აფციაური, გულიკო მჭედლიშვილი, ირაკლი შიოლაშვილი, როლანდ მიქაუტაძე, თინა ჩლაიძე.**

# ღმერთო, ვინ დაგვწყევლა!..

*ამ სულისშემძვრელ წერილში (გნებავთ, მიმართვაში) ნათლად იკითხება, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ერთმნიშვნელოვნად აშინებს, აშანტაჟებს, სიტყვით კლავს, საბოლოოდ სწირავს უფროსი თაობის ინტელიგენციას. უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა დაუმთავრებელი ნერვების წყვეტა არ იკმარეს და ახლა მშენებლებსაც დაერივნენ.*

*მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზის მთავარ სამმართველოს კარგა ხანია ხელმძღვანელობს პრინციპულობითა და პატიოსნებით გამორჩეული კაცი ბიძინა მურღულია. ის ამ წერილს ხელს არ აწერს, რადგანაც ძალიან კარგად იცის, რომ დღევანდელი ხელისუფლებისგან არ შეიძლება რაიმე გეწყინოს... ხელისუფლება ხომ არავის არ უსმენს, არაფერს არ კითხულობს, რომც წაიკითხოს, მაინც არავის აზრს არ ითვალისწინებს...*

*ღმერთო, ვინ დაგვწყევლა, — შენი არ იცოდე და სხვისა არა გესმოდესო!*

*სახელმწიფო ექსპერტიზის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ხელმძღვანელის წინააღმდეგობის მიუხედავად, ეს მცირე პასუხი მაინც გვაახლეს რედაქციაში მხოლოდ იმიტომ, რომ ხალხმა, მომავალმა თაობებმა სიმართლე იცოდნენ. პრეზიდენტის, პარლამენტის საყოველდღეო გადაწყვეტილებები რამდენიმე წლის შემდეგ ისევე არავის ემახსოვრება, როგორც მათი შემქმნელები. მოგეხსენებათ, დრონი მეფობენ... აი, თაობის პრინციპული ნააზრევი კი რჩება. ასევე დარჩება ეს მართალი მიმართვა — მოწოდებაც, რომ თუკი ქვეყნის პრეზიდენტი გქვია (აკი, ყველა ოჯახის პრეზიდენტი ვარო!) სწორი ინფორმაციისთვის, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფო ექსპერტიზის წარმომადგენლებს უნდა მიმართო და თუნდაც ერთ საქმეში ჩახედულ კაცს გაესაუბრო.*

*არა, ჩვენს პრეზდენტს პროფესიონალებისთვის, ინტელიგენციისთვის ყურის დასაგდებად არა სცალია.*

*ჰოდა, ამიტომაც თქვა იმ დღეს, მშენებლებთან შეხვედრაზე, მრავალთაგან ერთი ასეთი ცოცხალი ტყუილიც: ვაკის პარკთან აშენებული ახალი სახლი ნახევარი მეტრით გადაიხარა და შეიძლება დაინგრეს, სად იყო მაშინ მშენებლობის სახელმწიფო ექსპერტიზის სამსახური?..*

*ეს სახლი, ბატონო პრეზიდენტო, არც ერთი მილიმეტრით არ გადახრილა, თანაც მისი პროექტი ექსპერტიზის სახელმწიფო სამსახურში თურმე არავის მიუტანია, მერიისა და არქიტექტურის საქალაქო სამსახურის დონეზე შეთანხმდა (როგორც ეს ამ ბოლო წლებში ხშირად ხდება!) და პროექტის ამაზრზენი დარღვევით — 16-სართულიანის ნაცვლად 21 სართული აშენდა. არაპროფესიონალმა მშენებლებმა სახლის ლიფტის „შახტა“ საჭირო სიზუსტით ვერ ააგეს, ლიფტი ვერ ჩართეს და... აგორდა ათასი ჭორი, სახლი გადაიხარაო!*

*რა შუაშია აქ მშენებლობის პროექტების სახელმწიფო ექსპერტიზა? ამ დარღვევებისთვის არსებობს (აქამდე არსებობდა!) სახელმწიფო არქმშენინსპექცია... აწი რა იქნება, არავინ იცის. ქალაქის ცენტრალურ უბნებში კი აბსოლუტური განუკითხაობაა — მშენებლობის მაფიოზები ყოველგვარი ნორმის დარღვევით აშენებენ და ამახინჯებენ თბილისს...*

*ამჯერად აქ შევჩერდით. ჩვენი გაზეთის უახლოეს ნომრებში კი მოგითხრობთ, თუ რა უპატრონობა და განუკითხაობაა მშენებლობის სფეროში.*

**სპარტაკ ქობულია**

ვითხოვ სიტყვას!

# ყველა მეფეს კარის მასხარები ართობდნენ

## ბრიყვად ყოფნა ძნელი არ არის, ამას ვერც ამჩნევ

**„საქართველოს რესპუბლიკის“ ა. წ. 20 ივნისის ნომერში წავიკითხე ინტერვიუ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილესთან, ეროვნული თანხმობის კავშირის თავმჯდომარესთან გურამ აბსანძესთან სათაურით: „შალიკო ქათამია და თავს უნიტაზში ჩავაყოფინებ“. მასში ჩემი, როგორც მოქალაქის აღშფოთება გამოიწვია იმ სიტყვებმა, რომლითაც ინტერვიუერი კონსტანტინე ზ. გამსახურდიას მოიხსენიებს. შეიძლებოდა ამ ინტერვიუს არც გამოვხმაურებოდი, მაგრამ მას წინ უძღოდა 18 ივნისის „ახალ თაობაში“ გამოქვეყნებული აბსანძისვე სხვა „ნააზრევი“. ამ ადამიანს რატომღაც ჰგონია, რომ ის ყველაფერში მართალია და „დაუზარებლად“ იძლევა ინტერვიუებს. ჩემი ეს წერილი არა მარტო პასუხია მის უხამსობებზე, არამედ მხილებაც ამ ბინძური და მოღალატე ადამიანისა.**

მაშ ასე, მივყვეთ თანამიმდევრობით. აბსანძეს თავი მოაქვს უპირველეს ზვიადისტად, რაც მტკნარი სიცრუეა, ამაზე ცოტა ქვემოთ. ცნობისთვის: 1990 წლის 28 ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებში, რომელიც ზვიად გამსახურდიასა და მისი მომხრეების ძალდატანებით გაიმართა, აბსანძე კენჭს იყრიდა კომუნისტური პარტიიდან. ამის გახსენება იმისთვის დამჭირდა, რომ ხალხმა იცოდეს, მას ეროვნული ცნობიერება არასოდეს ჰქონია და თუ ეს გრძნობა დღეს ოდნავ მაინც გააჩნია, ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, ვისი დამსახურებაცაა.

ბატონი აბსანძე ამ ინტერვიუში ხმამაღლა აცხადებს, ჩემი, როგორც პოლიტიკური მოღვაწისა და ზვიადისტის დისკრედიტაცია სურდათო. ამას ბერძენიშვილი, სიგუა და ნათელაშვილი აკეთებენ თურმე კოკო გამსახურდიას ხელით, რასაც ქართველი ერი არ დაუშვებსო, ბრძანებს და სვამს რიტორიკულ შეკითხვას: „რატომ აკეთებთ ამას ბატონო კოკო?“ ის ლაპარაკობს ათასობით ზვიადისტზე, რომელთაც კოკო გამსახურდიამ თურმე გული ატკინა, მათ „ზვიადისტობას უთელავს“.

ენას რომ მართლა ძვალი არა აქვს. ამას ამბობს კაცი, რომელმაც ზვიად გამსახურდია ტყეში მიატოვა, უზენაესი საბჭოს დეპუტატ მამფორიას სახლიდან მთავრობის ფული გაიტაცა და მოსკოვში გაიქცა. დევნილი ვიყავიო, ბრძანებს, მაშინ როდესაც მისი სპირტის ქარხანა მშვენიერ შემოსავალს აძლევდა მის ოჯახს და მათ არავითარი დევნა და შიმშილი არ განუცდიათ, ხოლო თუ იმას გვაყვედრის, რომ მას ტყვია მოხვდა იმ ავტობუსში, რომელიც ხუნტამ დაცხრილა, შევახსენებ: იქ ათობით ადამიანი დაიღუპა, ხოლო მძღოლ იური გაგუას 27 ტყვია მოხვდა. ასე რომ, მარტო ის არ არის „მამულს მკერდით გადაფარებული პატრიოტი“. თუმცა პატრიოტები, და არა აბსანძესავით შემთხვევითი კადრები, მამულის ერთგულებისთვის კომპენსაციებს არ ითხოვენ, ამას თვითონ ერი უკეთებს მათ, ის ერი, რომლის სახელით საუბრის უფლება აბსანძეს ზუსტად ისეთივე დონით აქვს, როგორც ბერძენიშვილს, სიგუას, ნათელაშვილს, ლომოურს, გაბაშვილს... ამ სიის გაგრძელება უსაშველოდ შეიძლება, ანუ იმის თქმა მინდა, რომ აბსანძე არაფრით განსხვავდება ამ ბატონებისგან, პირიქით, ის ღალატის რანგით უფრო მაღლა დგას, როგორც მოყვარე მტერი.

ბატონი აბსანძე არა მარტო საკუთარი თავის რეაბილიტირებას ცდილობს, არამედ მასზე უფრო დიდ ნაძირალა ლოთი ქობალიასაც არ ივიწყებს. თურმე კოკო გამსახურდია ქობალიას შეფასებისას ბერძენიშვილის „დაკრულზე ცეკვავს“. ქობალია და აბსანძე ერთი მედლის ორი მხარე რომ არის, ეს უდავოა, მაგრამ მინდა შევახსენო აბსანძეს, რომელსაც ამ ქვეყნად არაფერი ახსოვს, გარდა საკუთარი „საგმირო“ საქმეებისა: შენ ის გურამ აბსანძე არა ხარ, რომელმაც ქობალიას გაგორება გადაწყვიტე, ხოლო როცა ამაზე თანხმობა ვერ მიიღე, მაშინ პრეზიდენტს მისი გაგენერლება შესთავაზე იმ მოტივით, რომ ამ შემთხვევაში არ გვიღალატებს ქობალიაო. შენ ის გურამი არა ხარ, ყოველივე ზემოთქმულის შემდეგ ქობალიას ციხეში „ძმის მაგიერი“ თმა, რომ შეაკვეცე (მისი „რელიგიუროგა“ როგორ მოგწონთ!), ხოლო ციხიდან გამოსვლის შემდეგ ბიზნესინტერესები გაგიჩნდათ ერთად ორ მოღალატეს და რაღაც საეჭვო გარიგებების შედეგად ის-ის იყო ციხიდან გამოსული ქობალია უცებ ჯიპში გამოჯგიმული ვიხილეთ. ან იქნებ აბსან-



ძემ არ იცის, მეომრების შეკითხვებს როგორ აარიდა თავი ქობალიამ (ეს მაინც ხომ მის ოფისში ხდებოდა!) ან იქნებ ქობალიას ჩვენებები არ წაუკითხავს? აი, კოკო გამსახურდიას კი წაკითხული აქვს და არავის დაკრულზე არ ცეკვავს, უფრო მეტიც — ის დღევანდელ პოლიტიკურ სპექტრში ერთადერთი უმწიკვლო, განათლებული და მომავლის მქონე პოლიტიკოსია.

გურამ აბსანძის ტყუილებს ბოლო არ უჩანს. მას თურმე იმიტომ ებრძვიან, რომ ხალხში ავტორიტეტით სარგებლობს. ვაი, სირცხვილო! არათუ ხალხში, არამედ საკუთარ სოფელში არ სარგებლობს ავტორიტეტით, რადგან სწორედ დარჩელში წააგო არჩევნები. იმასაც იტყუება, ჩემს პარტიას არჩევნებში მონაწილეობა არ მიუღია, თორემ „თავისუფლება“ 4,2 პროცენტს ვერ მიიღებდაო. ჯერ კიდევ საკითხავია, „თავისუფლებამ“ 4.2 პროცენტი მიიღო თუ გაცილებით მეტი, რომელსაც აბსანძის სათაყვანებელმა დღევანდელმა ხელისუფლებამ სეკვესტრი გაუკეთა.

აქ მნიშვნელოვანია ამ „დიდი პოლიტიკოსის“ კიდევ ერთხელ ძალიან დიდ ტყუილში მხილება. მისი ხალხი დაძრწოდა სოფელ-სოფელ, რათა კოკო გამსახურდიასთვის ხმა არ მიეცათ, ხოლო როდესაც „თავისუფლებამ“ „ვერ“ გადალახა 7-პროცენტიანი ბარიერი, ისინი აბსანძის ოფისში ამ „მიღწევას“ ხმამაღლა ულოცავდნენ ერთმანეთს, არჩევნებში მისი პარტიის მონაწილეობის კიდევ ერთი ფაქტია მარტვილის რაიონში კანდიდატად როლანდ გაგუას წარდგენა, რომელმაც 327 ხმა მიიღო. დიახ, ეს არის გურამის „ავტორიტეტის“ დამადასტურებელი კიდევ ერთი ფაქტი.

გურამ აბსანძეს ბევრი რამ რომ არ ახსოვს, ამაზე უკვე ვილაპარაკეთ, მაგრამ თუ მას ეს „გულმავიწყობა“ უკიდურესად გართულებული არა აქვს, იქნებ გაიხსენოს, ამ ორიოდე წლის წინათ ერთ-ერთი ეროვნული კაცის სახლში მოწყობილ შეხვედრაზე რომ თქვა, შემეშინდა და გავიქეციო. ამას ხომ მისი მომხრე ქვემძრომებიც ესწრებოდნენ. ერთგული ადამიანები ბრძოლის ველიდან ვირთხებივით არ გარბიან.

ზემოხსენებულ ინტერვიუში აბსანძე ბრძანებს, რომ მას ღირსება არ დაუკარგავს. ეჰ, გურამ, გურამ, ნუთუ იმდენიც არ იცი, რომ რაც არა აქვთ, იმას არც კარგავენ.

კიდევ ერთი ამონარიდი 20 ივნისის ინტერვიუდან: „ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ, ათობით ადამიანი გამოვიდა ტყიდან, დევნილობიდან დაბრუნდა 747 კაცი, ცხოვრების ნორმალურ რიტმს დაუბრუნდა და ქვეყნის აღმშენებლობაში მონაწილეობს“. ამის წამკითხავს კომუნისტური პრესა გაგახსენდება. მაინც სად ნახა აბსანძემ ეს „აღმშენებლობა“? დარწმუნებული ვარ, მან ამ სიტყვის მნიშვნელობა არც იცის და ეს მაია რჩეულიშვილის „ცენტრპოინტის“ ბინები ან შელებილი ფასადები ჰგონია. ან ეს ციფრი — 747 საიდან მოიტანა, მაშინ როდესაც ამაზე ათჯერ მეტი ადამიანი სწორედ ახალი ხელისუფლების მოსვლის შემდეგ გაიქცა საქართველოდან? ზოგიც ძალით გააქციეს, მათ შორის ბიძინა გიორგობიანიც.

ბატონო გურამ, იცით რაზე მტკივა გული? იმაზე, რომ თქვენს ამქარში დღემდე მოიაზრებიან ზაურ კვარაცხელია და ლაშა გვასალია, სხვა კაცუნები სწორედაც რომ თქვენთან უნდა იყვნენ.

დაბოლოს, ბატონო გურამ! კოკო გამსახურდიაზე უფრო დიდ ზვიადისტად ნუ წარმოგვიდგენთ თავს. ჩვენ კარგად ვიცით, ვინ არის ლაჩარი და ვინ ცანცარებს თხასავით. ეს ვნახეთ გროზნოში, როცა ღალატისთვის დაცვის წევრებმა წიხლებქვეშ გაგიგდეს და მანანა არჩვაძეს უმადლოდე, რომ დღეს კვლავ ცოცხალი ხარ. ჩვენ ისიც ვიცით, რომ არა მარტო სამეგრელოში, სრულიად საქართველოშიც „ბუს კვერცხებს“ და სხვა კვერცხებსაც ვინ მიიღებს. სიტუაციას ისე ნუ ხატავთ, თითქოს კოკო გამსახურდია მამის მკვლელებთან იდგეს. კოკო გამსახურდია დგას პატრიოტ ქართველებთან ერთად. ის თქვენთან და ლოთი ქობალიასთან რომ დამდგარიყო, სწორედ მაშინ იქნებოდა მამის მკვლელების გვერდით, რასაც მას ერი მართლაც არ აპატიებდა. საერთოდ კი, რაც შეეხება პატიებას, თუ გინდათ, რომ კიდევ ცოტა ხნით გაიხანგრძლივოთ თქვენი უბადრუკი ცხოვრება, ენა დააყენეთ.

არასოდეს ვყოფილვარ შალვა ნათელაშვილის ან ბერძენიშვილის მეხოტბე, პირიქით, მაგრამ ძნელია მოწინააღმდეგეს არ დაეთანხმო სწორ შეფასებაში: ერთმა აბსანძეს საზოგადოებრივი ტუალეტი უწოდა, ხოლო მეორემ — გარეწარი. ზედმიწევნით ზუსტი შეფასებაა ამ პიროვნებისა.

**გელა ღურწკაია**

**მარტვილის რაიონი, სოფ. დოშაყე.**

**P. S. ნეტავ რაში სჭირდება მეფეს ასეთი ადამიანები? თუმცა ისიც ხომ ცნობილია, რომ ყველა მეფეს კარის მასხარები ართობდნენ.**

**გ. ღ.**

◉ ბარიერთან!

# უნივერსიტეტში კორუფცია მეფობდა, ეს ხალხი კი პროტესტს არ გამოთქვამდა

## ამბობს „თავისუფლების ინსტიტუტის" ლიდერი ლევან რამიშვილი

**— ბატონო ლევან, ახლოვდება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები, კანონი მიღებულია, თუმცა ოპოზიცია და უმრავლესობა საკუთარ პოზიციებზე ვერ შეთანხმდნენ. ოპოზიციის მოთხოვნები დაუკმაყოფილებელი დარჩა, ხელისუფლება კი არჩევნებს აჭიანურებს. როგორ ფიქრობთ, რამდენად ეფექტიანი იქნება მომავალი არჩევნები და თუ გაამართლებს იმედებს საკრებულოს მიერ არჩეული მერი?**

— კანონი მიღებულია. არა მგონია, არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე კანონის შეცვლა რაიმე თვალსაზრისით გამართლებული იყოს. ზოგადად საარჩევნო სისტემა ბევრ ქვეყანაში იწვევს დებატებს, ეს არის აბსოლუტურად ჯანსაღი პროცესი და, ვფიქრობ, ამ თემაზე დისკუსია საქართველოში მომავალშიც გაგრძელდება. საერთოდ, არჩევნები არის იმისთვის, რომ თუ ვინმეს არ მოსწონს ქვეყანაში არსებული კანონები და პოლიტიკა, მან არჩევნები მოიგოს და პოლიტიკური თუ საკანონმდებლო ვითარება შეცვალოს. უმთავრესი არის ის, რომ პირველად საქართველოში შეიქმნება რეალური თვითმმართველობა და იმ გადაწყვეტილებებს, რაც თვითმმართველობას ეხება, მიიღებენ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩეულ ორგანოებთან კონსულტაციების გზით.

**— ზოგადად ოპოზიციის და უმრავლესობის ურთიერთდამოკიდებულებას თუ გადავხედავთ, აშკარაა, რომ მათ შორის კონსტრუქციული თანამშრომლობა არ შედგა, პარლამენტშიც და საკრებულოშიც ოპოზიციის ბოიკოტი გრძელდება, ურთიერთშეურაცხყოფა ხშირია ორივე მხრიდან. როგორ ფიქრობთ, ამ ორი ძალის ამგვარი დამოკიდებულება რამდენად პასუხობს დემოკრატიზაციის მოთხოვნებს?**

— ზოგადად ბოიკოტი არადემოკრატიულია, ვინაიდან, დემოკრატიულ ქვეყანაში ოპოზიცია პარლამენტში ან საკრებულოში უნდა იყოს და იქ უნდა უწევდეს ხელისუფლებას ოპონირებას. ნებისმიერი ბოიკოტი, გარკვეულწილად, ამომრჩევლის ნების უპატივცემულობაა, სწორედ ამომრჩევლის ნებაა, რომ დღეს არის ეს უმრავლესობა და ოპოზიცია, ამომრჩეველს კი ყველამ პატივი უნდა სცეს. მეტი ურთიერთპატივისცემა უნდა იყოს პოლიტიკურ პარტიებს შორის, ნებისმიერი ბოიკოტი კი მავნეა არა მარტო თვითონ პარტიისთვის, არამედ მთლიანად ქვეყანაში დემოკრატიზაციის განვითარებისთვის. ქვეყანას სჭირდება ლოიალური ოპოზიცია, ლოიალური არა კონკრეტული ხელისუფლების მიმართ, არამედ სახელმწიფოს, კონსტიტუციისა და ამომრჩევლის მიმართ.

**— თქვენ ლოიალურობა ახსენეთ და ბოლო დროს საზოგადოება „თავისუფლების ინსტიტუტის" სწორედ ხელისუფლებისადმი ლოიალურობაზე საუბრობს, არადა, კარგად გვახსოვს წინა ხელისუფლების მმართველობის პერიოდში ნებისმიერ სფეროში არსებულ დარღვევებზე, მცირედ გადაცდომებზე პირველები ყვიროდით. რა ხდება დღეს, ნუთუ ხელისუფლების მუშაობიდან თქვენთვის ყველაფერი მისაღებია?**

— დარღვევები რევოლუციამდე და ახლა თვისობრივად განსხვავდება ერთმანეთისგან. ჩვენ როგორც ადრე გვქონდა საკუთარი ფასეულობები და ამ ფასეულობებს ვიცავდით ყველგან და ყოველთვის, ახლაც ასე ვიცავთ. უბრალოდ, ძალიან ბევრს ავიწყდება, რომ ქვეყანაში ბევრი რამ იცვლება და შეუძლებელია ეს ცვლილებები არ აისახოს არასამთავრობო ორგანიზაციების სტრატეგიაზე, ამოცანებზე, მუშაობის მეთოდზე, პრიორიტეტებზე. ის, რაც გამართლებული იყო ადრე, შეიძლება ნაკლებად ეფექტიანი იყოს დღეს, რაც დღეს მიზანშეწონილია, შეიძლება აღარ გამოდგეს ხვალ, და ა. შ. ჩვენ ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ ინოვაციისთვის, რათა მოვახდინოთ სწრაფი ადაპტაცია საკმაოდ დინამიურად ცვალებად პოლიტიკურ გარემოსთან.

ჩვენ დღეს ვემხრობით ქვეყანაში მიმდინარე რეფორმებს, მაგრამ არ ვართ კმაყოფილნი მათი მიმდინარეობის ტემპით. მიგვაჩნია, რომ გაცილებით უფრო რადიკალური და თანმიმდევრული პოლიტიკა უნდა გატარდეს ამ კუთხით. ბევრ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ განსხვავებული პოზიცია გვაქვს. საზოგადოების ნაწილს სახელი — არასამთავრობო ორგანიზაცია — არასწორ წარმოდგენას უქმნის, ბევრისთვის არასამთავრობო ნიშნავს ანტისამთავრობოს და ბუნებრივ მოკავშირეს ოპოზიციისას. დემოკრატიული საზოგადოებისთვის არ არის დამახასიათებელი, როცა სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფები უაპელაციო მოთხოვნებს უყენებენ პოლიტიკურ ძალას და ცდილობენ საკუთარი პრიორიტეტები თავს მოხვიონ. კრიტიკა აუცილებელია, მხოლოდ არა უაპელაციო.

**— სხვათა შორის, ხელისუფლებისადმი „თავისუფლების ინსტიტუტის" კრიტიკულობის დაბალი ხარისხის მიზეზად ხშირად იმ ფაქტებსაც ასახელებენ, რომ სწორედ თქვენი ორგანიზაციიდან დღევანდელ ხელისუფლებაში არაერთი ადამიანია, რამდენად შეიძლება ეს საფუძვლიანი განაცხადი იყოს?**

— არის ხალხი, რომელსაც „თავისუფლების ინსტიტუტი" არასდროს არ მოსწონდა და საკუთარი ანტიპატიის გამოსახატავად სხვადასხვა მიზეზს ეძებდა. ამ ხალხს მიზეზები არ დაელევა იმისთვის, რომ არ მოსწონდეს „თავისუფლების ინსტიტუტი" აქ არის მიუღებლობა არა კონკრეტული პიროვნებებისა, არამედ ლიბერალური ფასეულობებისა, რაც ძალიან ბევრი ადამიანისთვის უცხოა.

**— კონკრეტულად, რას გულისხმობთ?**

— იმ ფასეულობებს, რომელზედაც დაფუძნებულია თანამედროვე დასავლური ცივილიზაცია, ამასთან დაკავშირებით ჩვენს საზოგადოებაში სრული კონსენსუსია, უბრალოდ, დებატები მიდის იმაზე, თუ რამდენად თანამიმდევრულად ხდება ამ ლიბერალური ფასეულობების დაცვა და ხორცშესხმა, როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციის მხრიდან.

**— თქვენ რეფორმები ახსენეთ, სწორედ სადღეისოდ საკმაოდ აქტიურად მსჯელობენ განათლების რეფორმაზე. ბოლო დროს უნივერსიტეტში განვითარებული მოვლენების ფონზე, როგორ ფიქრობთ, რამდენად სწორად მიდის ეს პროცესი, რეფორმა ჩიხში ხომ არ ექცევა?**

— არა მგონია. პირიქით, საკმაოდ წარმატებულად მიმდინარეობს. უბრალოდ, აქაც არის თანამიმდევრულობის ნაკლებობა და გაცილებით რადიკალური ზომები იყო მისაღები. კანონს უნდა აეკრძალა ყველა იმ „პროფესორისთვის" საგანმანათლებლო საქმიანობა, ვინც კომუნისტურ სისტემას ემსახურებოდა. ეს ბალტიისპირეთში გააკეთეს. ხელახლა უნდა შემოწმებულიყო ამ ხალხის აკადემიური დამსახურებები. მე-20 საუკუნეში შეიძლება მარტინ ჰაიდეგერზე დიდი ფილოსოფოსი არ ყოფილა, მაგრამ, იმის გამო, რომ ის ნაციონალ-სოციალისტურ პარტიასთან თანამშრომლობდა, უნივერსიტეტში მოღვაწეობა აეკრძალა. ჩვენს შემთხვევაში კი პრობლემა არის ტოტალური კორუფცია, რომელიც უნივერსიტეტში წლების მანძილზე მეფობდა. დღევანდელი პროტესტანტებიდან იმ მექრთამეობაზე ასე გააფთრებით პროტესტს არავინ გამოთქვამდა, ისინი ამ ყველაფერზე პასუხისმგებელნი არიან და შეუძლებელია ჩვენი საზოგადოების მომავალი თაობა ასეთმა ადამიანებმა გაზარდონ. ისინი ახალ თაობებს ვერანაირ ფასეულობებს ვერ მისცემენ. ისიც კარგად ვიცით, როგორ ხდებოდა საქართველოში დისერტაციების დაცვა, ნაცნობობის თუ ჩაწყობის მექანიზმი აქაც კარგად მუშაობდა. იქ ბევრი ფსევდომეცნიერია და ამ ყველაფრისგან უნივერსიტეტი უნდა გაიწმინდოს, ხელისუფლება კი ამ საკითხში გაცილებით რადიკალური უნდა იყოს.

**— მაგრამ არ ფიქრობთ, რომ ამ რეფორმას პატიოსანი, უაღრესად განათლებული ხალხიც შეეწირება?**

— წესიერი ადამიანი ვინ არის, ვინც ტაშს უკრავდა კორუფციას, მესამედ ირჩევდა როინ მეტრეველს?.. ვინც იმ სისტემას ეგუებოდა, არ შეიძლება ის ადამიანი წესიერი იყოს. აუცილებელი არ არის, თვითონ იღებდე ქრთამს, როდესაც ხედავ გამეფებულ კორუფციას და ამაზე ხმას არ იღებ და ერთადერთ პროტესტს მაშინ გამოთქვამ, როდესაც კონკურსის გავლა გიწევს, — ამას უზნეობა ჰქვია, მეტი სხვა სახელი არ შეიძლება დაერქვეს.

**— სხვათაშორის, ამ განათლების რეფორმის მამებად „თავისუფლების ინსტიტუტს" და სოროსს მოიაზრებენ...**

— ესეც მათ სიბნელეზე და გაუნათლებლობაზე მეტყველებს. ასეთი უწიგნური ხალხი სრულ აბსურდზე თავის წარმოდგენებს აფუძნებს. როგორ შეიძლება ისინი სტუდენტებს ასწავლიდნენ რამეს.

**— დაბოლოს, ბატონო ლევან, მინდა 27 მარტს ციხეში მომხდარი ბუნტიც გავიხსენო. სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წინა ხელმძღვანელობის მმართველობისას თუ ციხეში ხუთი ადამიანი შევიდოდა უბრალოდ ჩხრეკის ჩასატარებლად, „თავისუფლების ინსტიტუტი" უმალ პრესკონფერენციას მართავდა და პატიმართა უფლებების დარღვევებზე საუბრობდა. წლეულს 27 მარტს მომხდარი ფაქტი, რომელსაც 7 ადამიანი ემსხვერპლა, თქვენმა ორგანიზაციამ დადებითად შეაფასა, ნუთუ გამართლებულად მიიჩნევთ ძალის ამგვარად გამოყენებას?**

— არასდროს არავის თვითმიზანი არ ყოფილა მწვავე განცხადებების კეთება. თუკი იქნება დარღვევები, უკან არასოდეს ვიხევთ, უკანონობას არ შევეგუებით. მაგრამ, არავის არ უნდა შეეშალოს ერთი რამ: როდესაც ციხეში ბუნტია, იქ სპეცრაზმი ფერადი ბუშტებით ვერ შევა. მოხდება ძალის გამოყენება და შეიარაღებულ წინააღმდეგობას გაეცემა ადეკვატური პასუხი. დღეს დგას იმის პრობლემა, თუ რამდენად ადეკვატურად იყენებენ იარაღს ძალოვანი უწყებები, რამდენად სწორად იგეგმება სპეცოპერაციები, რამდენად ობიექტურად ხდება შემდგომ ფაქტის გამოძიება, ეს ყველაფერი საჭიროებს რადიკალურ რეფორმას. 16 წელია, რაც დამოუკიდებლები ვართ, ახალგაზრდა სახელმწიფოში, ბუნებრივია, პოლიტიკური ლიდერები საკმაოდ გამოუცდელნი არიან და ეს გამოცდილება ყველამ ერთად უნდა შევიძინოთ, ამ პროცესში კი, ალბათ, იქნება შეცდომებიც.

27 მარტის შემთხვევაშიც, საჭიროა ობიექტური გამოძიება, უნდა დაიდოს კონკრეტული ფაქტები, თუ ვის რა შეეშალა იმ ღამეს, და შემდეგ, ამის საფუძველზე, მოეთხოვოს პასუხი კონკრეტულ პირებს, ვიდრე ფაქტებზე დაფუძნებული არგუმენტები არ გვექნება, მანამ კრიტიკა შედეგს არ გამოიღებს.

საჭიროა, დემოკრატიულმა დისკუსიამ საზოგადოება წინ წასწიოს, დაეხმაროს იმათ, ვისაც შეცდომები მოსდის, რომ მომავალში იგივე აღარ გაიმეოროს. უაპელაციო კრიტიკა მოიტანს მხოლოდ სამოქალაქო ნიჰილიზმს, პოლიტიკურ აპათიას, ეს კი არ აძლევს ხელს დემოკრატიის განვითარებას. საქართველო დამოუკიდებელი იქნება მხოლოდ იმდენად, რამდენადაც დავიცავთ ქვეყანაში დემოკრატიულ ფასეულობებს.

ესაუბრა
**ლელა ხვადაგიანი**

◉ ინფორმაცია

## პარლამენტარს ტელეფონი ჩამოართვეს

საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა საქართველოს პარლამენტარიზმის ისტორიაში პირველად დეპუტატის ტელეფონის „კონფისკაცია განახორციელა". მობილური ტელეფონი, რომლის კონფისკაციაც მანდატურის ხელით მიხეილ მაჭავარიანმა მოახდინა, პარლამენტარ კობა ფხაკაძეს ეკუთვნის.

როგორც პარლამეტარმა ვან ბაიბურთმა აღნიშნა, პარლამენტარები მამუკა გაჩეჩილაძე და კობა ფხაკაძე მობილურით ცდილობდნენ ვან ბაიბურთის გართობას აზერბაიჯანული მელოდიებით. სწორედ ამ მელოდიებს შეეწირა კობა ფხაკაძის მობილური ტელეფონი.

როგორც მიხეილ მაჭავარიანმა აღნიშნა, მობილური ტელეფონი პატრონს აღარ დაუბრუნდება.

## ბორჯომში 450 ბავშვი გაემგზავრა

საპრეზიდენტო პროგრამის ფარგლებში გუშინ, დილით თბილისიდან ბორჯომში 450 ბავშვი გაემგზავრა. ისინი მთელი დღის განმავლობაში ბორჯომ პარკში ატრაქციონებზე უფასოდ გაერთვნენ.

ბავშვები თავისუფლების მოედნიდან თბილისის მერმა გიგი უგულავამ გააცილა.

პროგრამის ფარგლებში, წელს, 60 ათასი ბავშვი მოინახულებს ბორჯომ პარკს. ბავშვების ტრანსპორტირებას და კვებას თბილისის მერია უზრუნველყოფს.

## უნივერსიტეტს თეატრიც მიაბეს

ფოთში ოპოზიციური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი ბრიფინგი დასრულდა.

„ახალი მემარჯვენეების", „კონსერვატიული პარტიისა" და „თავისუფლების" ფოთელი ლიდერები გმობენ მერაბიშვილის უწყების მხრიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებელთა დარბევის ფაქტს.

პოლიტიკური პარტიები უნივერსიტეტში გამოცხადებული კონკურსით უკმაყოფილო პროფესორებს სოლიდარობას უცხადებენ და რექტორის გადადგომისა და კონკურსის გაუქმების მოთხოვნით თბილისში გამართულ აქციებში მონაწილეობის მიღებას გეგმავენ.

პრესკონფერენციაზე „კონსერვატიული პარტიის" ფოთის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე გოჩა დოლბაია ფოთში მიმდინარე პროცესებსაც შეეხო და თეატრის მშენებლობის შეფერხებაზე მწვავე განცხადებები გააკეთა. მისი თქმით, ახალი თეატრის მშენებლობა განსაზღვრულ ვადაში უნდა დასრულდეს და ფოთის თეატრალურმა დასმა შემოქმედებითი საქმიანობა უნდა განაგრძოს.

**ინტერპრესნიუსი**

◉ ტვირთი?!

# შვილო, შემოგევლე, ხომ კარგად მეახარ!

## ანუ რას გვწერენ მიტოვებული მშობლები

უამრავი წერილი მოდის რედაქციაში, რამდენი ადამიანის ცხოვრების ამბავს ვიგებთ ყოველდღე. იქიდან ძალიან ბევრი რჩება მოუთხრობელი, ბევრის დარდი და სიხარული — გაუზიარებელი.

რამდენი სულს აგიფორიაქებს. როგორც ეს წერილი, რომელიც ბევრჯერ ამოვიღე საქაღალდიდან, ანონიმური იყო, მაგრამ ჩამოსაწერად ვერ ვიმეტებდი. ძალიან მაწუხებდა მისი ავტორის ბედი, არ შემეძლო დავხმარებოდი, ვინახავდი, იქნებ გაებედა და მისამართი მიეწერა. ამაოდ ველოდი...

სამწუხაროდ, ამ ბოლო დროს მსგავსი წერილები არ მოგვკლებია, ამიტომ გადავწყვიტე მკითხველის სამსჯავროზე გამომეტანა ზოგი მათგანი.

**„ოთხი შვილი მყავს, სამი ვაჟი და ერთი ქალიშვილი, შვილები თბილისში ცხოვრობენ, მე — საგარეჯოს რაიონში. ქალაქში წასულებს აღარც კი ვახსოვდი. ერთ მშვენიერ დღეს უფროსმა ბიჭმა მომაკითხა: მამა ქალაქში უნდა გადაგიყვანოთ საცხოვრებლად, ყველაფერი გაყიდე და წავიდეთო. ეღდა მეცა — სად მე და სად ქალაქი? — არა, შვილო, ასფალტზე რა გამაძლებინებს, აქ დამაყენეთ, ორი დღის წუთისოფელი დამრჩენია, ჩემს სახლში მოვკვდე მირჩევნია-მეთქი.**

**არ გასულა დიდი დრო და, ბიჭმა კვლავ მომაკითხა, პასპორტი გამომიწოდა და მითხრა, ჩემთან, თბილისში ჩაგწერე, ეხლა რაღას იზამ, გაყიდე ყველაფერი და ჩამოდი, შენ რომ არ ჩაგვეწერე, ნაკლებ ფართობს მოგვცემდნენო.**

**რაღა დამრჩენოდა, 16 ათას ლარად გავყიდე ყველაფერი, ესეც შვილებს გავუნაწილე და გადავედი თბილისში.**

**სულ მალე დაიწყო ჩემი უბედურება. აღარც ერთ შვილს აღარ ვუნდოდი, ბინები მიიღეს, ამომწერეს და უსახლკაროდ დამტოვეს. ხან ერთს მივადგებოდი, კარზე, ხან მეორეს, — იმასთან წადი, იმას უფრო მეტი დაახარჯეო, იმათზე უფრო მეტი ამაგი გაქვსო, ასე ერთმანეთზე მითითებდნენ, 33 ლარი პენსია მაქვს და იმასაც არ მაძლევენ. სამამულო ომისდროინდელმა ჭრილობებმაც გამიხსენა, მხედველობაც დამაკლდა. ბოლოს დამაწვინეს საავადმყოფოში, იქ სულ იმას მეუბნებოდნენ, არა ხარ ჩვენი ავადმყოფიო. თურმე ნუ იტყვით, ფსიქიატრიულში ყოფილვარ, აქ რატომ მიმიღეს პანსიონატია, თუ საავადმყოფო? საოცარია, ჩემსავით აქ ბევრი წევს უკანონოდ და უდანაშაულოდ დატანჯული, იმედია განიხილავთ ჩემს განცხადებას".**

ჩვენ კი განვიხილავთ, მაგრამ შენ რა გეშველება, მოხუცო, რატომ მისამართს არ გვწერ? იქნებ ვინმემ იცოდეს ამ კაცის ასავალ-დასავალი, მოგვეცით, საშუალება, დავეხმაროთ.

გვარს არ გვწერს, ისევ შვილებს უფრთხილდება. ერთ დროს ყველასთვის „ხელსაყრელი" მოხუცი მამა შვილებმა, ცალ-ცალკე კეთილმოწყობილ ბინებში რომ ცხოვრობენ, ქუჩაში გამოაგდეს.

**„კარგი შვილები მყავს, ყველას თავისი ოჯახი აქვს, უფროსი მეცნიერია, მეცნიერებათა დოქტორი, რატომ შევაწუხო, რატომ ჩავრიო, უმცროსმა სახლიდან გამომაგდო, ჩემს ცოლს შენი შემოხედვა ალიზიანებსო,** — გვწერს ერთი მანდილოსანი. **— იქნებ დამეხმაროთ, წილი მომცენ; უსახლკაროდ როდემდე ვიყო, შევაწუხე ნათესავები, ხან სად ვათევ ღამეს და ხან სად, სამადლოდ ლუკმაპურსაც მაჭმევენ".**

შევეცადე, გამეგო ბატონი პროფესორისგან, იცოდა თუ არა, რომ მისი მშობელი დედა ქუჩაში დარჩა, და, საერთოდ, მატერიალურად ეხმარება თუ არა მას.

პროფესორმა მოკლედ და ცივად მიპასუხა:

— თვითონაც დამნაშავეა, იცხოვროს იქ, სადაც ჩაწერილია, თუ არადა, მიმართოს სასამართლოს, რაც შეეხება ალიმენტს, რასაც სასამართლო დამაკისრებს, იმდენს გადავიხდი და ყურმილი დამიკიდა.

ადამიანებო, რა გემართებათ? თავს უფლებას მივცემ და ანალოგიურ სიტუაციას შეგახსენებთ.

ამბობენ წინათ პროფესორს, ან დოცენტს დედის მისამართით ასეთი რამ წამოსცდენოდათ, არც ერთი კოლეგა არ მიესალმებოდა და სტუდენტები საერთოდ არ დაესწრებოდნენ მის ლექციებს.

დღეს რატომ არ ითვლება უმაღლესი სამეცნიერო ხარისხი ელემენტარული წესიერების და სათნოების გარანტად?

**იხ. მე-7 გვ.**

◎ მედიცინა

# „სანამ ჭრა-კერვას დაიწყებდეთ, სწორი დიაგნოზი უნდა დასვათ!“

**რას აპირებდნენ „ლობის ძირას“ გახსნილი ზოგიერთი კლინიკის ქირურგები და რა გააკეთეს ჭეშმარიტმა მკურნალმა დასტაქრებმა**

*დაახლოებით ერთი თვის წინათ, ი. ჟორდანიას სახელობის ადამიანის რეპროდუქციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში უცნაური ოპერაცია ჩატარდა: 5 წლის ბავშვი, რომელსაც დედ-მამა ბიჭად ზრდიდა, გოგონად „გადააკეთეს“. ამ ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საზოგადოებაში. არადა, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი არჩილ ხომასურიძე ირწმუნება, რომ ეს არ ყოფილა რთული ოპერაცია, არც ამგვარი შემთხვევებია უცხო მედიცინისა და ამ კვლევითი ინსტიტუტის ისტორიისათვის, მთავარი მაინც ის არის, რომ ქვეყანას კიდევ ერთი ჯანსაღი, ლამაზი ბავშვი შეემატა...*

**— ბატონო არჩილ, მაინც რა მოვლენასთან გვქონდა საქმე და რატომ გამოიწვია ამ ოპერაციამ დიდი აჟიოტაჟი?**

— ამ დაავადებას სამედიცინო ენაზე რამდენიმე სახელწოდება აქვს: 1 ადრენო — გინეტალური სინდრომი. 2. თირკმელზედა ჯირკვლის თანდაყოლილი ჰიპერპლაზია და 3. ქალთა ცრუ ჰერმაფროდიტიზმი. ყველაზე სრულყოფილი, ჩემი აზრით, პირველი სახელწოდებაა. ეს დაავადება გენეტიკური ხასიათისაა და გვხვდება სხვადასხვა თაობებში. პოპულაციაში ის შეიძლება ჰქონდეს 5 ათასიდან ერთს. როგორც ხედავთ, ასეთი შემთხვევები არცთუ ისე იშვიათია გენეტიკური დაავადებების თვალსაზრისით.

**— როგორ დაახასიათებდით ამ დაავადებას?**

— იგი ძირითადად იმით ვლინდება, რომ დაბადებისას ძნელდება ახალშობილის სქესის დადგენა. გამოცდილმა ნეონატოლოგმა ეს უნდა მოახერხოს, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენთან ასე არ ხდება: ხშირად ექიმები უშვებენ შეცდომას სქესის დიაგნოსტიკაში. ასევე, სამწუხაროდ, ასეთი პაციენტები ხვდებიან სამედიცინო შარლატანების ხელში. ისინი აძლევენ პაციენტსა და მის ახლობლებს არასწორ რეკომენდაციებს.



**— როგორ უნდა მოიქცეს მშობელი, რომლის შვილსაც ამგვარი პათოლოგია აღმოაჩნდება?**

როგორც კი მშობელი შეამჩნევს მცირედ ეჭვსაც კი ბავშვის სქესის განსაზღვრის თვალსაზრისით, უნდა მიმართოს მაღალკვალიფიციურ რეპროდუქტოლოგს, ან ენდოკრინოლოგს, მხოლოდ მათ და არავის სხვას: სხვა ვერავინ გაერკვევა, თვით გინეკოლოგიც კი, მით უმეტეს, პლასტიკურ ქირურგიაში მომუშავე სპეციალისტები.

**— რა მდგომარეობა ჰქონდა პაციენტს, რომელსაც ოპერაცია თქვენს კლინიკაში ჩაუტარდა?**

— ბავშვს ზრდიდნენ ბიჭად. მშობლები დაეჭვდნენ იმიტომ, რომ ბავშვს ჰქონდა ჰიპერტროფირებული კლიტორი. არადა, ექიმებმა იციან: როცა ჩანასახი იწყებს განვითარებას, მას ორივე საწყისი აქვს. ბავშვს ჩაუტარდა სპეციალური გამოკვლევა და დადგინდა, რომ ის ნამდვილად გოგოა: აქვს საშვილოსნო, საკვერცხეები... მშობლების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ისინი ბრმად არ ენდნენ არავის, მიმართეს ტელევიზიას, ჯანდაცვის სამინისტროს. სამინისტრომ გადმორიცხა თანხა, ოპერაცია კი ჩვენმა ინსტიტუტმა გააკეთა. პაციენტი თავს შესანიშნავად გრძნობს.

**— მაინც რას ურჩევდნენ მშობლებს თქვენს მიერ ნახსენები „შარლატანები“?**

— ურჩევდნენ, ბიჭად გაეზარდათ, თანაც ეს ხდებოდა სწორი დიაგნოზის დასმისა და გამოკვლევის გარეშე (!ძ არადა, ბავშვს თავიდანვე ჰქონდა გოგოს შესახედაობა, მიხვრა-მოხვრა, ის ხომ აგებულებით მომავალი დედაა? როგორ უნდა ექციათ მამრობითი სქესის არსებად — ჩემთვის გაუგებარია. საერთოდ, როცა არ იცი, არ უნდა უმკურნალო, ზოგიერთი ვაი-ექიმი კი ყველაფერს მკურნალობს, ოღონდაც კი ფული აიღოს.

**— რა ასაკშია უმჯობესი ასეთი ოპერაციების ჩატარება?**

— ჯობდა, თავიდანვე ჩატარებულიყო, მაგრამ არც 5 წლის ასაკია დაგვიანებული. მე მინახავს, 18 წლის, 25 წლის პაციენტები, რომელთაც მსგავსი ოპერაცია ჩაუტარდათ — ოღონდ რუსეთში. იქ ბევრი იყო ასეთი შემთხვევა. საბჭოთა კავშირის წამყვან კლინიკაში ვმუშაობდი, მოსკოვში და მთელი ქვეყნიდან გვაკითხავდნენ პაციენტები. ერთ-ერთი ოპერაციის შედეგად 25 წლის ბიჭი გახდა გოგო და შემდეგ იმშობიარა კიდეც.

**— აქვს თუ არა კავშირი ადრენო-გენიტალურ სინდრომს ჰომოსექსუალიზმთან და როგორ უნდა მოიქცეს მშობელი, რომელიც შვილს ამგვარ გადახრას შეამჩნევს?**

— ეს ორი სხვადასხვა მოვლენაა. ჰომოსექსუალიზმი უფრო ტვინის დაავადებაა. ადამიანის ორგანიზმში ხომ ყველაფერს ტვინი აწესრიგებს, მართლაც, როგორ უნდა მოიქცეს მშობელი, რომლის შვილიც ამგვარ გადახრას ატარებს? — ამის თქმა ძალზე ძნელია. პირადად ჩემი დამოკიდებულება ასეთი ადამიანების მიმართ უარყოფითია. ყველაზე ცუდი ის არის, რომ ისინი არც თვლიან თავს ავადმყოფებად. არც იმ ექიმებისა მესმის, ვინც მათ პლასტიკურ ოპერაციებს უკეთებს, როგორ უნდა აქციო ქალი კაცად და პირიქით — როგორ უნდა გაუკეთო კაცს ხელოვნური საშო?! არ მესმის ასეთი ექიმების ლოგიკა — ეს არის ჩემი სუბიექტური აზრი, როგორც საზოგადოების წევრისა.

...მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ჯენარა ქრისტესაშვილი უშუალოდ მონაწილეობდა ამ ბავშვის ბედის გადაწყვეტაში. ქალბატონი ჯენარა არის ამიერკავკასიაში ერთადერთი ბავშვთა და მოზარდთა გინეკოლოგიურ-ენდოკრინოლოგიური სამსახურის სამეცნიერო ხელმძღვანელი.

მოხდა არა სქესის შეცვლა, არამედ მისი კორექცია ანუ მოწესრიგება, — თქვა მან ჩემთან საუბრის დროს. გოგონას გადიდებული ჰქონდა კლიტორი და სწორედ ის მოიკვეთა. მისი მკურნალი ექიმი იყო ნანა ჩოფიკაშვილი, ხოლო ქირურგი — რამაზ ჩარექიშვილი და არსენ გვენეტაძე.

უნდა ვთქვა, რომ ბავშვს ჰქონდა თანდაყოლილი ორგანული ნაკლი და ამ შემთხვევას არაფერი აქვს საერთო ტრანსსექსუალებთან.

**— როგორ მკურნალობდით ბავშვს?**

— მე უშუალოდ ვხელმძღვანელობდი მკურნალობის პროცესს. გოგონას აკლდა ე. წ. სტრესული ჰორმონი — კორტიზოლი. მკურნალობა სწორად რომ არ წარმართულიყო, ის შეიძლებოდა დაღუპულიყო უბრალო გრიპის ან ოპერაციის დროს.

მშობლებს ათასგვარ სისულელეს ეუბნებოდნენ. ასე, მაგალითად: ერთი უცხოელი ექიმი აპირებდა მის ბიჭად გადაკეთებას ყოველგვარი გამოკვლევების გარეშე (ალბათ, პრაქტიკის გასავლელად!ძ ერთ-ერთი პლასტიკური ქირურგი კი უმტკიცებდა: 18 წლისა რომ გახდება, თვითონ აირჩევს საკუთარ სქესს და ოპერაციაც მაშინ უნდა გაკეთდესო. დედ-მამა იმდენად იყო დაბნეული, რომ იმ დრომდე შეიძლება ფსიქიატრიულშიც კი აღმოჩენილიყვნენ. განსაკუთრებით იტანჯებოდა ბავშვის დედა. ის ახლა უზომოდ მადლიერია, ხშირად მირეკავს და მეუბნება — თქვენი ხმის გაგონებაც კი საჩუქარია ჩემთვისო.

**— მაინც როგორ მოიპოვეთ მათი ნდობა?**

— ყველანი გულისხმიერად ვექცეოდით, თითქოს 2 წელი უფასოდ ვმკურნალობდით. როგორც იტყვიან, ხელიდან გამოვგლიჯეთ გოგონა ათასი ჯურის ვაი-ქირურგებს, ლობის ძირას რომ გახსნეს ცენტრები და მხოლოდ ფულზე ფიქრობენ. ერთ-ერთმა ასეთმა „ქირურგმა“ ისიც კი განაცხადა, რომ დიაგნოზი არ აინტერესებს, მისთვის მთავარია პაციენტის სურვილი — გოგოდ გადაკეთდეს, თუ ბიჭად. არადა, ბავშვს დროული მკურნალობა რომ არ დაწყებოდა, დაიღუპებოდა!

ეს ბავშვი ჩვენ გადავარჩინეთ არა მარტო ფსიქიკურ ტრავმას, არამედ ფიზიკურადაც, ვიხსენით მისი სიცოცხლე, ჩვენ მოგვიხდა არაკომპეტენტურ ექიმებთან და უცხოელ შარლატანებთან ლამის ხელჩართული ბრძოლა, რომ ეს ბავშვი გადაგვერჩინა. რადგან ექიმებს ვერ ვაგებინებთ, იქნებ პაციენტებმა მაინც გაიგონ, რომ სქესობრივი განვითარების ნებისმიერი დარღვევა არ არის ჰომოსექსუალიზმი და ტრანსსექსუალიზმი. ვაი-ექიმებს კი მსურს ვუთხრა.. სანამ ჭრა-კერვას დაიწყებდეთ, ნორმალური დიაგნოზის დასმაა საჭირო!

**— რა ურთიერთობა გაქვთ პატარა პაციენტებთან, რომლის ბედიც თქვენს კლინიკაში გადაწყდა?**

— მთელი ოჯახი საოცრად ბედნიერია. ნათლობაც კი შემომთავაზეს. მათი ვინაობის გამხელას ვერიდები ამ საკითხის დელიკატურობის გამო.

**— ეტყობა, უკვე გადაწყვიტეთ, რომ ბავშვის ნათლია გახდეთ...**

— აბა, როგორ? ნათელ-მირონზე უარის თქმა სად გაგონილა?!

**ესაუბრა**
**ხათუნა ჩიგოგიძე**

◎ ლეკვი ლომისა სწორია...

# ფრთხილად, საჭესთან ქალია!

*ქალი საჭესთან დღეს არცთუ იშვიათი მოვლენაა. ქუჩაში მარტივი დაკვირვებითაც კი შეამჩნევთ, რომ თითქმის ყოველ მეორე ავტომანქანას ქალი მართავს. ამ ერთი შეხედვით ჩვეულებრივი ფაქტის მიღმა საკმაოდ ბევრი რამის დანახვა შეიძლება — ქალმა საზოგადოებრივი სტატუსისა და როლის დამკვიდრებაზე დაიწყო ზრუნვა, იმსხვრევა გაბატონებული სტერეოტიპული წარმოდგენები; ერთი შეხედვით, თითქოს ისტორიული არგუმენტებით გამყარებულ პატრიარქალურ აზროვნებას საფუძველი ერყევა, იწყება „ჟამი, ყველაფრის მძნელ-გარდამქმნელი...“*

ისტორია ვახსენეთ... ქალთა საკითხზე მსჯელობისას ინტერესმოკლებული არ იქნება, თუ ჩვენს წარსულს გადავხედავთ. ერთი შეხედვით, ნამდვილი ქართველი მანდილოსანი მუდამ ოჯახთან, შვილების აღზრდასთან, მკაცრად შეზღუდულ ტრადიციებთან ასოცირდება; ქართველ მამაკაცთა შორის ჯერ კიდევ შემორჩენილია შეხედულება, რომ ქალი ნაკლებად უნდა იყოს დაკავებული საზოგადოებრივი საქმიანობით, რომ უნდა ჰქონდეს პასიური ცხოვრების წესი; აღარაფერს ვამბობთ პოლიტიკურ მოღვაწეობასა და ლიდერობაზე. თუმცა ყოველივე ამის საწინააღმდეგოდ, თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ ისტორიულად, ქართველი ქალები წამყვან პოლიტიკურ ფიგურებს წარმოადგენდნენ, აღსანიშნავია ისიც, რომ ყოველივე ეს საკმაოდ შედეგიანი და სიკეთის მომტანი იყო თავად სახელმწიფოსთვის. რაკი ისტორიას შევეხეთ, ცხადია, გვერდს ვერ ავუვლით თამარ მეფის სახელს... მეფე ქალს, რომელსაც ხელთ ეპყრა უძლიერესი ქვეყნის სადავეები, რომელთაც ღირსეულად იმორჩილებდა, გაცილებით უკეთესადაც კი, ვიდრე ამას მამაკაცები აკეთებდნენ...

იმ დროისათვის იმდენად გაზრდილი იყო ქალთა უფლებები, რომ სუსტი სქესის წარმომადგენლები აქტიურ პოლიტიკურ მოღვაწეობას ეწეოდნენ. გავიხსენოთ თუნდაც კრავაი ჯაყელი და ხვაშაქ ცოქალი, რომელთაც უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაში წამყვანი როლი ითამაშეს. არ დაგვავიწყდეს, რომ ეს XII საუკუნეში ხდებოდა. ამ მხრივ ქართველებს მართლაც საამაყოდ გვაქვს საქმე, მაშინ როცა ევროპაში აზრადაც კი არავის მოსდიოდა ამგვარ საკითხებზე ზრუნვა, ჩვენს ქვეყანაში უკვე საკმაოდ პროგრესული ნაბიჯები იყო გადადგმული ქალთა საზოგადოებრივი აქტივობის გაზრდისათვის, აღარაფერს ვამბობთ ამერიკაზე, რომელიც იმ დროისათვის როგორც სახელმწიფო, არც კი არსებობდა, მაგრამ დღეს ერთ-ერთი მისაბაძი ქვეყანაა ქალთა და, საერთოდ, ადამიანის უფლებათა დაცვის მხრივ.

ეს რაც შეეხებოდა შორეულ წარსულს... მას შემდეგ, როგორც იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, დრონი იცვალნენ... ევროპაში დაწყებულმა აღორძინების ეპოქამ ქალთა უფლებების დასაცავად ახალი ტალღა წარმოშვა. XIX საუკუნის ბოლოს ამ მოძრაობამ საქართველოშიც თავისი გამოძახილი ჰპოვა, რაც ძირითადად ქალების განათლებასა და უმაღლეს სასწავლებლებში ჩარიცხვას ეხებოდა. იმდროინდელმა პრესამ, როგორც საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების ერთადერთმა მესაჭემ, თავის თავზე აიღო ამ საკითხის წინ წამოწევა და საზოგადოების ყურადღების ეპიცენტრში მოქცევა.

XIX საუკუნის ცნობილი ქართველი პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე სერგეი მესხი წერდა: „ქალს ვერ გაუგია, რათ ეუბნებიან, რომ მისი დანიშნულება მარტო კეკლუცობაში და კაცების და თავის გრძნობების დაკმაყოფილებაში არ მდგომარეობსო, ვერ გაუგია, რათ აშორებენ მოარშიყე კავალერს, ტკბილი ხმების გამომძახ ფორტეპიანოს და რათ აჩეჩებენ ხელში რაღაც „ფლეთებს“, რომელნიც არ იცის სად და როგორ მოიხმაროს“. იმ პერიოდისათვის ეს საკითხი იმდენად აქტუალური იყო, რომ მისი მოგვარების რეალური გეგმაც არსებობდა. კვლავ სერგეი მესხს დავესესხებით: „ქალების სამოქალაქო უფლებების შეძენა, მათი ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება და ჭკუა-გონების გახსნა — სამივე ესენი ისეთნაირად არიან ერთმანეთზე დამოკიდებული... რომ ერთის უმეოროსოდ შეძენა და მეორეს უმესამოდ — შეუძლებელი საქმეა“.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს იყო ძალზე პროგრესული განაცხადი იმ დროისათვის, რეალურად იგივე პრობლემები არსებობს დღესაც, XXI საუკუნეში, როცა თითქოს ყველაფერს მივაღწიეთ, ადამიანთა დისკრიმინაციისა და რაიმე ნიშნის მიხედვით განსხვავების წინააღმდეგ ვიბრძვით, მაგ- [illegible]

ორგანიზაცია მუშაობს, მთელი მსოფლიოს მასშტაბით. საქართველოშიც სერიოზული მუშაობა დაიწყო ამ მიმართულებით. 2004 წლის 27 ოქტომბერს დაფუძნდა პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული გენდერული თანასწორობის საკონსულტაციო საბჭო. იგი საქართველოში პირველი ინსტიტუციონალური მექანიზმია, რომელიც გაეროს განვითარების პროგრამის „გენდერი და პოლიტიკა სამხრეთ კავკასიაში“ პროექტის მხარდაჭერით არის შექმნილი. საბჭო ლობირებას უწევს გენდერულ საკითხებს და მისი უმთავრესი ამოცანაა ითანამშრომლოს და გაცვალოს ინფორმაცია შე- [illegible]

დაწინაურება ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხი იქნებოდა, მართლაც, იმ პერიოდში მინისტრ ქალთა რიცხვმა მთავრობის წევრთა 20 პროცენტი შეადგინა, რაც საქართველოსთვის რეკორდული მაჩვენებელი იყო; ბოლო პერიოდში კი ეს მონაცემები მკვეთრად შეიცვალა, მინისტრის პოსტზე მხოლოდ ერთი ქალი დარჩა (სამოქალაქო ინტეგრაციის სახელმწიფო მინისტრი ზინაიდა ბესტაევაძ. რაც შეეხება პოლიტიკურ პარტიებს, თუ მათში ქალთა მონაწილეობას გადავხედავთ, დაახლოებით ამგვარ სურათს მივიღებთ; ქალთა სექციები მხოლოდ რამდენიმე პარტიაშია შექმნილი; იმ შემთხვევაში, თუ საარჩევნო სიები გენდერულად ასე თუ ისე დაბალანსებულია, პირველ ათეულში ქალი კანდიდატები პრაქტიკულად არ არიან წარმოდგენილი და ძირითადად სიის ბოლო ადგილებზე გვხვდებიან.



ყოველივე ამის უკან უამრავი მიზეზი დგას, მათგან ყველაზე მთავარი, ალბათ, სტერეოტიპული აზროვნებაა, რომელსაც საფუძველი კი მოერყა, მაგრამ ჯერჯერობით მაინც არსებობს. გენდერული თანასწორობა არათუ საზოგადოებრივ, არამედ ცოლქმრულ ურთიერთობაშიც კი არ არის მიღწეული. „აბა მიჩვენეთ ისეთი ქმარი, რომელმაც სთქვას, რომ ცოლი ჩემი მეგობარია, ჩემი ტოლიაო? რომელიც არ ამბობდეს, რომ „დედაკაცს თმაში აქვს ჭკუაო!“ და თუ ამისთანა ქმარს მიჩვენებთ, იმაშიც დამარწმუნეთ, რომ ეს კაცი თავის სიტყვისდაგვარად იქცეოდეს“, — წერდა სერგეი მესხი ჯერ კიდევ ერთი საუკუნის წინათ. ანალოგიური არა, მაგრამ დაახლოებით იგივე მდგომარეობაა დღესაც, თუმცა ბრძოლა დაწყებულია და გენდერული პოლიტიკა მნიშვნელოვან ნაბიჯებს დგამს. სქესთა ბალანსის პროცესი რევოლუციურად არა, მაგრამ ევოლუციურად მიმდინარეობს, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, საქართველოში ხელისუფლების ერთ-ერთ შტოს ქალი მართავს! ასე რომ, საჭესთან ნამდვილად ქალია, მაგრამ გვმართებს კი ამის გამო სიფრთხილე?!

**ანა ვაჩაძე,**
**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი**

⊙ საით მივდივართ?

# სტუმრის კაეშანი

**არ მიკვირდა, როცა ევროკავშირი საქართველოს ფინანსურად ეხმარებოდა, აქ მილიონებს აგზავნიდა. ვფიქრობდი, ჩვენც ევროპელები ვართ, — მეზობლები, ნათესავები, — ცოტა გვიჭირს და ფეხზე დასაყენებლად ხელს გვიწვდიან მეთქი. მაგრამ ძალიან გამიკვირდა, როცა იგივე ევროკავშირმა ასევე მილიონები გაუგზავნა კონგოს. ტვინს ვიჭყლეტდი, სად ევროპა და სად აფრიკა, ფული გადასაყრელი ჰქონიათ და ფანტონ მეთქი. თითქოს ჩემს გულში იჯდაო, ერთმა ჟურნალისტმა იმ ევროკავშირის წარმომადგენელს, იმ კონგოს დახმარების პროექტის ინიციატორს ზუსტად ჩემი კითხვა დაუსვა, — რად ისვრით თანხებს სხვა კონტინენტზეო? არ დამალა, პირდაპირ მიახალა: — იქ სამუშაო ადგილები უნდა შევქმნათ, ხალხი დავასაქმოთ, თორემ აფრიკამ წალეკა მთელი ევროპაო. აჰა, თუ ეგრეა, ეს ფულის გადაყრა კი არა, საკუთარ რეგიონზე ზრუნვაა, უცხოელთა შემოსევისგან დაცვაა, სისხლისა და ენის გადარჩენის საშუალებაა...**



მიაქციეთ ყურადღება: ევროკავშირმა 2007 წლის ბიუჯეტში უკვე ჩადო 15 მილიონი ევრო იმ ჩარტერული ავიარეისებისთვის, რომლებითაც სამშობლოში დააბრუნებენ ევროკავშირის ქვეყნებში შეპარულ იმიგრანტებს. თქვენ გგონიათ, რომ ეს თანხა ეყოფათ? რას ბრძანებთ! ბარე 9 ამდენს ის ქვეყნები გაიღებენ, რომლებიც გადატენილია გალატაკებული სტუმრებით. 2004 წელს, მაგალითად, გერმანიამ არალეგალთა რეპატრიაციისთვის გახარჯა 42 მილიონი ევრო, საფრანგეთმა კი — 31 მილიონი ევრო. ცხადია, საამისოდ თანხა სხვებმაც გახარჯეს. იმ პერიოდში ევროკავშირის სახელმწიფოებიდან გამოაბუნძულეს 200 ათასი კაცი. ფული აღარ ეყოთ თორემ...

არაოფიციალური მონაცემებით, ყოველწლიურად საქართველოდან ისევ გარბის დაახლოებით 30 ათასი კაცი. შეიძლება ზოგმა თქვას, — ეს დიდი, გაბერილი ციფრიაო. არც დიდია, არც გაბერილია. მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის მონაცემებით, 2002 წელს უცხოეთში თავშესაფრის მაძიებლის სტატუსით იმყოფებოდა 8000 ქართველი, 2003 წელს — ისევ 8000, 2004 წელს — 9000, 2005 წელს კი — 7000. არ დაგავიწყდეთ, — ეს „პრივილეგირებული", სუფთა საბუთების მქონე ხალხია, რომელსაც თავის გამჟღავნების არ ეშინია. ისე, მალულად, ჩუმად ჩასული რამდენია, იმას ვინ გაიგებს. ოფიციალურად, მაგალითად, საბერძნეთში 10000 ქართველია, არაოფიციალურად კი — 100 000.

საბერძნეთის გარდა, კიდევ საით გარბიან ქართველები? 2005 წელს, მაგალითად, იმავე საბერძნეთს თავშესაფარს სთხოვდა 1887 ქართველი, ავსტრიას — 955, კვიპროსს — 886, საფრანგეთს — 747, გერმანიას — 480. ჩვენები ბლომად არიან ბულგარეთშიც, შვეიცარიაშიც, ჩეხეთშიც, ჰოლანდიაშიც, ესპანეთშიც... ბევრგან მათ თვითმფრინავის ბილეთის გარდა, სხვა ფულსაც სთავაზობენ, ოღონდაც ის ქვეყანა დატოვონ, ოღონდაც სამშობლოში დაბრუნდნენ და აქ ხელი რაიმე საქმეს მოჰკიდონ, მაგრამ... სად ჩამოვიდნენ, ვის მოსთხოვონ სამსახური? მიმოიხედეთ ირგვლივ, — უმუშევარი უმუშევარზე ზის!

ჩვენი ხელისუფლების განცხადებით, მარტო 2006 წლის პირველ კვარტალში (დიახ, 3 თვეში) საქართველოში დარეგისტრირდა 16000 (დიახ, 16000) ახალი საწარმო. რას ნიშნავს, ხალხო, ეს? რა ციფრებია, რა საწარმოებია? თუ ამ ტემპით ვიარეთ, წლის ბოლოს 64000 ახალი საწარმო გვექნება და გაქცეული ქართველების უკან დაბრუნება კი არა, მუშახელის ჩამოყვანა კონგოდანაც დაგვჭირდება...

ამ ოციოდე წლის წინათ გავიგე გერმანიაში ნათქვამი, — სამშობლო არის იქ, სადაც ბევრი საჭმელიაო. მაშინ შუბლი შევიკარი, — გეკადრებათ მეთქი? ამ ოციოდე დღის წინათ კი გავიგე საფრანგეთში ნათქვამი, — სამშობლო არის იქ, სადაც ცოტა გადასახადიაო. ამას აღარც შუბლის შეკვრა ჰყოფნის და აღარც სახის დაჭყანვა. შეიძლება კაცს გულიც კი გაგისკდეს. რა ვიცი, იქნება ესა სჯობდეს უცხოეთში ლუკმაპურის ძებნას ან საქვეყნოდ მათხოვრობას.

**ბონდო გულიაშვილი**

⊙ ფრთხილად!





ორმაგი ღირსება

**ფეხბურთი სუპერ სპორტია,**
**სხვა სახეობებს არა ჰგავს,**
**მაგრამ თუ ფხიზლად არ იყავ**
**შთამომავლობას დაკარგავ.**

**ქვეყნის ღირსებას რომ იცავ**
**და გულიც ლხენით ივსება,**
**ეცადე, მაშინ დაიცვა**
**მამაკაცური ღირსებაც!**

**ხუხა ჯაბუა**

⊙ სასამართლო

# თოხახი ბავშვებიანად ამოხოცეს

**თიანეთის რაიონის სოფელ არტანში ათი წლის წინათ დიდი ტრაგედია დატრიალდა. ახალგაზრდა ცოლ-ქმარი მცირეწლოვან სამ შვილთან და ორ სტუმართან ერთად უცნობმა პირებმა ამოხოცეს. მეზობლებმა და ახლობლებმა მოკლულები მეორე დღეს ნახეს. პოლიციამ კი მაშინვე აიყვანა იმავე სოფელში მცხოვრები სამი ეჭვმიტანილი, რომელთაგან ერთ-ერთი ოჯახის ნათლია იყო. თუმცა ახლახან უზენაესმა სასამართლომ ისინი გაამართლა...**

ბოლო დროის გაჭირვებამ საქართველოს ბევრი მოქალაქე უცხოეთში გადახვეწა. მათ შორის არტანში მცხოვრები ცოლ-ქმარიც აღმოჩნდა. 1994-96 წლებში სონია და პავლე ბერიანიძეები სეზონურ სამუშაოზე მოსკოვში დადიოდნენ და ასე ინახავდნენ მრავალშვილიან ოჯახს. ბოლოს ისინი საქართველოში 1996 წლის სექტემბერში დაბრუნდნენ და თან 7 ათასი დოლარი ჩამოიტანეს.

მოსკოვში ცხოვრების პერიოდში მათთან სტუმრად მიდიოდა თანასოფლელი ზურაბ ქვიშხელი. იგი მეუღლესთან ერთად თბილისში ცხოვრობდა. ერთხელაც სოფელში, მამის სახლში ჩასულს, პავლე ცოლისძმასთან ერთად ესტუმრა. ქეიფის დროს ქვიშხელმა გაიგო, რომ პავლეს მოსკოვიდან 7 ათასი დოლარი ჰქონდა ჩამოტანილი. პოლიციამ ხელი ჩასჭიდა ზურაბის იმ დროს სოფელში ჩასვლას და ამ ინფორმაციის შეტყობას. ქვიშხელი მკვლელობის ორგანიზატორად სცნეს. ეჭვის მიზეზს მისი ოთხჯერ ქურდობისთვის ნასამართლევობაც ამძაფრებდა.

წინასწარი გამოძიებით, ქვიშხელი დაუკავშირდა თანასოფლელებს ნიკო ჭაბაშვილს და გენადი პატაშვილს, რომელიც ერთ-ერთი მოკლული ბავშვის ნათლია იყო. დაყაჩაღებაში თანამონაწილეობაზე მათგან თანხმობა მიიღო. ქვიშხელი და პატაშვილი თბილისში ჩავიდნენ და ნათესავს მანქანა გამოართვეს, თან სახის შესანიღბად კაპრონის წინდები შეიძინეს და სოფელში გვიან ღამით დაბრუნდნენ. მანქანა სახლიდან 200 მეტრში გააჩერეს, თვითონ კი ნიღბებით და ავტომატებით ბინაში შევიდნენ. ფულის ძებნის დროს, ხმაურზე ოჯახის წევრებს გამოეღვიძათ და ქურდები ხმაზე იცნეს. ეს კი მათი დახოცვის მიზეზი გახდა. ცოლ-ქმართან ერთად საწოლში ჩახოცეს მცირეწლოვანი შვილები — გიორგი, მაია და ნინო, ასევე ოჯახის სტუმრები — შოთა და ევა პაპუნაშვილები.

დიდი მცდელობის მიუხედავად, დიასახლისის მიერ გადამალული 25300 რუბლი და 3800 დოლარი ვერ იპოვეს და იძულებული გახდნენ შემთხვევის ადგილი მიეტოვებინათ. ისინი თიანეთში მიიმალნენ, მანქანა კი პატრონთან ჯაბა ჯაბაურს გაატანეს, თან შეუთვალეს — გადამალეო. პატრონმა ის ნაწილებად დაშალა და ისე გაყიდა, პასპორტი კი დაწვა. ამის შემდეგ სამეული, ალიბის შესაქმნელად თიანეთში, ახლობლის სახლში წავიდა და ქეიფი გააბა. დილით მეზობლებმა მომხდარი შეატყობინეს, თუმცა ქეიფი არ შეუწყვეტიათ. იქიდან ნასვამები სამძიმარზე მისულ ხალხს შეუერთდნენ. ქვიშხელი პოლიციამ მისვლისთანავე აიყვანა, მკვლელობაში რომ ვერ გამოტეხეს, მანქანის ქურდობისთვის გაასამართლეს და ერთწლიანი პირობითი სასჯელი დაადეს.

ამის შემდეგ ქვიშხელმა თანამზრახველებთან ერთად უამრავი ქურდობა ჩაიდინა. გორის რაიონში „კამაზის" ავტომანქანები გაძარცვეს, ნაწილები კი ნახევარ ფასში თბილისის ბაზრობებზე გაყიდეს. გატაცებულმა ქონებამ 3050 ლარი შეადგინა.



1999 წელს ქვიშხელი მეუღლესთან ერთად საცხოვრებლად რუსეთში წავიდა, სადაც 2002 წლის აპრილში ქურდობისთვის გაასამართლეს და 3 წლით პატიმრობა მიუსაჯეს. 2003 წლის ოქტომბერში საქართველოში მოსკოვიდან თვითმფრინავით ჩამოიყვანეს და აეროპორტიდან პირდაპირ შინაგან საქმეთა სამინისტროში წარადგინეს.

ქვიშხელის განმარტებით, იქ ხუთმა ნიღბიანმა პიროვნებამ სასტიკად აწამა, დენზე მიაერთა, მერე თავზე რაღაც ჩამოაცვეს, სუნთქვა დაუხშვეს, ხელკეტები დასცხეს და თიანური ოჯახის ამოწყვეტა აღიარებინეს.

სასამართლომ ამ და სხვა მტკიცებულებების, ასევე მოწმეთა ჩვენებების საფუძველზე ქვიშხელს, პატაშვილს და ჭაბაშვილს ყაჩაღობის და მკვლელობის ბრალდება მოუხსნა, ხოლო ნამდვილ დამნაშავეთა დადგენა-დაკავების მიზნით საქმე გენერალურ პროკურატურას დაუბრუნა.

50 წლის გენადი პატაშვილი და 41 წლის ნიკო ჭაბაშვილი გაათავისუფლეს, 40 წლის ზურაბ ქვიშხელს კი ქურდობისთვის მისჯილი სამწლიანი პატიმრობა დაუტოვეს.

**ისე, ვინ ან როდის მიაგნებს იმ 7 ადამიანის მკვლელს?**

**ლელა მანაველიშვილი**

⊙ ჟრუანტელი

### მოყვარეც და მტერიც

**ყოველ 100 000 კაცზე გაანგარიშებით, დიდ ბრიტანეთში ავტოავარიებში იღუპება საშუალოდ 6 ადამიანი, იაპონიაში — 7, გერმანიაში — 8, საფრანგეთში — 10, ავსტრიაში — 11, ესპანეთში — 13, აშშ-ში — 14, პოლონეთში — 15, ლიტვაში — 22, ხოლო რუსეთში — 25 ადამიანი. მოძრაობის წესების დარღვევის გამო ყველაზე დიდი ჯარიმებია ესპანეთში, ყველაზე პატარა კი — გერმანიაში.**

### ნეტავ, სად შოულობენ?

**მონარქებსა და დიქტატორებში ყველაზე მდიდარია საუდის არაბეთის მეფე აბდულა ბინ აბდულაზიზი (21 მილიარდი დოლარი); შემდეგ მოდის ბრუნეის სულთანი ჰასანალ ბოლკიახი (20 მილიარდი); მესამე ადგილს იკავებს არაბთა გაერთიანებული ემირატების პრეზიდენტი, შეიხი ხალიფა ბენ ზაიდ ალ-ნახაიანი (19 მილიარდი); მეოთხეს — დუბაის ემირი, შეიხი მუჰამედ ბინ რაშიდ ალ-მაქტუმი (14 მილიარდი); მეხუთეს კი — ლიხტენშტეინის თავადი ჰანს ადამ მეორე (4 მილიარდი). როგორც ამბობენ, დაახლოებით თითო მილიარდი დოლარი აქვთ მონაკოს თავად ალბერ მეორეს და კუბის ლიდერ ფიდელ კასტროს.**

### ეგე, რას ამბობენ...

**გაეროს განვითარების ექსპერტთა დასკვნით, ყოფილი საბჭოთა ბლოკის ქვეყნებიდან სიღარიბეს თავი დააღწიეს მხოლოდ ჩეხეთმა, სლოვაკეთმა და სლოვენიამ. მოლდოვასა და საქართველოში მოსახლეობის 50 პროცენტი სიღარიბის ზღვარზე ცხოვრობს. ტაჯიკეთში მთლიანი შიდა პროდუქტი ისეთივე დაბალია, როგორც რუანდაში, უგანდასა და კოტ დიუვარში. ამ ბლოკის 60 მილიონი კაცის შემოსავალი დღეში 2 დოლარსაც ვერ აღწევს.**

### ისევ დახვრეტა ელანდებათ

**რუსეთის ხელისუფლების მაღალ ეშელონებში კორუფციამ ლამის პიკს მიაღწია. გენერალური პროკურორი ვლადიმერ უსტინოვი ძირითადად ამას გადაჰყვა. გამოკითხული მოსახლეობის 43 პროცენტი თვლის, რომ ჩინოვნიკებს ქრთამის აღებას მხოლოდ დახვრეტა გადააჩვევს. 32 პროცენტის აზრით კი, მათი გამოსწორება შეუძლებელია. 23 პროცენტი „წამლად" მიიჩნევს გამჭირვალობას, 3 პროცენტი კი — ხელფასების გადიდებას.**

### დამელაპარაკე, შე კაცო!

**დიდ ბრიტანეთში დაადგინეს, რომ ბედნიერების ყველაზე დიდი საიდუმლო იმალება ადამიანებთან ურთიერთობაში. სპეციალურმა გამოკვლევებმა აჩვენეს, რომ ყველაზე შესანიშნავად თავს გრძნობენ პარიკმახერები და კოსმეტოლოგები, რომლებიც ყოველდღიურად ხვდებიან ახალ-ახალ კლიენტებს. მესამე ადგილზე გავიდნენ მღვდლები. ამ ცხოვრებით უკმაყოფილონი აღმოჩნდნენ გონებრივად მომუშავე სპეციალისტები, „თეთრსაყელოიანი" მენეჯერები და კარჩაკეტილი ჩინოვნიკები.**

### ყანწებს რაღა ვუყოთ?

**ის ქალები, რომლებიც ყოველდღიურად წრუპავენ სასმელს, თურმე გაცილებით უკეთესად აზროვნებენ, ვიდრე მათი უკარება კოლეგები. კოლუმბიის უნივერსიტეტის მეცნიერთა დასკვნით, აუცილებელიც კია, რომ ქალებმა დღეღამეში მიიღონ ერთი ულუფა ალკოჰოლი, კაცებმა კი — ორი. აშშ-ში ერთი ულუფა ალკოჰოლი უდრის დაახლოებით 50 გრამ კონიაკს, 120 გრამ ღვინოს და 50 გრამ ლუდს.**

◎ ტვირთი?!

(მეოთხე გვერდიდან)

# შვილო, შემოგევლე, ხომ კარგად მყავხარ!

ახლა საჯაროობის, და დემოკრატიზაციის დროს, ძალიან ბევრ რამეზე ვამბობთ უარს. ვთავისუფლდებით დოგმის მონობისგან, დაბნეულობისგან, მაგრამ გარდაქმნის „რევოლუციური ხომალდიდან“ გზადაგზა ხომ არ ვყრით იმ „ძველებურ“ აუცილებელ ნივთებს, ურომლისოდაც ჩვენ ახალ ცხოვრებას არავითარი აზრი არ ექნება – სიყვარულს, სიკეთეს, გაჭირვებულისადმი გულმოწყალებას?

ჩვენში ხომ, სამწუხაროდ, სინდისის, ღირსების უქონლობისთვის, სიტყვის გატეხვისთვის, ახლობლის მოტყუებისთვის კანონით არ ისჯებიან.

გვესმის, ერთად ცხოვრების დროს მოხუცი ადამიანები ზოგჯერ ჭირვეულები ხდებიან, ახალგაზრდები კი ძალიან დატვირთულები არიან, მაგრამ ეს როდი გვათავისუფლებს მოვალეობისგან. ჩვენს შეგნებაში აქსიომად უნდა იქცეს სიბერისადმი პატივცემული დამოკიდებულება – ჩვენი რეალური გამოცდა, მაგრამ განა ბევრი აბარებს ამ გამოცდას?

ვიყოთ გულწრფელნი და გავიხსენოთ როცა თეატრში, ან სამსახურში გვაგვიანდება, მოვქრივართ მეტროში და სულაც არ გვაღელვებს საცოდავი მოხუცის ბედი, რომელიც მიწისქვეშა გადასასვლელში ჩუმად მიყუჟულა, გამოუწვდია ხელი, ზემოთაც არ იხედება, რცხვენია, მაგრამ სხვა გზა არა აქვს, ის უკვე შეეჩვია საზოგადოების გულგრილობას და უკვე აღარ ელის ჩვენს დახმარებას.

როგორ მივედით აქამდე?

**„10 შვილის დედას, არავინ დაივიწყებს, როგორც არ უნდა შეიცვალოს ეპოქა, – გვწერს (სტილი დაცულია) ხარაგაულიდან ერთი მოხუცი მანდილოსანი.**

**– მე უკვე 78 წლის ვარ, მეუღლე 93-ის, იგი უკვე 13 წელიწადია, უსინათლოა, მადლობა მთავრობას, რომ მის მიერ ნაჩუქარ ლუკმას ვჭამთ უფასო სასადილოში, თორემ რა გვეშველებოდა, ჩვენ საწყლებს მუშაობა აღარ შეგვიძლია, როგორი გაჭირვებით გავზარდე შვილები და დღეს ჩვენთვის აღარ სცალიათ. ზოგი ზედსიძედ არის, ზოგი ქალაქშია, ჩვენ მოხუცებულები, დაუძლურებულნი, დასუსტებულნი, სახლი დანგრევაზე გვაქვს, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ. დღესდღეობით ვერაფერს ვაკეთებთ საზოგადოებისთვის სასარგებლოს, მაგრამ 10 შვილი ერის გამრავლება არ არის? ისინი პატიოსანი შრომით რაღაცას ქმნიან და ოჯახი აქვთ. ეს ყველაფერი სასიკეთო ნაშრომი მგონია.**

**რა გვეშველება, ვინ გამოგვიწვდით დახმარების ხელს თუ არა შვილები, შვილები კი შეცვლილ ეპოქაში ცხოვრობენ, მათი შეგნებაც შეცვლილია, შეგნება მოძრავი ნივთი არ არის, რომ ვინმემ ვინმეს აჩუქოს, ეს ან ბუნებამ უნდა დააყოლოს, ან ცოდნამ“.**

სამწუხაროდ, ხშირია მსგავსი შემთხვევები, საზოგადოებაში კი თითქმის არც კი მსჯელობენ ამის შესახებ. დამნაშავეებს არ კიცხავენ.

აბა, რომელი კათედრიდან ან რა ჭეშმარიტება უნდა უქადაგო ახალგაზრდებს, თუ მოხუცებული დედა უსახლკაროდ გყავს მიტოვებული? ასეთ შვილებს უნდა შევახსენოთ, ის რაც საქორწინო და საოჯახო კოდექსში წერია: შვილები მოვალენი არიან იზრუნონ მშობლებისთვის და დაეხმარონ მათ, სრულწლოვანი **შვილები მოვალენი არიან არჩინონ შრომისუუნარო მშობლები, რომლებსაც დახმარება სჭირდებათ (უნდა გჭირდებოდეს კი ამის შეხსენება?!ძ.**

ვფიქრობთ, დროა ყველგან უფრო მეტი იზრუნონ ოჯახური ურთიერთობის მოგვარებისთვის.

ამ წერილს რეზოლუცია არ ედო. მე თვითონ უნდა გადამეწყვიტა, როგორ მოვქცეულიყავი, ავტორი არაფერს ითხოვდა, არც არავის უჩიოდა, არც ვინმეს ერჩოდა, იმასაც არ გვთხოვდა, მირჩიეთ, როგორ მოვიქცეო, უბრალოდ გვიამბობდა თავის ამბებს. იმდენი ნაღველი და სევდა გამოჭვიოდა ამ მონაყოლში, რომ არ შეიძლებოდა გულგრილი დავრჩენილიყავით.

**„ – ჩემი დიდი ბედნიერება ყოველთვის ოჯახი იყო. მქონდა მშვენიერი სამსახური, ჯანმრთელი ვიყავი, და ახალგაზრდა, გარდამეცვალა მეუღლე, ქალიშვილი თავის ოჯახთან ერთად ჩემგან შორს, ქალაქის მეორე ბოლოში ცხოვრობს. ჩემთან მხოლოდ შაბათობით მოდის. შეიძლება ითქვას, შაბათი მისთვის ჯოჯოხეთადაა ქცეული. დილიდან საღამომდე კატორღულად შრომობს, რეცხავს და ხეხავს, თუ რაიმე კაცის საქმეა გასაკეთებელი, ის აკეთებს, სადილს მიმზადებს, ერთი წუთით მოცლა არა აქვს, ხან გულიანად ვერც კი მომიკითხავს. პირდაპირ სამზარეულოში შედის. ფიზიკური შრომა აღარც შემიძლია, ხერხემალი მტკივა, გულიც არა მაქვს ჯანმრთელი. დიდი მადლობელი ვარ ჩემი ქალიშვილის, მაგრამ არის მედლის მეორე მხარე. ყველაზე დიდი უბედურებაა ჩემთვის ის, რომ ქალიშვილს საკუთარ სახლში სულ მიეჩქარება. ისეთი გაღიზიანებულია, ხმის ამოღების მეშინია. მე დამნაშავედ ვგრძნობ თავს, ასე რომ ილლება, ისე მიდის, გულიანად არ დამელაპარაკება. მე კვლავ მარტო ვრჩები ჩემს ფიქრებთან. ვგრძნობ არავის ვუნდივარ. მე კი როგორ მჭირდება შვილის სითბო, თავისთან არ შეუძლია გადამიყვანოს. ფართობი არ ჰყოფნის. ჩემთან კი არ უნდათ გადმოსვლა. აი, ისე ვგრძნობ თავს, თითქოს ცივ ქვესკნელში ვიყო“.**

ამ კონკრეტულ შემთხვევაში ქალიშვილი თითქოს პირნათლად იხდის მოვალეობას მშობლის წინაშე, უყურადღებოდ არ ტოვებს, მაგრამ ეს განა საკმარისია?

ერთი მწერალი წერდა: მარტოობა ავადმყოფობასავით არის, მას მხოლოდ სიყვარული კურნავსო.

ვერც უსიყვარულობას დავწამებთ ამ ქალიშვილს, ალბათ, ჩვენმა ასეთმა ცხოვრებამ, სულ რომ გვეჩქარება, სულ რომ ვერ ვასწრებთ, დრო არ გვყოფნის, საზრუნავი მოგვიმრავლდა, გამოიწვია ის, რომ ხშირად ერთ ჭერქვეშ მყოფნიც ვეღარ ვიცლით ერთმანეთისთვის. ზოგჯერ იმდენი რამე გაწევს მხრებზე, გეჩვენება, უფლება გაქვს, მოიხსნა პასუხისმგებლობა და კიდევ უფრო მეტი, იძულებული ხდები მიატოვო ადამიანი. მაგრამ ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, დაეხმარო მშობლებს მოხუცებულობაში, როგორებიც არ უნდა იყვნენ ისინი – ეს თითოეული ჩვენთაგანის წმიდათაწმიდა მოვალეობაა.

**უკვე მესმის ოპონენტების გაღიზიანებული ხმა – ზედმეტ ლიბერალობას და მოკრძალებას ხომ არ იჩენთო იმათი მისამართით, ვინც ასე უდიერად ექცევა მშობლებს? ნუთუ ახლა, როცა ყოველდღე რადიოთი გვესმის საუბარი მოწყალებაზე, გაზეთებში ვკითხულობთ, როგორ ეხმარებიან დაზარალებულთ, ასეთი საძაგელი რამ ხდება ჩვენს ირგვლივ, უსახლკაროდ, მოუვლელნი დადიან მშობლები, ეს არავის ენაღვლება? დროა, ქაღალდის მიღმა დაგვანახოთ ადამიანი. რატომ არ ასახელებთ გვარებს, განსაკუთრებით მათ გვარებს, ვისაც სამართალმა უნდა დააკისროს დედისთვის ალიმენტის გადახდა?**

რატომ?

**მხოლოდ და მხოლოდ ისევ იმ მოხუცებულების თხოვნას ვასრულებთ – შვილებს ნუ გაგვილანძღავთო.**

და მართლაც, განა ბევრი დედა მოიძებნება, რომელსაც როდესმე უჩივლია შვილისთვის, რატომ არ მეხმარებიო, განა იოლია, მოწყალება სთხოვო საკუთარ შვილს?

ეთიკოსებიც ხომ ამტკიცებენ, ჩვეულებრივ ფიზიკურ სასჯელზე მეტად ადამიანებს შერცხვენის ეშინიათ, რადგან სულისთვის ის უმაღლესი სასჯელიაო.

**ვფიქრობთ, არავითარ სასჯელს არ უნდა მოვერიდოთ მათ მიმართ, ვისაც მოხუცი მშობელი ტვირთად დასწოლია.**

**საბავშვო ბაღიდან უნდა ვასწავლოთ ბავშვებს თანაცხოვრების ყველაზე მთავარი წესი: გეცოდებოდეს სუსტი, დაეხმარე გაჭირვებულს და ავადმყოფს, პატივი ეცი მოხუცებულს.**

**ჩემი ნება რომ იყოს, პირველი კლასიდანვე შემოვიღებდი ეთიკისა და სიკეთის გაკვეთილებს და გამოცდებსაც კი დავაწესებდი, როგორც ყველაზე მნიშვნელოვან საგანში.**

**მარადი ანასაშვილი**

◎ ინფორმაცია

## სულხან მოლაშვილს სასჯელი არ შეუმსუბუქეს

**უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს სასჯელის ზომა არ შეუმსუბუქეს.**

**უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ არ დააკმაყოფილა დაკავებულის ადვოკატების შუამდგომლობა, რომლებიც მოლაშვილისთვის თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებული განაჩენის გაუქმებას მოითხოვდნენ, რომლითაც კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს რვა წლით პატიმრობა მიესაჯა. სასამართლოში საბოლოო განაჩენის გამოცხადებას მოლაშვილის მეუღლის და მამის მხრიდან ემოციური რეპლიკები მოჰყვა.**

**როგორც პროცესის შემდგომ, დაკავებულის ერთ-ერთმა ადვოკატმა იოსებ ბარათაშვილმა აღნიშნა, საქართველოში მხოლოდ დაკვეთით ხდება განაჩენების გამოტანა. მისი თქმით, სასამართლოს ამგვარი განაჩენი ქვეყნის ნგრევის სერიოზული ნიშანია. ადვოკატები უახლოეს ხანში ევროპის ადამიანის უფლებათა სტრასბურგის სასამართლოს სარჩელით მიმართავენ, სადაც მოლაშვილის საქმის არსებით განხილვას მოითხოვენ.**

## ამ სიცხეშიც სწავლობდნენ?

**განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ალექსანდრე ლომაიას № 414 ბრძანებით დადგენილი გრაფიკის შესაბამისად, თბილისის, აჭარის, გურიის, იმერეთის, ქვემო ქართლის (რუსთავი, გარდაბანი, თეთრიწყარო, ბოლნისი), ქვემო სვანეთის (ლენტეხი), სამცხე ჯავახეთის (ბორჯომი) და სამეგრელოს სკოლების II-X კალსელთათვის საზაფხულო არდადეგები გუშინ დაიწყო.**

**ინტერპრესნიუსი**

◎ სტუმარი

# მეფე – სტაბილურობის, ზნეობის, სიმტკიცის გარანტი

**დღეს, 24 ივნისს მეფის ნაცვლის ყოფილ სასახლეში, რუსთაველის გამზირის ექვს ნომერში „სარკეებიან დარბაზში“, 18 საათზე უჩვეულო შეხვედრა გაიმართება. საზოგადოება შეხვდება ჟურნალისტს და მისი ნარკვევების, რეპორტაჟების, ესეების გმირებს. საღამო ეძღვნება ჩვენი კოლეგის, „საქართველოს რესპუბლიკის“ რუბრიკის „გზა მონარქიისაკენ“ წამყვანს, ცნობილ ჟურნალისტს, საქართველოს ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების, თავად-აზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულოს გამგეობის თავმჯდომარეს, ქალბატონ ია ბაგრატიონ-მუხრანელს.**

**ჟურნალისტები საკუთარ თავზე იშვიათად წერენ, ჩვენი მთავარი მისია არის ქვეყნის, ეპოქის, საზოგადოების მაჯისცემის ასახვა, ერისა და ბერის საჭირბოროტო საკითხების გაშუქება, უტყუარი მატიანის შექმნა მომავალი თაობებისათვის. დღევანდელი ნომრის სტუმარია ქალბატონი ია მუხრანელი.**

**– ქალბატონო ია! საინტერესოა თქვენი აზრი ჟურნალისტიკაზე.**

– 40 წელია ჟურნალისტი ვარ . ყოველთვის ვერიდებოდი კალკებს, მკვდრად შობილ დეფინიციებს ან უცხო ქვეყნებიდან მოწოდებულ სტერეოტიპებს. ვერ ვლებულობ ვერც „მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს“, ვერც „მასმედიას“, ვერც „მეოთხე ხელისუფლებას“... ჟურნალისტიკა, ჩემი თვალთახედვით, არის ექსტრიმ-შემოქმედება, მოყვასის, დაჩაგრულის, გაუბედურებულის განსაკუთრებული დაცვა, პრობლემების ცოდნა და მათი გადაჭრის, ახსნის განსაკუთრებული ნიჭი. სამწუხაროდ, ჩვენ მოწმენი ვართ, თუ რა ოსტატურად სპობენ ქართულ ჟურნალისტიკას. ფაკულტეტი უნივერსიტეტში – „მიმართულებებში“ ჩაწერეს, გაზეთებს შენობებს ართმევენ, ტელეარხებს ხურავენ, ფინანსურ ბერკეტებს ამუშავებენ... ჭეშმარიტი, მოუსყიდავი, პატიოსანი ჟურნალისტები არავითარ დახმარებას, მხარდაჭერას არ გრძნობენ, მეტიც, ხშირად დევნას, მუქარას, შანტაჟს, დაპატიმრებას, ზეწოლას განიცდიან. მე ეს ეტაპები გავიარე. და მოხარული ვარ, რომ არცერთი ჯილდო, სიგელი, წოდება მთავრობისგან არ მიმიღია.

**– 1990 წელს ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა თქვენი ვრცელი სტატია: „კოლეგებო, დაბრუნდით, ბრძოლა გრძელდება!“ რას ეტყოდით კოლეგებს დღეს?**

– საქართველოს ჟურნალისტიკის და კოლეგების ბედი მუდამ მაწუხებდა, როდესაც ეგ სტატია დავწერე, ჟურნალისტები იმ დროს მცირე ხელფასების გამო გაზეთებს ტოვებდნენ. ზოგი ბიზნესში მიდიოდა, ზოგი პოლიტიკურ პარტიებში მოკალათდა, ზოგი მმართველ სტრუქტურებში... მე მაშინაც უმუშევარი ვიყავი და ახლაც, საკავშირო გაზეთ „სოვეტსკაია კულტურას“ კო-



რესპონდენტი ვიყავი და პროტესტის ნიშნად დავტოვე.

**– მაშინ დაინიშნეთ „ზარია ვოსტოკას“ რედაქტორად?**

– ცოტა მოგვიანებით. 1991 წლის დასაწყისში. პრეზიდენტთან – ბატონ ზვიად გამსახურდიასთან გამომიძახეს. იმის მიუხედავად, რომ პირადად არ მიცნობდა, გაზეთის რედაქტორობა შემომთავაზა. უარი ვთქვი. ერთი კვირის შემდეგ კვლავ გამომიძახეს და პრეზიდენტმა სევდიანად მითხრა: „საქართველოს სჭირდება პროფესიული ქართული გაზეთი რუსულ ენაზე“. მეც დავთანხმდი. რედაქციაში უმძიმესი სიტუაცია დამხვდა. კრიზისის, უნდობლობის, დასმენის ატმოსფეროში ვაშენებდით გაზეთს, რომელსაც დავარქვით: „სვობოდნაია გრუზია“. დღე-ღამე გასწორებული მქონდა, სამჯერ გავზარდეთ ტირაჟი, გავხსენით საზოგადოებრივი უნივერსიტეტი არაქართველთათვის, ქართული ენის შემსწავლელი კურსები, იურიდიული კონსულტაცია, ვხვდებოდით მოსახლეობას საქართველოს ყველა კუთხეში, შემოვიღეთ ახალი რუბრიკა: „პასუხი ცილისმწამებლებს!“.

**– რატომ წამოხვედით გაზეთიდან?**

– 1991 წელი საბედისწერო იყო ქვეყნისათვის, დამოუკიდებლობისათვის, ჩემთვის... დეზინფორმაციის, სიცრუის, შანტაჟის ბაკქანალია გრძელდებოდა. 1991 წლის 22 დეკემბრამდე. 22 დეკემბერს რუსეთმა საბჭოთა კავშირის ოფიციალურ გარდაცვალების დღეს სპეცსამსახურებზე, წითელ ინტელიგენციაზე, პარტოკრატებზე, მოღალატეებზე დაყრდნობით დაიწყო რუსეთ-საქართველოს ომი. მე ეს ომი შევაფასე როგორც საქართველოს მესამე ანექსია-ოკუპაცია. დღეში ორჯერ დავდიოდი ტყვიის წვიმაში უზენაესი საბჭოს და პარლამენტის შენობაში, ვსაუბრობდი პრეზიდენტთან, დეპუტატებთან, პირტიტველა ბიჭებთან, რომლებიც ჩამოვიდნენ პრეზიდენტის და საქართველოს დასაცავად. ჩვენ დავიწყეთ გაზეთის გამოცემა იატაკქვეშეთში. ვერასდროს დავივიწყებ სიხარულით ანთებულ თვალებს, როცა ახალი ნომრები მიმქონდა. მაშინ ვიგრძენი პირველად იმ ტრაგიკულ ვითარებაში, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა სიმართლეს. 29 დეკემბერს პარლამენტის შენობაში დაიღუპა ჩემი ვაჟი – ვახტანგ ამირეჯიბი.

მზე დაბნელდა. გაზეთის რედაქტორად ა. სილაგაძე ისე მიიყვანეს, ჩემი განთავისუფლების ან მოხსნის ბრძანებაც კი არ დაუწერიათ.

**– ქალბატონო ია! რას იტყოდით მონარქიაზე, ვის ეკუთვნის საქართველოს ტახტი?**

– 1990 წლიდან, როდესაც ისტორიულ საგვარეულოთა შთამომავლების, თავადაზნაურთა და მათ თანამდგომთა საკრებულო დავაარსეთ, ვიბრძვით ამ მონარქიზმის დასამკვიდრებლად.

ჩვენი წარსული ჩვენი ქვეყნის დიდების დასტურია, როცა ქვეყანას ღვთივკურთხეული მეფენი მართავდნენ. „მტკიცედ უფროის კლდეთა მყართა“ იდგნენ ბაგრატიონები ქვეყნის, რწმენის, ქართველობის დასაცავად „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“. ბაგრატიონების ფენომენი, რომელთაც უკვე ადრეფეოდალურ ხანაში მოიხვეჭეს სახელი, დღესაც არ არის ჯეროვნად შეფასებული და აღიარებული. მომავალი მეფე აუცილებლად ამ დინასტიიდან უნდა იყოს, რომელიც უძველესია ევროპაში.

ამჟამად საქართველოში და ესპანეთში ცხოვრობენ ბაგრატიონთა სამივე შტოს წარმომადგენლები. პირადად მე არავის არ ვხედავ სამეფო ტახტზე ასასვლელად. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ბაგრატიონთა რამდენიმე წყვილის პირმშოები პატრიარქმა უნდა გაზარდოს აქ, საქართველოს წიაღში. ამ ქართული მსოფლმხედველობის, შემართების, ზნეობის, ახალგაზრდებში უფალი გამოარჩენს ღირსეულს.

მეფე არც ინიშნება და არც ირჩევა. იგი მოგვევლინება, როგორც ერის ისტორიული და გენეტიკური კოდის გამომხატველი, წარსულის და მომავლის დამაკავშირებელი, მთლიანობის და სტაბილურობის, რწმენის, ზნეობის, სიმტკიცის გარანტი...

**ესაუბრა**
**გურამ წიკლაური**



ყოველკვირეული ლიტერატურულ-პუბლიცისტური ჩანართი №61



გამოხმაურება

# ჩა(ნახატი) უბის წიგნაკში

*„ასე უყვარდათ საქართველოში“ – ამ სათაურით, გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“ გამოქვეყნდა ლიტერატურის მუზეუმში დაცული გურამ ასათიანის წერილები მეუღლისადმი, მანანა ქიქოძისადმი.*

*სტილის გაიგივება პიროვნებასთან ახალი არ გახლავთ, მაგრამ ყოველთვის სიახლის განცდას იწვევს ადამიანის აღმოჩენა მისივე ნაწერის მიხედვით.*

*პირადი წერილების პუბლიკაციის გაცნობის შემდეგ, ვფიქრობ, მკითხველისთვის სულ სხვაგვარად გაცოცხლდა გურამ ასათიანი. მწერლის უბის წიგნაკი და წერილები საყვარელი ქალისადმი გახდა იმპულსი ჩემეული ინტერპრეტაციული პორტრეტის შექმნისა.*




წიგნს ვშლი და ვკითხულობ. დიდი არ არის და მალე მოვრჩები, – ვფიქრობ, ჩემთვის. ჩავამთავრე, თუმცა კარგად ვერ აღვიქვი. დედაჩემმა მირჩია, მეორედაც წაიკითხეო, უფრო გულდასმით, სტრიქონებს შუა. ვცდილობ, მაგრამ პირველსავე წინადადებაზე მარცხს განვიცდი და სხვა ხერხს ვეძებ ადამინის ნაფიქრალიდან მისი პორტრეტის აღსადგენად. სიტყვებს ვერ ვიმორჩილებ – ისევ ვმარცხდები. ახლა უკვე ფოტოს ჩავცქერი, რომელიც ამავე წიგნის ყდაზეა გამოსახული. შავ-თეთრია. **თვალები არ უჩანს. ასე რომ, მის შინაგან სამყაროზე ვერაფერს გავიგებ (თვალები ხომ სულის სარკეა). ისევ ვაკვირდები... მაღალი შუბლი აქვს – ფიქრი ჰყვარებია, თან თვალებიც რომ დახრილი აქვს... ჩაფიქრებულა?! იქნებ სამშობლოს ბედზე, ან იქნებ თავისაზე, წუთისოფლის ამაოებაზე? ხელის მტევანს ნიკაპით დაყრდნობია – აკაკის ცნობილ პორტრეტს მაგონებს, თვალის კუთხეებიდან ოდნავ შესამჩნევი მწუხარე ღიმილი რომ გამოუკრთის... წარბები შეჭმუხნული აქვს – რაღაც ტკივილიან ფიქრს შეუწუხებია...**

„საოცარია: ყველაზე მეტად ქართველი თითქოს ქართველს მტრობს, მაგრამ უქართველოდ გაძლება არ შეუძლია, ვინაიდან მაინცდამაინც მასთან სურს მეტოქეობა, დატოლება, ძალის მოსინჯვა... ეს მხოლოდ წარსულ საუკუნეთა მემკვიდრეობა არ არის...“

რა მწარე და ამავე დროს, ღიმილისმომგვრელი შეფასებაა.... თანამედროვეობისთვისაც აქტუალური... ვინ არის? – კრიტიკოსი, მრავალი წიგნისა და წერილის ავტორი... თუმცა ეს ხომ ბევრმა იცის (ყველამ თუ არა), ხოლო ის, რაც ამ ბევრმაც არ იცის, იქნებ ყველაზე საინტერესოცაა.

უბის წიგნაკიდან:

**„როგორ იცინოდნენ საქართველოში“. მინდა დავწერო ასეთი წიგნი, რომელიც ქართველ მკითხველს შეუყვარდება. მინდა, ეს წიგნი კარგად იყოს გაფორმებული, ცოტა გიჟურად, ლანდებით, რომლებიც იცინიან, ხარხარებენ, გული უწუხთ სიცილისგან, ლურჯდებიან, იგუდებიან ან ოდნავ შესამჩნევი, დამცინავი ღიმილით შემოგცქერიან“.**

ვკითხულობ და მიკვირს, რა კარგად იცნობს ქართულ ხასიათს. თვალწინ წარმოგიდგება სიცილისგან დაოსებული ქართველი, თავისი მამაპაპური როხროხა ხმით, რომელიც ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისმის ან დამცინავი ღიმილი დასთამაშებს სახეზე... შენ კი, ახალ ქართველს, თვალი ვერ გაგისწორებია მისთვის... **„ადამიანი ცოცხალია მანამ, სანამ ის ბედნიერებას ეძებს. მხოლოდ დიდი ტკივილის ხარჯით შეიძლება ბედნიერების ნაპირებთან მიახლოება...“**

ტკივილი კი მრავალნაირია, მისი დაძლევით მიღწეული ბედნიერებაც. თამაზ ჩხენკელი (მეგობარიძ იხსენებს – „ლიტერატურასა და ზეპირ საზოგადოებაშიც ხშირად უხდებოდა ლავირება, რადგან აქტიურ დამოკიდებულებაში იყო ერთთანაც და მეორესთანაც. მას არ შეეძლო გატრუნულიყო. აქაც და იქაც ნაკისრი ჰქონდა ვალდებულება. ეს უძნელესი საქმეა, ვინაიდან ურთიერთობა გიხდება არა მარტო ნიჭიერთან და ინტელიგენტთან, არამედ ძალიან ხშირად შურიანთან და ღვარძლიანთან, ჩამყაყებულ პროვინციელთან, შენიღბულ თავხედთან, შემპარავ გველაძუასთან, მაგრამ ყველაზე მეტად გორსალა სძულდა – მარგინალი, ვინც არსებითად არაფერს წარმოადგენდა, არც გლეხს და არც ინტელიგენტს და მწერალთა კავშირში ერთ პოეტს გურამ ასათიანმა სწორედ ასეთი სიტყვით მოუღო ბოლო“.

ნეტავ, ვინ იყო? – კითხვა, რომელმაც გონებაში გამირბინა. და იქვე: **„რა მძიმე ჯვარია კაიკაცობა, რა ბედნიერებაა, როცა გრძნობ, რომ არ გატყდი, არ გაილუნე, არ განილიე, ხელში არ შემოგადნა ის, რაც ერთხელ იწამე შენი არსებობის აზრად და მიზნად“.**

ისევ უბის წიგნაკიდან: **„ჩვენთვის უცხოა ასკეტური თვითგვემა, სამყაროს ხილულ მშვენიერებაზე, მიწიერ ბედნიერებაზე უარის თქმა...“** გურამ ასათიანი წერდა ქართულ ხასიათზე, რომლის ტიპური წარმომადგენელიც თვითონ იყო. მას უყვარდა თავისი ქალაქი, ენდობოდა მას და ისიც ნდობითვე პასუხობდა.

მეგობრის, **გაიოზ შარაშიძის** ნაამბობიდან: „ნასვამები ვართ, ინსპექტორები აჩერებენ მანქანას. მძღოლი, ე. ი. გურამი არ უარყოფს, რომ ნასვამია. ინსპექტორებს აქტის შედგენა სურთ და გურამი მიჰყავთ უახლოეს საავადმყოფოში. ექიმი, რომელმაც უნდა დაადასტუროს მძღოლის ნასვამობა, ეუბნება, რომ ამას ვერ იზამს, ფეხითაც რომ ჩამოჰკიდონ. გალიზიანებულ სამართალდამცავებს ახლა სხვა საავადმყოფოში მიჰყავთ მძღოლი. აქაც იგივე სურათი მეორდება. ექიმი, გურამის კარგი ნაცნობი თუ მახლობელი, ინსპექტორებს ეუბნება – სამსახურიდანაც რომ მომხსნან, ამ საქმეს მაინც ვერ ვიზამო. ინსპექტორები გაოცებული არიან გურამისადმი ასეთი სიყვარულით, პატივისცემით თუ თავდადებით“. ბოლოს საქმე იმით მთავრდება, რომ თვითონ მათ მიჰყავთ „დაპატიმრებულები“ თბილისის ერთ-ერთ დუქანში საქეიფოდ...“

**„ჩემო საყვარელო და ნანატრო ცოლო... – ასე იწყება ერთი წერილი მიწერილი მანანა ქიქოძისადმი, „რაზედაც არ უნდა ვიფიქრო, რაზედაც არ უნდა ვიოცნებო, ყველაფერი სავსეა შენით და ყველა ფიქრს, განცდას, ოცნებას, იჭვს, სიხარულს, იმედს, მოუთმენლობას ფაქტიურად შენი სიყვარული ჰქვია...“** სხვა წერილიდან კი – **„დღეს მივიღე შენი წერილი... რა თქმა უნდა, გამეხარდა. თუმცა ცოტა ლაკონური სტილით არის დაწერილი და ობიექტივიზმის ელფერიც დაჰკრავს, ე. ი. საკმაოდ არ იგრძნობა ავტორის სიმპათიები ადრესატისადმი... მაგრამ ეს არაფერი. მე, როგორც მოგეხსენება, სტრიქონებს შუაც შემიძლია კითხვა და თუ ჩემი პროფესიონალური ყნოსვა არ მღალატობს, ვგონებ, ეს წერილი დაწერილი უნდა იყოს ისეთი ადამიანის მიერ, რომელსაც ჯერ კიდევ ვუყვარვარ...“**

ასე უყვარდათ საქართველოში – აი, ასე უყვარდა გურამ ასათიანსაც.

„ნამდვილად თანამედროვე ხელოვანი ამავე დროს მომავლის ოსტატიც არის, ვინაიდან მისი შემოქმედება დღევანდელობიდან ხვალინდელ დღეში გადებულ ხიდს წარმოადგენს“ (უბის წიგნაკიდანძ. ასეთია კრიტიკოსიც, იგი სულ მცირე ორ თაობას შორის „შემაერთავი ხიდია“ (ილიასი არ იყოსძ. იგი ორი თაობის „მაჯისცემას“ გრძნობს და ეს კი იოლი საქმე სულაც არ არის. ეს შეეძლო გურამ ასათიანს. ჩვენს დროში კი, ვფიქრობ, საკუთარ „გულისძგერას“ აღარ უსმენენ, „მაჯისცემაზე“ (ისიც თაობისძ რომ არაფერი ვთქვათ...

გურამ ასათიანის ფესვები ჭოლევში დარჩა, თუმცა ნაღდი თბილისელობა (ხასიათობრიობას ვგულისხმობძ მისი პიროვნების ერთ-ერთი შტრიხი იყო, მისი ბედისწერა. „მინდა გავექცე თბილისს, გადავიხვეწო, გადავშენდე, გადავიკარგო. რასაკვირველია, მხოლოდ იმისთვის, რომ ისევ აქ დავბრუნდე“... ბოლოს ისევ უბის წიგნაკიდან: **„ადამიანმა, პირველ რიგში, ადამიანურობა უნდა შეინარჩუნოს და თუ ძალა შესწევს, ერთდროულად უანგაროდ უნდა ემსახუროს თავის იდეალს, თავის ღმერთს და სინდისს“.**

ვფიქრობ, მან ეს შეძლო და გამოხატა კიდეც:

**„სტილი ხომ იგივე ადამიანია – ცოცხალი პიროვნება თავისი დაუნაწევრებელი მთლიანობით, რაც, სამწუხაროდ, არ მეორდება“...**

**ელისო გაზდელიანი,**
თსუ ჟურნალისტიკის
დეპარტამენტის
III კურსის სტუდენტი

# მხატვართა კონკურსის გუნდოვანი შედეგები



**ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ქალაქ ბერლინის მუნიციპალიტეტმა მხატვართა კონკურსი გამოაცხადა, ძირითადად, გრაფიკოსების მონაწილეობით.**

გამარჯვებული ნამუშევრის მიხედვით, უნდა შეექმნათ ახალი საგზაო ნიშანი, რაც რიგ უბნებში მამაკაცებს უკრძალავდა მსუბუქი ყოფაქცევის ქალების „აყვანას“.

მართლაც, ჩემპიონატის დღეებში, გერმანიის ქალაქებში გამოჩნდა ახალი საგზაო ნიშანი. მასზე აღბეჭდილი ქალის სილუეტი, წითელი ზოლითაა გადახაზული და თითქმის ყველა იმ ადგილას ვხვდებით, სადაც მეძავთა კასტასთან ურთიერთობა, რბილად რომ ვთქვათ, არ არის მიღებული.

ხელისუფალთა აზრით, ეს აკრძალვა ხელს შეუწყობს ქუჩის პროსტიტუციასთან ბრძოლას და „უძველესი პროფესიის წარმომადგენლები“ ქალაქის რესპექტაბელურ უბნებში ველარ დადგებიან თავიანთი კლიენტების მოლოდინში.

იმავე ხელისუფალთა განმარტებით, ამ ყველაფერში ერთგვარი ჰუმანური აზრიცაა ჩადებული, რის შედეგადაც ეს ქალბატონები ფიზიკურად დაცულნი იქნებიან ფეხბურთის ამღელვარებული ფანების მოულოდნელი თავდასხმებიდან.

ასე რომ, ხელოვნების ზოგად ჰუმანისტური ფუნქცია უტილიტარული დანიშნულების საგზაო ნიშნებსაც შეეხო, მაგრამ როგორც ამბობენ, გერმანელი მამაკაცების ერთმა ნაწილმა დღემდე ვერ გაარკვია, **მსუბუქი ყოფაქცევის ქალებთან ურთიერთობა რატომაა მიღებული ან არმიღებული უბნების და ქუჩების მიხედვით. მეორე ნაწილს კი ამაზე საფიქრად არ სცალია, ვინაიდან თავის ფავორიტს – გერმანიის ნაკრებ გუნდს თავდავიწყებით გულშემატკივრობს.**

# 23 ივნისი – ანა ახმატოვას დაბადების დღეა

## ეპოქალური გადაძახილები:

**ანა ახმატოვა: „Всё расхищено, предано, продано...“**

**ნიკო ლორთქიფანიძე: „იყიდება საქართველო, მინდორ-ველით, მთა-ბარით...“**

...უკვდავებას თარიღები, მეტადრე მრგვალი, აღარ სჭირდება... უზრალოდ, დაბადების და გარდაცვალების დღეები ქრისტიანული ჩვეულებით გვახსენდებოდა ხოლმე, – ასეა ახლაც – ახალ ხანაში. რაღაც ფარული მესამე თვალით დაინახა თითქოს ანა ახმატოვამ 1921 წელს ის, რაც გულზე მოხვდებოდა ყველას ჩვენს დროშიც. უნაზესი ლირიკის შემდეგ მის შემოქმედებაში, თავი იჩინა მოქალაქეობრივი სინდისის შეგრძნებამ, როცა ყური არ ათხოვა იდუმალ ხმასაც კი – დათმე რუსეთიო! თავის ხალხთან ყოფნა არჩია – ამიტომაც უთქვამს, მანდელშტამს – ახმატოვას შემოქმედებაში სულ სხვა ხანა იწყებაო. იქნებ იმიტომაც დაარქვა თავის მეხუთე წიგნს „Anno Domini“ – „ახალი ხანა“, რომლის პირველი გამოცემაც იწყება ლექსებით „Всё расхищено, предано, продано...“

**„ყველაფერი მიიტაცეს,<br>გაწირეს, მიყიდ-მოყიდეს,<br>შავი სიკვდილის ფრინველი<br>ვაი თუ, ისევ მოფრინდეს...<br>დამშეულ სევდას მოუცავს<br>ირგვლივ რაც დღემდე ბნელშია, –<br>დარდმა შეჭამა გულები,<br>შხამად აქცია ნექტარი, –<br>გაგვითენდება ნეტავი?!“**

...მწერლებს შორის ხდება ხოლმე ეპოქალური გადაძახილი – გავიხსენოთ ნიკო ლორთქიფანიძის „საქართველო იყიდება“, რომელიც ათი წლით ადრეა დაწერილი... „იყიდება საქართველო, მინდორ-ველით, მთა-გორით, ტყით, ვენახით, სათესით, წარსულის ისტორიით, მომავალი სვე-ბედით, მშვენიერი ენით“ და ა. შ.

...ეს უსათაურო ლექსი მან ერთ-ერთ ახლობელ ადამიანს – ნატალია რიკოვას უძღვნა. ძნელი, ურთულესი ცხოვრების წელიწადი იყო, როდესაც ბოლშევიკებმა დახვრიტეს ნიკოლოზ გუმილიოვი – პოეტი, ბრალდებით – მონარქისტი იყოო. იმ ტყვიამ ანა ახმატოვას გულშიც გაიარა და მიუხედავად იმისა, რომ მათი ცოლ-ქმრული ცხოვრება მაშინ უკვე გაწყვეტილი იყო, ის ნატყვიარი მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვა...

ამ ბოლო დროს რუსეთში თითქმის ერთდროულად გამოიცა ორი საინტერესო წიგნი, რომლებიც ანა ახმატოვასა და ნიკოლოზ გუმილიოვს ეძღვნება. საერთოდ, გუმილიოვის შემოქმედებისადმი ცნობისწადილი რუსეთში, უცხოეთში და გნებავთ, საქართველოშიც, 80-იან 90-იან წლებში ცხოველდება – მას იქამდე ვერცხლის საუკუნის პოეტად ცნობილს, რუსული რენესანსის რაინდად სახავენ, პუშკინს და ლერმონტოვს ადარებენ!

თუ ანა ახმატოვას გრძნობის, სიყვარულის, გლოვის პოეტად მიიჩნევდნენ, ნიკოლოზ გუმილიოვი უფრო გონებისმიერ შემოქმედად ესახებოდათ. იქნებ ამანაც ათქმევინა ანა ახმატოვას მასზე: ყველაზე წაუკითხავი პოეტიაო... „Самый непрочитанный поэт...“

პოეტს, მეომარს, მოგზაურს – ავტორს ლირიკული პიესისა „დონ-ჟუანი ეგვიპტეში“ თავადაც არაერთი სატრფიალო თავგადასავალი ჰქონია, მაგრამ ანა ახმატოვას სახე და სახელი თუ მისთვის რაოდენ ძვირფასი იყო, ეს ციტატაც კმარა:

„А ночью в небе, древнем<br>и высоком,<br>Я вижу записи судеб моих,<br>И ведаю, что обо мне, далеком,<br>звенит Ахматовой<br>сиренный стих“...

„ანა ახმატოვა და ნიკოლოზ გუმილიოვი: „ორი პოეტის დიალოგი“ ასეთი სათაური აქვს ანასტასია კაზანცე-

# ANNO DOMINI

ვას წიგნს (სანკტ-პეტერბურგში, 2004 წ.ძ. მოვუსმინოთ ამ დიალოგის ნაწყვეტს, რომლითაც იხსნება ახმატოვასეული „თეთრი გუნდის“ ციკლი. ლექსი 1913 წელსაა დაწერილი, როდესაც ოჯახს უკვე ბზარი შეეტყო...

**„გავრბივარ შენი თეთრი სახლიდან<br>იქ, სადაც მეტი შუქია;<br>მაგრამ შენს სახელს ისე შევაქებ,<br>ვით არცერთ ქალს არ უქია...<br>შენ მიერთგულე, არ დამივიწყე,<br>შენივ სამოთხის მკვიდრი, –<br>მე კი, რაც განძად შემომრჩენია,<br>დაუზოგავად ვყიდი...“**

ვ. პულოშინის წიგნი საგვარეულო შტოს ეხება – „გუმილიოვები – 1720-2000; საოჯახო ქრონიკა – ნ. ს. გუმილიოვის ცხოვრებისა და შემოქმედების მატიანე“. ეს ენციკლოპედიური ნაშრომი მრავალწლიანი შრომის შედეგია; მრავალპერსონაჟიანია გუმილიოვის ხანმოკლე სიცოცხლის დრამა, მაგრამ მისი მთავარი გმირი ისევ და ისევ პირველი ცოლი – ამაყი ახმატოვაა!

ანასადმი მიძღვნილი მისი საუკეთესო სინანულიანი ლექსები და თურმე ერთმოქმედებიან, ლექსად დაწერილ პიესაშიც სულ ოთხი პერსონაჟი რომაა: დონ-ჟუანი, ლეპორელო, ამერიკელი და „ამერიკანკა“ (მისი ასულიძ – ახალგაზრდა ანა ახმატოვა „დაასახლა“ ნილოსის პირა ძველისძველ ტაძარში – მოქმედება დრო – ჩვენი დღეებიაო, – გვამცნობს ავტორი, რომელიც ლეპორელოს სახეში გულისხმობდა დიდად განსწავლულ ესიროლოგსა და პოეტს ვ. შილეიკოს – ახმატოვას მეორე ქმარს! როგორც გუმილიოვის საუიბილეო კრებულის (1990 წ. „ხელოვნება“, ლენინგრადიძ შემდგენელი და შესავალი წერილის („პოეტის თეატრი“ძ და კომენტარების ავტორი დ. ზოლოტნიცკი წერს – „პოეტური ტექსტის“ ეს ფარული და საიდუმლო კოდი თვით პოეტების ვაჟიშვილს – ლევ ნიკოლოზის ძე გუმილიოვს გაუმხელია.

ცხოვრებისეული დრამა ზოგჯერ კომიკურ იერსაც იღებს თურმე!.. რაც არანაკლებ უცნაურია, შილეიკო დახმარებია გუმილიოვს ბაბილონური ეპოსის „გილგამეშის“ თარგმნაში!..

აღარც ანა ფიცავდა თურმე, რომ მისიანები – ისევ კოლია (ნიკოლოზიძ და ლოზინსკი ახელებდნენ ხოლმე ორ ხმაში „ეგ ეგვიპტელი, ეგ ეგვიპტელიო..“.

...თითქოს ციდან ჩამოვარდა პოეტი – დონ ჟუანი ნილოსის პირას, სადაც ახალგაზრდა ამერიკელ ქალს გაეარშიყება – „თქვენ მე მესიზმრებოდითო“... ერთი სიტყვით, მარადიული შეყვარებულის თემა გრძელდება. საინტერესოა ისიც, რომ სატრფიალო მოტივი გუმილიოვის პოეზიაში მისი ყმაწვილობიდანვე, ანუ თბილისში ცხოვრების დროიდან იჩენს თავს, როცა უკვე სამიჯნურო თავგადასავლებზე ოცნებობს, როცა ვარდის ეკლით დაჭრილი ბულბულივით მაინც არ იშლის ნაზად გალობას და დასტირის უიმედო სიყვარულს, ვარდი კი იცინის... უეჭველია (თუმცა უმისამართოძ



მისი „მკვლელი ვარდი“ – თბილისელი ასულია, რომლის არამიწიერი სილამაზის საოცარი თვალებით ისე მოხიბლულა, საფლავშიც კი თამამად ჩავა მათი ეშხით...

თბილისური ლექსები 1900-03 წლებშია დაწერილი და მათში ბარათაშვილისეული სევდა და პუშკინისებური განცდაც იგრძნობა: საღამოხანს მიძინებულ მდინარესთან ხეტიალი და ფიქრი... სიმარტოვის გრძნობა, სიმაღლით, მთებით გამოწვეული ალტაცება,

„В горах мне люб и божий свет,<br>Но люб и смерти мир единый<br>Не заманить меня вам, нет<br>В пустые, скучные долины.“..

საგულისხმოა ესეც: ყმაწვილს ადრე დაუწყია წერა, მისი პირველი ლექსიც აქ, თბილისში დაბეჭდილა გაზეთ „Тифлисский листок“-ში (მამა – სტეფანე გუმილიოვი ექიმი იყო, ყმაწვილის სუსტი ჯანმრთელობის გამო ოჯახი 1900 წელს თბილისში გადმოსახლდა დროებით – მაშინდელი სერგეევის, მაჩაბლის ქუჩის დასაწყისშიძ.

... სამი წლის შემდეგ ოჯახი რუსეთში ბრუნდება და სწავლას განაგრძობს ცარსკოე სელოს ნიკოლოზის გიმნაზიაში მეშვიდე კლასში – ცარსკოე სელოში გაიცნობს ის მომხიბვლელ ქალიშვილს ანა გორენკოს – მომავალ ანა ახმატოვას – მის მეუღლეს.

როდესაც ფსევდონიმს ვირჩევდი, არ გამითვალისწინებია ის ამბავი, რომ მე რუსი პოეტი ვარო, – ღიარებდა ანა, რომელიც ამ გვარს ბებიას დაესესხა!.. თუმცა თავისი აზიური ფესვებისადმი გულგრილი არასოდეს ყოფილა, რაც განსაკუთრებით გამოიხატა ლენინგრადის ბლოკადის გამო მისი ტაშკენტში ევაკუაციის დროს – სადაც შეიგრძნო აზიური ყოფის კოლორიტი და ხასიათი: – აზიის ჯიქური მზერა!

ტაშკენტში რუსი ინტელიგენციის დიდი გუნდი გახიზნეს II სამამულო ომის დროს. აი, ერთი ეპიზოდი: წყნარ ქუჩაზე მოსეირნობს ორი მანდილოსანი – აშკარაა, ისინი „უცხო ჩიტები“ არიან... და უცებ მათ შეეფეთა ორი მამაკაცი – საზღვაო ფლოტში მომუშავე სამხედრო კორესპონდენტები. ერთმა მათგანმა წამოიძახა – „ეს ხომ ახმატოვაა! სურათით შეგიცანითო“ – გამოუტყდა მერე.

მართლაც, ეს იყო ანა ახმატოვა, მე-

*ვიცოდი, განა, როცა თეთრკაბა,<br>მუზა ეწვია ჩემს ვიწრო ბინას,<br>ცხოველმყოფელი ჩემი ხელებით<br>შევეხებოდი ქვადქცეულ ლირას.*

*ვიცოდი, განა, თამაშ-თამაშით<br>როცა ვხვდებოდი ქუხილს და ქარებს,<br>ჭაბუკთა შორის საუკეთესოს<br>დავუხუჭავდი არწივის თვალებს.*

*ვიცოდი, განა, როცა მწყალობდა<br>ბედი ნებიერს, უზომოდ თამამს,<br>რომ მალე თურმე სიცილ-სიცილით<br>იგალობებდნენ ჩემს სულთათანას.*

*1925 წ.*

ორე კი ფაინა რანევსკაია – ანუ ერთი ცნობილი პოეტი და მეორე ცნობილი მსახიობი. კორესპონდენტი კი ანა ანდრიას ასულის პოეზიის თაყვანისმცემელი ეფიმ დობინი – შემდგომ მისი ერთგული მეგობარი და ბიოგრაფი. გაგულისებულა ქალბატონი ფაინა, მეტადრე იმ ხანებში გამოსული ახალი ფილმის „მიგდებული ბავშვის“ გამო განსაკუთრებით პოპულარული – პირველი შემთხვევაა, როდესაც მე კი არა, შენ გცნობენო“... ვერ დაუფარავს წყენა...

ეს ეპიზოდი რომ მახსოვდა, ერთხელ ჩვენს მოსკოველ კორესპონდენტს, შესანიშნავ ჟურნალისტს და მეგობარს დათუნა მაჭავარიანს ვთხოვე – იქნებ შეეხმიანო ფაინა რანევსკაიას და რაიმე „დატყუო“ ანაზე მეთქი!..

შენახული მაქვს მისი წერილი, მისივე ნაჩუქარ ახმატოვას მომცრო კრებულში:

„ჩემო ნანა! ე. გოგოლევას და მ. ცარიოვს ვერიკოს მისასალმებელი ტექსტი მცირე თეატრში გამოვართვი. რაც შეეხება ფ. რანევსკაიას, მას სახლში ვეწვიე, ყვავილები მივართვი. საშინლად დაბერებული, დაუძლურებული და მიმქრალი მომეჩვენა. უჭირს ლაპარაკი, ნელა, მძიმედ მოძრაობს. უეცრად გამოცოცხლდა და მოიკეთა, როცა ქალბატონ ვერიკოზე მიამბოვდა. მერე ისევ ჩაქრა...

გადავეცი შენი თხოვნა. გულით გაიხარა, როცა გაიგო, რომ თბილისში დაიბეჭდება. ახმატოვას ლექსები შენი თარგმანით. რაც შეეხება მის მოგონებებს ახმატოვას შესახებ, კატეგორიული უარი მითხრა: „Все ети люди лишь тени давно ушедших дней“ – ასე მომიგო: არასდროს, არსად არ დაუბეჭდია და არ გამოუქვეყნებია რანევსკაიას არაფერი ახმატოვას შესახებ“.

რანევსკაიაც პოეტი ყოფილა!..

... ვერიკო ანჯაფარიძის საღამოსთვის განკუთვნილ მასალებთან ერთად (გოგოლევა, ცარიოვიძ დათუნამ ფაინას მისალმებაც გამომიგზავნა... მოგონებები მეგობარ პოეტზე კი მან თან წაიღო – ამან გამახსენა მარინა ცვეტაევას ფიცით ნათქვამი სიტყვები: **„მე თქვენი წიგნი თავთით მიდევს და საფლავშიაც ჩავიყოლებო“...**

**ნანა ღვინეფაძე.**<br>**2006 წლის 22 ივნისი**

***P. S.* პეტერბურგული თეთრი ღამეები იწურება.. დღემდე მახსოვს იმ ღამეების ხიბლი, საიუბილეო დღეებში (100 წელიძ რომ შევესწარით 1989 წელს.**

***ახმატოვა 1966 წელს გარდაიცვალა, – ამ 40 წლის გასაცნობიერებლად გამოიცა ალბათ რუსეთში მარტო შარშან და წლეულს სხვადასხვა გამომცემლობების მიერ ზუსტად 40 წიგნი – ეს კი 21-ე საუკუნეში, ანუ ახალ ხანაში ახალი სიცოცხლის საწინდარია.***



# საუკუნის კონტრასტები ფოტოხელოვნებაში

## აქტუალური თემა: ქართული ღვინის რეკლამა



◉ აფორიაქებული განწყობით

# ახი არ იქნება?!

ყველაფერი ბედია.

ქისმათი.

შეიძლება გარემოებათა დამთხვევაც იყოს, მაგრამ ამას ახლა არსებითი მნიშვნელობა არა აქვს.

არც შეიძლება ჰქონდეს.

ნათქვამია, საწყალ კაცს ქვა ღმართში წამოეწევაო.

წესით პირიქით უნდა ხდებოდეს, მაგრამ...

იღბალი, აბა, სხვა რა უნდა იყოს,




ვარდების რევოლუციის შემდეგ საქმის კეთების საშუალება რომ წაერთვა სწორედ იმ ხალხს, ვისაც ნიჭი, ცოდნა, გამოცდილება ერთნაირად ჰქონდა მომადლებული — უხვად, ზარაქიანად, უშურველადაც გასაღები.

მარტო ერთი მაგალითი:

საგანმანათლებლო სისტემის რეფორმა დაიწყო.

ფრთები გაგვეშალა თითქოს

უცებ ნაპირზე ამოვყავით თავი, წყლიდან ამოგდებული თევზივით აფართხალდით.

თითქოს სულ უმნიშვნელო საბაბით ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებას“ რეფერირებადი გამოცემის სტატუსი ჩამოართვა სწავლულ ექსპერტთა საბჭომ.

ისიც მზეზე მაღალმა თუ არა, მზის ტოლმა მაინც.

საქართველოს პრეზიდენტთან არსებულმა სწავლულთა საბჭომ.

აქაოდა, რაღაც-რაღაცეები უნდა გვქონდეთ, შესაბამისი დოკუმენტებიც უნდა წარმოადგინოთო.

ჩანს, ის დოკუმენტიც უკვე ფარატინა ქაღალდია, რომელსაც თავზე უზოდიშოდ გადაგახევს რაღაცით შენზე განაწყენებული ქარაქუცა ქალი თუ კაცი ისე, რომ საბჭოს თავმჯდომარეს თუ სექციის ხელმძღვანელს, ყურსაც არ გააპარტყუნებინებს.

აბა, სხვანაირად როგორ უნდა იფიქრო, როცა ის დოკუმენტი თვეების მანძილზე წინ ედო საბჭოს ერთ მაღალჩინოსანს და იმ დოკუმენტის საფუძველზე სამეცნიერო გამოცემის რანგში ორი ჟურნალიც იბეჭდება, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

უფრო ვრცლად.

დაწვრილებით.

გვარ-სახელებით.

ახლა მთავარ სათქმელზე.

საბჭოს უშნო გადაწყვეტილებით, გულდამძიმებული ვიდექი გამომცემლობა „სამშობლოს“ წინ.

ნოდარ ტაბიძე მოვიდა — ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის კვლევის პატრიარქი.

რა უნდა ქნას-მეთქი კაცმა ასეთ დროს.

ბატონმა ნოდარმა ერთხანს იყუჩა, მერე მისთვის დამახასიათებელი ღიმილი აიფარა სახეზე და რაღაცნაირი ხაზგასმით, საჩვენებელი თითის აწევით თქვა:

საქმე აკეთოს, თავისი საკეთებელი უნდა გაასრულოსო ყველამ.

დამაფიქრა.

მოქმედება უნდა დამეწყო და უცებ ნატყვიარი ჩიტივით ჩამომცვივდა მხრები. თურმე ნუ იტყვი და, იმ დროს თვითონ ნოდარი ყოფილა ექსორიაქმნილი.

ჩემთვის არაფერი უთქვამს.

რაღაცაზე ილაპარაკა ზოგადად.

მოიარებით.

ვერაფერს მივხვდი.

ახლა გუმანით ვგრძნობ, რომ დამინდო, პირდაპირ შუბლში არაფერი მახალა ისედაც გუნება ამღვრეულს.

სულ შემთხვევით გავიგე ყველაფერი.

ჩავრთე ტელევიზორი. უნივერსიტეტის ძველი გვარდია კამათობდა ახალ-უხლებთან. ნოდარის სახელიც აჟღერდა იქ.

როგორ გაუშვითო ნოდარი და ლეონიძე.

ლეონიძე ნიკოა — ჩინებული პიროვნება, იმ „წყეული კომუნისტების“ დროს ტელელაბორატორიის ერთ-ერთი დამაარსებელი, ტელეჟურნალისტთა მომზადების ფრიად სრულყოფილი კურსის ჩამომყალიბებელი, ცხოვრებაში გამტარებელი.

ნოდარ ტაბიძე — ათობით წიგნის, ასობით სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, ორ ათეულზე მეტი მეცნიერებათა კანდიდატის აღმზრდელი.

კითხვა მწვავე მეჩვენა.

დროულიც.

პასუხმა გამაოცა.

— მაგათი პროექტები გენახათო, — ბრძანა ერთმა უწვერულმა ყმაწვილმა.

დიდ ასპარეზზე იმ დილით გამოსულმა თუ გამოყვანილმა.

ახალგაზრდას რა უჭირს. მისია ცხოვრება.

დღევანდელი მაინც.

ადვილი შესაძლებელია, ზეგინდელიც, გაარჩნია, როგორი ცხოვრება.

ყოველ შემთხვევაში, სადიპლომო ნაშრომის დონეზე შესრულებული სამუშაოს სამეცნიეროდ გასაღების მსურველი, თავს ნებას არ უნდა აძლევდეს, განიკითხოს ბევრად მეტის შემძლე.

ისიც ღია ეთერში.

ხაზს ვუსვამ — მორალური უფლება.

არ შეიძლება და არც არის საჭირო, რომ ყველა საღოლე ზედაური იყოს.

არავის ვასახელებ.

არც ვაკონკრეტებ.

არა მაქვს სასამართლოებში ძუნძულის არავითარი სურვილი.

ისედაც არავის ვერჩი.

უბრალოდ საკუთარ თავზე ვარ გაბრაზებული.

სულ რაღაც ერთი თვის წინათ ვწერდი:

სიზმარი ვნახე-მეთქი, უცნაური სიზმარი.

უნივერსიტეტის პირველ კორპუსში შესულს არ დამილანდავს არც ერთი სტუდენტი, არც ლექტორი.

ალბათ, სხვანაირად ვერც იქნებოდა.

სადაც მამის სახელს წყალს ატანენ, იმ ოჯახში სიკეთე ვერ შევა კარებიდან.

სარკმლიდან მით უმეტეს...

მართლაც ბედია ყველაფერი.

ქისმათი.

სხვანაირად ვერ ვნახავდი ასეთ სიზმარს...

**ღმერთია მოწმე, უსაზღვრო პატივისცემის მიუხედავად, ტაბიძის, ლეონიძის, ფარულავას, მებონიას, გოგოლაშვილის და სხვათა მრავალთა შრომითი მოწყობა არ მაწუხებს.**

**უჩემოდაც მოევლებათ. საზოგადოების წესიერი ნაწილი ასეთ ხალხს ისედაც არ კარგავს, ახლა საპირისწონემოხსნილ ცალუღელა სასწორზე ეროვნული უნივერსიტეტის ბედი დევს.**

**აქედან გამომდინარე, ეროვნულობაც.**

ამაზე დარდობს, ყვირის ამდენი ადამიანი.

სხვებთან ერთად ვიყვირე მეც.

**რა მერე?**

**არც არაფერი.**

**დიდი-დიდი ის პატარა ბიჭები მომწვდნენ, მომიმწყვდიონ სადმე კუთხეში და წერა-კითხვის სწავლებაც დამიწყონ.**

**ახი არ იქნება?**

**რობერტ ძერია**

◉ ენამ გულისა უნდა თქვას

**იოსებ სტალინის გარდაცვალებიდან 53 წელი გავიდა. რა აღარ მოხდა ქვეყანაზე დროის ამ მონაკვეთში: სახელმწიფო, რომელსაც სტალინი აშენებდა, ოთხმოციანი წლების ბოლოს ხუხულასავით დაიშალა. მაგრამ ნუ ავჩქარდებით და ყველაფერში მას ნუ დავადანაშაულებთ. დამნაშავეები უპირველესად ისინი არიან, ვინც სტალინის სიკვდილის შემდეგ ხელისუფლებაში მოვიდა. ეს არ იყო პროგრესით ან დემოკრატიით ნაკარნახევი ღონისძიებების შედეგი. უბრალოდ, ვერც ხრუშჩოვმა, ვერც ბრეჟნევმა და ვერც მომდევნო ლიდერებმა ქვეყნის მართვას თავი ვერ გაართვეს...**

როგორც თანამედროვეები ამბობენ, მსოფლიოს არც ერთ პოლიტიკურ მოღვაწეს არ ღირსებია იმდენი ყურადღება, რამდენიც სტალინს. მაქებრებიც ბევრნი არიან და მლანძღველებიც. ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებების შეპირაპირებას არ ვაპირებ — სტალინს ჩემი დაცვა არ სჭირდება. მინდა, ორიოდე შტრიხით პარალელი გავავლო ორმოცდაათიანი წლებისა და დღევანდელ მოვლენებს შორის, რაც ფაქრისა და განსჯისთვის ძალზე ნოყიერ მასალას იძლევა.

**სათვის ზრუნვა — ხელფასების გადიდება, არნახული კაბინეტების მოწყობა, სასახლეების მშენებლობა, ნაირ-ნაირი ჯიპების შეძენა.**

რიგითი მოქალაქეები კი ნაგვის ბუნკერებში იქექებიან.

როგორია ოფიციალურად ჩვენი ეკონომიკური მაჩვენებლები თუნდაც 2005 წელს? ეროვნული შემოსავალი მთელი 9,3 პროცენტით, სამრეწველო პროდუქციის წარმოება — 16,4 პროცენტით, რეალური ხელფასები — 21,9 პროცენტით გაზრდილა. მაგრამ ტაშისთვის ნუ აჩქარდებით: ხელფასების მატება მომუშავეთა შემცირების ხარჯზე მომხდარა. „შემცირებულებისთვის“, რა თქმა უნდა, ალტერნატიული სამსახური არავის შეუთავაზებია.

იქნებ სახელმწიფოს მეტი შესაძლებლობა არა აქვს? მაპატიეთ და, მაშინ რა სახსრებით იღებება შენობათა ფასადები, ეწყობა გრანდიოზული შოუები, იდგმება ცათამბჯენები, რომლებიც ხალხის კეთილდღეობაზე არანაირად არ აისახება? ორიოდე ციფრს შემოგთავაზებთ მეზობელი სომხეთის სინამდვილიდან. ეროვნული შემოსავლის, სამრეწველო პროდუქციის წარმოებისა და ხელფასების სფეროში საქართველოს და სომხეთს

## ვის ქუდი ეწვის და ვის კუჭი...

## შეიძლება თუ არა, უკეთესად რომ ვიცხოვროთ?

**ამ დღეებში ჩვენს გაზეთში დაიბეჭდა ნატალია პერევერტენის ვრცელი სტატია „სტალინი: ეკონომიკის გენიოსი თუ ბოროტმოქმედი?“ იქ არის ასეთი მონაცემები: ომის შემდგომ წლებში სსრ კავშირის ეროვნული შემოსავალი გაიზარდა 2,8-ჯერ, სამრეწველო პროდუქციის წარმოება — 3,2-ჯერ, საცალო საქონელბრუნვა — 2,1-ჯერ, რეალური ხელფასები — 1,9-ჯერ. ეს შესაძლებელი გახდა იმით, რომ სახელმწიფო ახერხებდა მთელი ფულადი და მატერიალური რუსერსების მობილიზებასა და მიმართვას ქვეყნის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პრიორიტეტული დარგების შექმნა-განვითარებისათვის. როგორც რუსი წარმოშობის ამერიკელი ეკონომისტი, ნობელის პრემიის ლაურეატი ვასილ ლეონტიევი წერდა, „საბჭოთა ხელმძღვანელებს არ სჭირდებოდათ ეკონომისტები, რადგან თვითონ იყვნენ ეკონომისტები“.**

ჩემი თაობის ხალხს კარგად ახსოვს 40-50-იანი წლები. ახსოვს, თანდათან როგორ უმჯობესდებოდა ცხოვრების დონე, სოციალური პირობები. ახლა ჩვენ საკუთარი თვალით ვხედავთ, მთელი 12-13 წლის მანძილზე როგორ მივექანებით უფსკრულისკენ, ვინაიდან სახელმწიფო მმართველობაში თითქმის აღარ არიან ნამდვილი ეკონომისტები, ხოლო, თუ არიან, მათ აზრს არავინ ითვალისწინებს. **სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკა მორგებულია ცალკეული პიროვნებების, ჯგუფების ინტერესებზე. სწორედ ამიტომაც არის, რომ ჯერაც არ ვიცით, რა არის ჩვენთან პრიორიტეტული — მრეწველობა თუ სოფლის მეურნეობა? გამოკვეთილია ერთი დარგი — აღებ-მიცემობა, ყველაფრის ხელაღებით გასხვისება. უბედურება ის არის, რომ ამ შემთხვევაშიც არავის ახსენდება მასა — ხალხის დიდი ნაწილი, რომელსაც არაადამიანური შრომით, მიუღებელი ხერხებითაც კი უწევს ლუკმაპურის მოპოვება. დღევანდელი ხელისუფლებისთვის პრიორიტეტად იქცა საკუთარი კეთილდღეობი-**

თითქმის თანაბარი მაჩვენებლები ჰქონიათ. ცოტა უფრო უკეთესი ყოფილა ჩვენი ბიუჯეტი. მიუხედავად ამისა, სომხეთში პენსიები 35 დოლარს უდრის. ეს იმაზე მიუთითებს, რომ იქაური ხელისუფლება უარესი ბიუჯეტის პირობებშიც კი უფრო მეტს ზრუნავს მოსახლეობის სოციალური დაცვის გაუმჯობესებაზე.

ჩვენი ხელმძღვანელები სამაგიეროდ უფრო მაგრები არიან ერთიმეორეზე ხმაურიანი ლოზუნგების გამოგონებაში. სადღაც ზამბიაში, ჩვენი ნებისმიერი დონის ჩინოვნიკის ანგარიში რომ მოისმინონ, იტყვიან, აი, ბედნიერი ხალხი, აი, ხალხზე მოფიქრალი მთავრობაო. ამ დროს ფინანსთა მინისტრი მიწის გადასახადის შემოღებას მოითხოვს, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრო კი გადაუდებელ სამედიცინო დახმარებათა ღირებულებას თითქმის აორმაგებს.

**განა საგანგაშო არ არის, რომ ბიუჯეტში ციხეების მშენებლობისათვის 25 მილიონი ლარია გათვალისწინებული, ჯანმრთელობის დაცვისათვის კი 5 მილიონით ნაკლები? როგორ ქვეყანაში მოგვიხდება ცხოვრება? ისეთში ხომ არა, სადაც თითქმის ყოველ მეორე შენობაში პატიმრები გვეყოლება შეჩურთული? იცოცხლეთ, ამისი პერსპექტივა არის, რადგან, როცა ცხოვრება ძვირდება, ხოლო რეალური შემოსავალი კატასტროფულად კლებულობს, პატიოსან ურთიერთობებზე ლაპარაკიც ზედმეტია.**

ჩვენდა სავალალოდ, სწორედ ხელისუფლების უნიათო, ანტიხალხური ეკონომიკური პოლიტიკა უბიძგებს ბევრ ადამიანს ქურდობის, ყაჩაღობისა და სხვა დანაშაულისკენ. ამაზე მორალური პასუხისმგებლობა, დიახაც რომ არსებულ ხელისუფლებას ეკისრება.

**ეს მწარე რეალობაა. ამაში ერთხელ კიდევ დამარწმუნა ნატალია პერევერტენის ზემოხსენებულმა სტატიამ.**

**საინტერესოა ისიც, თუ იფიქრებს ამაზე, ვისაც „ქუდი ეწვის?“**

**ელგუჯა ლებანიძე**

◉ გვწერენ

# თანხა შეგვიჭამეს, თანაც სიბნელეში დაგვტოვეს

**2003 წლამდე სოფელ მუხათგვერდს შუქი არ ჰქონდა. ამის გამო ზაჰესის მოსახლეობამ რამდენჯერმე გზაც კი გადაკეტა. თვით ზაჰესიდან დაბა ზაჰესსაც არ ექლეოდა დენი, მუხათგვერდზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო.**

მოსახლეობამ მიმართა მცხეთის რაიონის ხელმძღვანელობას, რომელმაც დახმარება გაუწია სოფელს და 2003 წელს ჩართეს მუხათგვერდის მოსახლეობა ზაჰესის ენერგოქსელში ყოველგვარი მრიცხველების გარეშე.

პირველ ხანებში ზაჰესი თვეში 5 ლარს გვახდევინებდა. 2004 წელს ტარიფი გაზარდეს 10 ლარამდე, ხოლო მომდევნო 2005 წელს — 15 ლარამდე, რაც არ შეესაბამებოდა თითოეული ოჯახის მიერ დახარჯულ რეალურ ენერგიას. ამიტომ სოფლის მოსახლეობამ მოითხოვა ინდივიდუალური მრიცხველები. ზაჰესის წარმომადგენლობამ შარშან ივნისივლისში დააყენა საერთო მრიცხველი, შემდგომ ის მოხსნა და აგვისტოს თვიდან მაცხოვრებლებს დაუყენეს ინდივიდუალური მრიცხველები. საერთო მრიცხველი ისე აიღეს, რომ მოსახლეობამ ვერ ნახა, რამდენი იყო დანახარჯი. ამით ისარგებლეს და ყოველ ოჯახს (75 ოჯახიძ 35 ლარი შეაწერეს.

ეს თანხა სოფელმა გადაიხადა, მაგრამ ახალ ქვითრებზე გაჩნდა ძველი დავალიანება 50 ლარიდან 80 ლარამდე. ფაქტობრივად ახალ მრიცხველებზე დანახარჯი იყო 2 ლარიდან 5 ლარამდე, ამიტომ სოფელმა უარი განაცხადა ამ გადასახადზე. ზაჰესის ენერგოკომპანიამ ამის შემდეგ გადასახადი 105 ლარამდე გაზარდა. ყოველ ოჯახზე შემოდიოდა განსხვავებული თანხის ქვითრები — 85, 104, 106 ლარი. **გამოგონილი გადასახადის დასაფარად მაცხოვრებლებს 8 თვის ვადა მოგვცეს. ეს ხომ აშკარა ყაჩაღობაა!**

და ეს ხდება მაშინ, როცა დენი უმეტეს შემთხვევაში საღამოს 7 საათიდან 11 საათამდე და დილის 9 საათიდან 2 საათამდე გამორთული იყო. ხშირად კაბელი ფუჭდებოდა გაუგებარი მიზეზით. ზაჰესის წარმომადგენლები სოფელს ართმევდნენ რემონტის ფულს და თანდათან უმატებდნენ ფასს — 3 ლარიდან 10 ლარამდე. 2003 წლიდან 2006 წლამდე პრაქტიკულად ნახევარზე მეტი დროის განმავლობაში მოსახლეობას დენი არ ჰქონია.

და ყოველივე ეს ხდება სოფლის მოსახლეობასთან ხელშეკრულების გარეშე. უკანონოდ. დენის წარამარა გამორთვით მაცივრები და ტელევიზორები გაგვიფუჭეს, პასუხს კი არავინ აგებს. ანალოგიური მდგომარეობაა მცხეთის რაიონის ყველა სოფელში.

მუხათგვერდის მოსახლეობა მოვითხოვთ ამ უკანონობის აღმოფხვრას. მთელი ორი კვირაა, სოფელს დენი არ მიეწოდება, ზაჰესის კერძო ენერგოკომპანიისგან გამოგონილი, არარსებული გადასახადის მიზეზით. თუ შეამოწმებენ, გაირკვევა, რამდენი თანხა დაილექა ვიღაცეების ჯიბეებში, რა რაოდენობის ზარალი მიაყენეს ბიუჯეტს, ხალხს და ქვეყანას.

**მუხათგვერდის მცხოვრებთა სახელით გურამ მათიაშვილი**

◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ვანო მერაბიშვილი: „აზრი არა აქვს ისეთ შეთანხმებათა ხელმოწერას, რომლებიც არ შესრულდება“



***ქართულმა მხარემ ცხინვალში არ მოაწერა ხელი ოქმს, რომელიც აჯამებდა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის და თვითაღიარებულ სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკაში მისი კოლეგის – მიხეილ მინძაევის შეხვედრის შედეგებს, რადგან, როგორც ჟურნალისტებთან საუბრის დროს აღნიშნა ვანო მერაბიშვილმა, „აზრი არა აქვს ისეთ შეთანხმებათა ხელმოწერას, რომლებიც არ შესრულდება“. მინისტრმა ასევე განაცხადა, რომ „ის ოქმში დაფიქსირებული იყო რაღაც სრულიად გაუგებარი ფრაზები – მათ (სამხრეთ ოსეთის მხარეს) უნდოდათ, სურდათ გაეკეთებინათ ხაზი იმისთვის, რომ შემდეგ რაღაც შეხვედრა და თითქოს დღეს აქ არის ორი თანასწორუფლებიანი მინისტრი, თითქოს ქალაქში სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა და ა.შ. – ასეთ ზღაპრებს ჩვენთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენთვის მთავარია, რომ დაცული იყოს ჩვენი მოქალაქეთა უფლებები და იყოს კონკრეტული ადამიანი, რომელიც აგებს პასუხს ამისთვის“.***

მერაბიშვილმა აღნიშნა, რომ ოსური მხარის მოსთხოვა კონკრეტული პირის გამოყოფა, რომელსაც დაევალება პასუხისმგებლობა კონფლიქტის ზონაში შემდგომ სიტუაციისთვის, იქ არსებული სამართალდარღვევებისა და მოქმედი უკანონო შეიარაღებული ფორმირებების საქმიანობის გამო. როგორც ვანო მერაბიშვილმა განაცხადა, ცხინვალის მხარემ გამოთქვა მზადყოფნა, რომ უახლოეს ხანებში გამოყოფს ასეთ პირს და აღნიშნა, რომ ამ საკითხს შეუთანხმებდა პრეზიდენტს. „რა თქმა უნდა მინძაევი ვერ მიიღებს ისეთ გადაწყვეტილებას“, რომელიც შეთანხმებული უნდა იყოს ვასილიევით უფრო მაღალ დონეზე, – თქვა მერაბიშვილმა. „მე ვიკითხე, რომელ პრეზიდენტს გულისხმობდნენ? – რადგან ცხინვალის შესასვლელთან დავინახე პლაკატი „პუტინი – ჩვენი პრეზიდენტია“, და ვთქვი, რომ ძალზე მოხარული ვიქნები, თუ ისინი ამ საკითხს პუტინს შეუთანხმებდნენ“, – დასძინა საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა.

შეხვედრის შემდეგ ვანო მერაბიშვილი ეწვია კონფლიქტის ზონაში განლაგებულ ქართულ სოფლებს ერედვს, ქურთას და აჩაბეთს, შეხვდა ადგილობრივ მცხოვრებლებს და პოლიციის თანამშრომლებს, დაათვალიერა კონფლიქტის ზონაში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ბლოკ-საგუშაგოები. მინისტრი ასევე იმყოფებოდა კონფლიქტის ზონაში ერედვი-ხეითის გზის მშენებლობაზე, რომელიც შეუფერხებელი გზით დააკავშირებს დიდი ლიახვის ხეობაში განლაგებულ ქართულ სოფლებს საქართველოს სხვა რაიონებთან (ამ გზის მშენებლობისთვის გამოყოფილია რამდენიმე მილიონი ლარი), და განაცხადა, რომ გზის გახსნა ერთ თვეში დასრულდება. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრმა სწორედ ამ გზით დატოვა კიდეც კონფლიქტის ზონა.

REGNUM

**საინფორმაციო სააგენტო**

◎ ტერორი

# ერაყს „აბუ“ დაადეს

**ამ დღეებში ერაყში ტერორისტული დაჯგუფების მეთაური აბუ მუსაბ აზ-ზარქავი მოკლეს ორი 500-გირვანქიანი ბომბის აფეთქებით, რომლებიც ჩამოაგდო „ფ-16“ ტიპის ავიაგამანადგურებელმა. გავიდა სულ რამდენიმე დღე და ამერიკელთა სარდლობამ, რომელმაც, ბოლოს და ბოლოს თავიდან მოიშორა ტერორისტების ეს მოუხელთებელი „მეფე“, გამოაცხადა, რომ აბუ აზ-ზარქავის უკვე გამოუნახეს შემცვლელი. გასულ კვირას გამართულ ბრიფინგზე გენერალ-მაიორმა უილიამ კოლუემმა დაასახელა მესოპოტამიაში „ალ-ყაიდას“ ლიდერის პოსტზე აზ-ზარქავის მემკვიდრის ვინაობა. ეს არის ვინმე აბუ აიუბ ალ-მასრი, ეგვიპტელი, რომელიც გადიოდა წვრთნას და მომზადებას ავღანეთში განლაგებულ „ალ-ყაიდას“ ბანაკებში.**



გენერლის თქმით, ალ-მასრი არის მესოპოტამიაში „ალ-ყაიდას“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და მოკლული აზ-ზარქავის ერთ-ერთი უახლოესი თანამოსაგრე. ამ დაჯგუფების მებრძოლთა სინდისზეა ათობით ტერაქტი, რომლებსაც ემსხვერპლა ათასობით მშვიდობიანი ერაყელი მოქალაქე და ასობით ამერიკელი ჯარისკაცი. ახალი ლიდერის სახელი – ალ-მასრი – არაბულად ნიშნავს „ეგვიპტელს“. ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ეს ადამიანი შეცვლიდა აზ-ზარქავის, გამოქვეყნდა „ალ-ყაიდას“ ვებ-საიტზე. აღსანიშნავია, რომ ეს ორივე სახელი ფსევდონიმია.

ბაღდადში გამართულ ბრიფინგზე რეპორტიორებს უჩვენეს ტერორისტთა ახალი მეთაურის ფოტოსურათი. მას აქვს წვრილი ულვაშები და პატარა წვერი. შესახედავად ასე 30 წლისა უნდა იყოს, თუმცა გენერალმა კოლუენმა აღნიშნა, რომ ალ-მასრი ორმოც წლამდე ასაკისა არის.

ამერიკელთა მონაცემებით, ალ-მასრი ეგვიპტელთა „ისლამური ჯიჰადის“ დაჯგუფებას შეუერთდა 1982 წელს. 1999 წელს იგი გამოჩნდა ავღანეთში მდებარე „ფარუქის“ ბანაკში, სადაც სწავლობდა ასაფეთქებელი მოწყობილობების მოხმარებას. „ისლამურ ჯიჰადს“ სათავეში უდგას ეგვიპტელი აიმან ალ-ზავაჰრი, პროფესიით ექიმი, რომელიც ამ ბოლო ხანებში, როგორც ამბობენ, უსამა ბენ-ლადენის „მარჯვენა ხელი“ გახდა. „ფარუქის“ ბანაკი ამერიკელებმა დაბომბეს 2001 წელს. უცნობია, ჰქონდა თუ არა ალ-მასრის პირადი კონტაქტები „ალ-ყაიდას“ უმაღლეს ხელმძღვანელობასთან, მაგრამ თავის წინამორბედთან გარკვეული კავშირები მას ნამდვილად ჰქონდა.

ალ-მასრი ერაყში გადავიდა 2003 წლის დამდეგს და მონაწილეობდა მესოპოტამიაში „ალ-ყაიდას“ ე.წ. ბაღდადის ფილიალის შექმნაში. მოგვიანებით იგი ხელმძღვანელობდა იმ ჯგუფების ოპერაციებს, რომლებიც ასაფეთქებელი ნივთიერებებით ამარაგებდნენ კამიკაძე-ტერორისტებს. ამერიკელთა სარდლობა ვარაუდობს, რომ ალ-მასრი ამჟამად „სადღაც ბაღდადში“ უნდა იმყოფებოდეს.

ფრიად საინტერესოა ალ-მასრის და აზ-ზავაჰირის ურთიერთობა. შარშან ამერიკელებმა ხელში ჩაიგდეს წერილი, რომელშიც ბენ-ლადენის „მარჯვენა ხელი“ აკრიტიკებდა აზ-ზარქავის ტაქტიკას შიიტების დახოცვის გამო. მას მიაჩნდა, რომ ასეთი ტაქტიკის შედეგად ერაყელებმა შეიძლება აღარ გაუწიონ შეიარაღებული წინააღმდეგობა ამერიკელ ოკუპანტებს. ამ წერილის საფუძველზე ამერიკის სამხედრო ხელმძღვანელობა არ გამორიცხავს, რომ მესოპოტამიაში „ალ-ყაიდას“ ახალმა ლიდერმა შეიძლება შეცვალოს ტაქტიკა, რომელიც ამჟამად იწვევს სუნიტების შეტაკებას შიიტებთან. ნებისმიერ შემთხვევაში, ვაშინგტონში ვარაუდობენ, რომ ამ ორგანიზაციაში გაჩაღდება შიდა ომი პირველობისთვის. აღსანიშნავია ახალი ლიდერის მიერ ინტერნეტით გავრცელებული პირველი მოწოდებაც. მასში ხაზგასმულია, რომ გრძელდება ბრძოლა „ჯვაროსნების და შიიტების წინააღმდეგ“. ახალი ლიდერის შესაძლო მეტოქეებს შორის ასახელებენ აბდულა ალ-რაშიდ ალ-ბაღდადის, „მოჯაჰედინ შურას“ დაჯგუფების ხელმძღვანელს, რომელიც ამტკიცებს, რომ სწორედ იგი უდგას სათავეში ერაყში მოქმედ „ალ-ყაიდას“.

საინტერესო დოკუმენტი გამოაქვეყნა ერაყის ახალმა მთავრობამ. ამ დოკუმენტის თანახმად, მესოპოტამიაში „ალ-ყაიდა“ აღიარებს, რომ უჭირს თავისი რიგების შევსება, აღნიშნავს, რომ საჭიროა შეიქმნას კონფლიქტური სიტუაციები ამერიკელებისა და მმართველ-შიიტებს შორის და თვით იმასაც კი წერს, რომ პროვოკაციული გზით როგორმე უნდა გამოიწვიონ ამერიკა-ერაყის ომი. თუმცა, ამ დოკუმენტის აუტენტურობა ჯერჯერობით არ არის დადგენილი. ამბობენ, რომ იგი იპოვეს ალ-ზარქავის მკვლელობის ადგილზე.

**მელორ სტურუა.**

# ეუთო უცნაურ განცხადებებს აკეთებს

**თვითაღიარებული სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის პრესისა და ინფორმაციის კომიტეტის ოფიციალურ საიტზე გამოჩნდა ანეკდოტური ინფორმაცია, რომელშიც ხაზგასმულია, რომ ცხინვალში, ეუთოს მისიის ოფისის შენობასთან გრძელდება სოფლების ფრისის და წუნარის მცხოვრებთა საპროტესტო მიტინგი. ეს ადამიანები მოითხოვენ სოფელ ფრისის გარეუბანში საქართველოს პოლიციის უკანონოდ გახსნილი საგუშაგოს დახურვას.**

მომიტინგეებთან მივიდა ცხინვალში ეუთოს მისიის ოფისის წარმომადგენელი რაიან გრისტი. შეკრებილმა ხალხმა მოსთხოვა მას, რომ მიეღო გადამჭრელი ზომები ამ კონფლიქტური სიტუაციის მოგვარებისთვის. გრისმა მომიტინგეებს განუცხადა, რომ **„კონფლიქტის ზონაში მის ფუნქციას აქვს მეთვალყურის ხასიათი, ხოლო ის ადამიანები, რომლებზეც დამოკიდებულია კონკრეტულ ღონისძიებათა განხორციელება – შერეული საკონტროლო კომისიის თანათავმჯდომარეები ქართული და ოსური მხრიდან – გიორგი ხაინდრავა და ბორის ჩოჩიევი, ფეხბურთს უყურებენ“.**

**„განცხადება, მეტი რომ არ ვთქვათ, უცნაურია“,** – მიაჩნია პრესის და ინფორმაციის კომიტეტს, რადგან „რეს“ საინფორმაციო სააგენტოს მიერ გავრცელებული ცნობით **„იმ დროს მიმდინარეობდა გაცხარებული მუშაობა შერეული საკონტროლო კომისიის სხდომის შემაჯამებელი ოქმის ხელმოწერისთვის“.**

მეთვალყურეები ასეთ კითხვებს სვამენ: თუ სვამდნენ იმ დროს თანათავმჯდომარეები ლუდს? თუ გულშემატკივრობდნენ ერთსა და იმავე გუნდს? და თუ კინკლაობდნენ ფეხბურთის მატჩის ყურების დროს, როგორც ამას ხშირად აკეთებენ ხოლმე ჟურნალისტების წინაშე გამოსვლისას?

РОСБАЛТ

**საინფორმაციო სააგენტო**

# საქართველოს საერთაშორისო სავალუტო რეზერვი 555,6 მილიონ დოლარს შეადგენს

**ასეთი მონაცემები დაფიქსირებული იყო 2006 წლის 16 ივნისისთვის, გვაცნობეს საქართველოს ეროვნულ ბანკში. ეს მაჩვენებელი 106,5 მილიონი დოლარით აღემატება ერთი წლის წინანდელ ანალოგიურ მონაცემებს.**



როგორც სახელმწიფო ბანკში აღნიშნეს, საერთაშორისო სავალუტო რეზერვის ზრდა, ძირითადად განპირობებულია თბილისის საერთაშორისო სავალუტო ბირჟაზე საქართველოს ეროვნული ბანკის სავალუტო ინტერვენციებით, აგრეთვე, იმ თანხების მოდინებით, რომლებიც უკავშირდება სახელმწიფო ქონების პრივატიზაციას (პრივატიზაციის შედეგად მიღებული თანხები უცხოური ვალუტით ირიცხება ეროვნული ბანკის ანგარიშებზე, რომელიც, თავის მხრივ, სახელმწიფო ბიუჯეტში ეკვივალენტურ თანხებს რიცხავს ლარებით). პირველი 5 თვის განმავლობაში საერთაშორისო სავალუტო რეზერვების მართვის შედეგად შემოსავლებმა შეადგინა 13.495.757 ლარი (დაახლოებით 5 მილიონ 581,9 ათასი დოლარი), რაც 6.593.336 ლარით აღემატება შარშანდელ ანალოგიურ მაჩვენებელს, აღნიშნეს ეროვნულ ბანკში.

REGNUM

**საინფორმაციო სააგენტო**

# საქართველოს ფინანსთა სამინისტროს განცხადება

**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო აცხადებს კონკურსს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის შემდეგ ვაკანტურ თანამდებობაზე:**

ა) სპეციალურ გამოკვლევათა და ფინანსური ექსპერტიზის დეპარტამენტში:

– სამმართველოს უფროსი – 2 საშტატო ერთეული;

საკვალიფიკაციო მოთხოვნები: უმაღლესი განათლება, საჯარო სამსახურში მუშაობის არანაკლებ 2 წლის გამოცდილება, კომპიუტერული პროგრამების (Windows XP და MS Word) ცოდნა;

– უფროსი ინსპექტორი – 12 საშტატო ერთეული;

საკვალიფიკაციო მოთხოვნები: უმაღლესი ეკონომიური განათლება, კომპიუტერული პროგრამების (Windows XP და MS Word) ცოდნა, საჯარო სამსახურში მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;

– ინსპექტორი – 43 საშტატო ერთეული;

საკვალიფიკაციო მოთხოვნები: უმაღლესი ეკონომიური განათლება, კომპიუტერული პროგრამების (Windows XP და MS Word) ცოდნა;

ბ) სპეციალური დანიშნულების რაზმში:

– სამმართველოს უფროსის მოადგილე – 2 საშტატო ერთეული;

საკვალიფიკაციო მოთხოვნები: შესაბამის სამსახურში მუშაობის არანაკლებ 1 წლის გამოცდილება;

– უფროსი ინსპექტორი – 5 საშტატო ერთეული;

საკვალიფიკაციო მოთხოვნები: უმაღლესი განათლება, საჯარო სამსახურში მუშაობის გამოცდილება;

– ინსპექტორი – 18 საშტატო ერთეული

საკვალიფიკაციო მოთხოვნები: დადებითი პიროვნული თვისებები;

კონკურსში შეიძლება მონაწილეობა მიიღოს არანაკლებ 21 წლის და არა უმეტეს 35 წლის (ასაკობრივი შეზღუდვები არ ვრცელდება, პირებზე, რომლებსაც აქვთ ოპერატიულ ან საგამოძიებო სამსახურებში ან სპეციალობით მუშაობის 10 წლის გამოცდილება) საქართველოს ქმედუნარიანი მოქალაქე, რომელმაც იცის სახელმწიფო ენა, პიროვნული თვისებებით, ფიზიკური მომზადებით, ჯანმრთელობის მდგომარეობით შეუძლია შეასრულოს მასზე დაკისრებული მოვალეობები, ასევე აკმაყოფილებს „ფინანსური პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილ სხვა მოთხოვნებს;

კონკურსში მონაწილე კანდიდატები ვალდებული არიან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოში წარადგინონ შემდეგი საბუთები:

ა) წერილობითი განცხადება კომისიის უფროსის სახელზე;

ბ) ავტობიოგრაფია;

გ) განათლების ან შესაბამისი კვალიფიკაციის მოწმობის ასლი;

დ) პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ე) უკვე გაცემული შრომის წიგნაკი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

ვ) ოთხი ფერადი ფოტოსურათი – ზომით 3/4.

კონკურსი შედგება ორი ეტაპისგან – ტესტირებისა და გასაუბრებისგან, ხოლო სპეციალური დანიშნულების რაზმში მოხვედრის მსურველებისთვის – სპეციალური ფიზიკური ნორმატივების ჩაბარება და გასაუბრება.

ტესტირების პროგრამა და კონკურსის გავლის სხვა (ფიზიკური მომზადების ნორმატივები) პირობები დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2006 წლის 21 მარტის № 277 ბრძანებით (საკანონმდებლო მაცნე, 2006 წლის 23 მარტი № 39). სავარაუდო ტესტები გამოქვეყნებულია ფინანსური პოლიციის ვებ-გვერდზე www.finpol.gov.ge

**საბუთები მიიღება 2006 წლის 26 ივნისიდან 11 ივლისამდე (გარდა არასამუშაო დღეებისა) 10 საათიდან 18 საათამდე (შესვენება 13 საათიდან 14 საათამდე), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ფინანსური პოლიციის ადმინისტრაციულ შენობაში, მისამართი უნივერსიტეტის ქუჩა 2.**

**დამატებითი ცნობებისთვის გთხოვთ დარეკოთ ტელეფონებზე: 241453, 241437, 235209.**

**საქართველოს ფინანსთა სამინისტრო**

# იცოდით?

**ჩვენმა მკითხველმა კარგად იცის, თუ რა ორომტრიალია სახელმწიფო პოლიტიკაში. იცის, იმიტომ, რომ დღეს ველარავის მოატყუებ. იცის ისიც, რომ ორჯერ ორი ყველა დროში ოთხია, მაგრამ არ იცის, რომ:**

●ჩვენში თავის დაქნევა (ზემოდან ქვემოთ) თანხმობის ნიშანია. არაერთი ლამაზი გოგო გაზედნიერებულა და „ჩამჯდარა" ოჯახში ასეთი ჟესტით.

ჩვენს მოძმე (შორს რატომ წავიდეთ?) ბულგარეთში თავის დაქნევა, უარის ნიშანია. თავის გაქნევა კი, პირიქით: თანხმობის.

●ერთადერთი გველია (მსოფლიო მასშტაბით), რომელიც კვერცხს არ დებს, ცოცხლად შობს უსაკეისროდ. ეს გახლავთ გველი — ანაკონდა.

● **„რამდენი ვინმე**
**კოხტაობს ჯიქნით**
**ნამზითვი — ვერცხლით,**
**სამზითვო წიგნით**
**კეკლუცობს — წარბებს**
**მაშებით იქნის**
**ატლასი გარეთ —**
**ჩათლახი შიგნით".**

ფრანგი ავტორის ფრანსუა ვიიონის ლექსის „გადმორემიქსებული" ვარიანტის ავტორი ჩვენი უსაყვარლესი პოეტი ტარიელ ჭანტურია გახლავთ.

●მუსლიმანთა ღვთაება და წინასწარმეტყველი მუჰამედი ცხოვრებაში რეალური პიროვნება გახლდათ, მაგრამ ცოტამ თუ იცის, რომ იგი... ეპილეფსიით იყო დაავადებული.

●საჭურისები (თავისი უბედურება ჰყოფნით) თურმე ერთი (ღმერთი ყველას იფარავს) დადებითობით გამოირჩევიან ჩვეულებრივი მოკვდავებისგან... რა, ბატონო და... არ მელოტდებიან...

●ბევრი ქალია, რომელიც ქმარს ვერ იტანს. უბრალოდ, არ უყვარს ქმარი და როგორც იტყვიან — „მოკალი, თუ გინდა". ეს სერიოზული დაავადებაა და ამ დაავადებას ანდროფოზია ჰქვია.

● ჰანიბალმა ცალი თვალი გაციების (თითქმის გრიპი) შემდეგ დაკარგა.

● ლეგენდარულ ჟანა დარკს მთელი ღამე არ ეძინა. უძილობის მიზეზი ის იყო, რომ მომწიფების ასაკიდან ჩაესმოდა იდუმალი ხმა: „საფრანგეთი შენ უნდა იხსნა"!

... ინგლისელების მომხრე, ბურგუნდიელების მიერ კოცონზე დამწვარი ორლეანელი ქალწული წმინდანად 1920 წელს გამოაცხადა კათოლიკურმა ეკლესიამ.

● **„სიკვდილი არავის უნდა"** — ეს აქსიომაა. ჩვენს რეალობაში (საქართველოს ვგულისხმობ) საუბედუროდ დღეში 100 კაცი (დაახლოებით,) კვდება — იღუპება.

ტრაგიკულად, როგორც იტყვიან, „ძალდაუტანებლად" ცნობილ ადამიანთაგან დაიღუპნენ: მითრიდატე პონტოელი, კლეოპატრა, ანტონიუსი, გალაკტიონი, პაოლო იაშვილი, გერინგი, ჰემინგუეი, გებელსი, ესენინი, იუდა ისკარიოტელი, ციცერონი, პუშკინი, ბრუტუსი, ლერმონტოვი, ილია ჭავჭავაძე, ცვეტაევა, ციცერონი, სოკრატე, კეისარი, კალიგულა, პომპეუსი, მაიაკოვსკი, ორჯონიკიძე და კიდევ ...

**მურმან მერკვილიშვილი**

## ◉ კაკალ გულში

# ქიპიტაურებო, ნაბიჯით იარ!..

**აგერ, მერამდენე ზაფხულია, რაც ჩვენი ლამაზი გოგონები (შიგადაშიგ, მოახალგაზრდავო ქალბატონებიც) ჭიპსაბურავს „იწყვეტენ" და ისე დააბიჯებენ. მერამდენე ზაფხულია, რაც თავს ვიმტვრევ (საქმე მაინც არაფერი მაქვს): რა ისეთი ესთეტიკურობა სჭირს ჭიპს (ვთქვათ, მკერდისაგან განსხვავებით), რომ მოშიშვლების უფლება მოუპოვებია?..**

საგულისხმო კიდევ აი, რა არის: თუ კაცს (მამაკაცს!) ღმერთი გაგიწყრა და თვალი თავისუფალი „ეკონომიკური" ზონისაკენ გაგექცა და თუ „ჭიპშიშველმან" ეს შეამჩნია, უმალვე მოკლე მაისურს ქვემოთ ექაჩება დასაფარავად სიტიტვლისა. შე დალოცვილო, თუკი ასეთი რე-აქცია (გქონდეთ რეაქცია!) გიჩნდება, ან ჭიპს რაღას აჩენდი და ან გრძელ მაისურს რად არ იცვამდი?..

ტელეკომპანიებს ერთ მოკრძალებულ სარეკლამო იდეას ვთავაზობ: კიდევ რამდენ ზაფხულს გასტანს საქართველოში ქიპიტაურობის მოდა?..

**სურა მელია**



## ◉ ჟამი სტუმარ-უმასპინძლობისა



— ნუ შეწუხდები, საყვარელო, არ მჭირდება გაცილება!

— რას ამბობ, ძვირფასო, ვერ წარმოიდგენ, როგორ მსიამოვნებს სტუმრის გაცილება.

მხატვარი ამირან ერაძე



— უნდა მოვკლა, სტუმარს უკბინა!

— კარგი უქნია, რა დროს სტუმარია ამ გაჭირვებისას!

## ◉ ლათაიები

— ტასიკო, სად შეხვდი ახალ წელს?

— როგორც ყოველვის — ლოგინში!

— ხალხი ბევრი იყო?

* * *

ბენიას ჰკითხეს, ბიჭო, გამაგებინე, დილიდან საღამომდე ამდენი სისულელის თქმას როგორ ასწრებო და.. ძამა, ნამეტანი ადრე ვდგებიო.

* * *

გურული მატარებლით მოსკოვში მიდის. როსტოვთან მოსწყურდა, ვაგონიდან ჩამოვიდა და წყლის შადრევნისკენ გაემართა. ამ დროს ელმავალმა შეჰკივლა და ადგილს გადარეულივით მოსწყდა. გაშრა მგზავრი, მაგრამ ძალა მოიკრიბა და მემანქანეს მიაძახა:

— ჰო, იარე, იარე მასე შტერივით და იმასაც ვნახავ, რამდენ კაცს ჩეიყვან მოსკოვში!

* * *

— მურაზ, შენი მდივან-მემანქანე როგორ იცმევს?

— ძალიან სწრაფად!

## ◉ სცენის გარეთ

### ახმეტელის თეატრის მსახიობი გოგა გორგასანიძე

### შესანდობარი

თენგიზ ჩანტლაძეს გერმანული ნაგაზი „ჯულბარსი" ჰყავდა, რომელიც შვილივით უყვარდა. ყველგან თან მიჰყავდა. „ჯულბარსს" საუკეთესო კვება ჰქონდა, „ტუშონკებიც" არასოდეს აკლდა. ქობულეთში გასტროლებზე ვართ. მსახიობების დღიური თანხა 2 მანეთი და 50 კაპიკია. გამოდის, რომ ძაღლი ჩვენზე უკეთესად იკვებება. მე და ჩემს მეგობარს ნოდიკო ხუციშვილს სულ გვშიოდა. გადავწყვიტეთ — ერთი „ჯულბარსს" გარეთ გამოიტყუებს, მეორე „ტუშონკას" მოიპარავს. ასე ვიქცეოდით მთელი კვირა. მე და ნოდიკო გავსუქდით. ძაღლი გახდა და მე-8 დღეს მოკვდა. თენგიზი საშინლად დამწუხრდა. 500 მანეთი მოგვცა, მაშინ დიდი ფული იყო, გვთხოვა ძაღლი დამარხეთ და შესანდობარიც უთხარითო. ერთი კვირა „ჯულბარსის" სადღეგრძელოს ვსვამდით.

### ვირის როლში

ვაჟა-ფშაველას მიხედვით დადგმულ სპექტაკლში „ტყის შვილები" ვირს ვთამაშობდი. ერთხელ, მე და სცენის მუშამ ჭუტალამ ცოტა დავლიეთ. შემდეგ სპექტაკლისთვის მომზადება დავიწყეთ. მე ვზივარ საგრიმიოროში, რომელიც მესამე სართულზეა. ჭუტალაც იქვე, გარეთ საქმიანობს. ამ კაცს მსახიობი ქალი უყვარდა. დაინახა, რომ პირველ სართულზე ეს ქალი შემოვიდა. ჭუტალამ ქალს თვალი გააყოლა, გააყოლა და გადავარდა. ბრახანი რომ გავიგონე, ჯერ ქვევით ჩავქანდი, მერე ქუჩაში გავვარდი ტაქსის გასაჩერებლად. მაშინ მოჭადრაკებული ყვითელი ტაქსები დადიოდა. როცა მგზავრი არ იჯდა, მწვანე შუქი ანათებდა. ერთმა ტაქსიმ არ გამიჩერა, არც მეორემ, არადა ორივე ცარიელი იყო. მერე ყვირილი დავიწყე, კაცი კვდება-მეთქი, მაინც არ მიჩერებენ. თურმე რა ხდება: კუდი მაბია, თმა ყალყზე მიდგას, მაისური მაცვია დიდი წარწერით „ოლიმპიადა 80", ერთი სიტყვით, ვირი ვარ.

ჩაიწერა
**ნანული ზოტიკიშვილმა**

## ◉ ანეკდოტები

**— რა ჰქვია ამ არაყს?**

**— „ბუმერანგი". დალევ — გიბრუნდება, დალევ — გიბრუნდება...**

* * *

**კვდება მიხო. გარს ეხვევიან შვილები, შთამომავლები.**

**— ჩემი განძი ჩავმარხე... — ჩურჩულიც უჭირს მიხოს.**

**— სად, მამი, სად ჩამარხე?**

**— მიწაში.**

**— უფრო ზუსტად?**

**— მაშინ ჩაიწერეთ: მიწა მზიდან მესამე პლანეტაა...**

* * *

**მივლინებიდან დავბრუნდი სახლში. მაშინვე სამზარეულოში შევიხედე — არავინაა. მერე საძინებელში შევედი, არც იქაა ვინმე, სატოლის ქვეშაც ვერავის მოვკარი თვალი.**



**მერე გამოვაღე კარადის კარი და... „შვილო, დროა, ცოლი მოიყვანო", — მეუბნება შიგ მჯდომი დედაჩემი.**

* * *

**— თქვენი ბილეთი ზუგდიდამდეა, მატარებელი კი ფოთში მიდის, — ეუბნება კონტროლიორი სვანს.**

**— კიდევ კარგი, რომ მითხარი, ახლა თავს კი ვუშველი, მაგრამ ეს თქვენი მემანქანე ასე ხშირად ცდება?**

* * *

**ლოთი ძაღლთან ერთად წავიდა სათევზაოდ და ოქროს თევზი დაიჭირა.**

**— გამიშვი, ლოთო, და ნებისმიერ სამ სურვილს შეგისრულებ...**

**— მაგარია! აბა, ერთი კასრით ცივი ლუდი ჩამომიდგი, ძაღლს ძვალი მიეცი და შენ კი „დაკაპჩონდი".**

* * *

**— გიყურებ და ვფიქრობ, რას გააკეთებდი, რომ არ ყოფილიყო არც ტელევიზორი, არც გაზეთები, არც კომპიუტერები და ავტომობილები, და ყოფილიყო მხოლოდ თოკი, საპონი და კაუჭი?**

## ◉ თბილ-თბილი ახალი ამბები

●ქართველმა პოლიციელებმა დააკავეს სამი ტერორისტი, რომელთაგან სამი თვითმკვლელის ქამარი ამოიღეს, რის შედეგადაც სამ პოლიციელს შარვალი აღარ სძვრება.

●ქართული ღვინის ხარისხის დაცემის გამო თბილისელმა ლოთებმა სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინ ორსაათიანი გამაფრთხილებელი ალკოჰოლური შიმშილობა, ანუ „პახმელია" გამოაცხადეს.

●თბილისის მერიამ გაითვალისწინა ავტომობილების მფლობელთა ინტერესები და მიღებული დადგენილებით, ფასიანი ავტოსადგომებიდან მანქანის გატაცების შემთხვევაში მფლობელს მთლიანად აუნაზღაურდება დგომისთვის გადახდილი თანხა.

●მათემატიკურ მეცნიერებაში უსამართლობის აღკვეთის მიზნით, საქართველოს პარლამენტი ამზადებს კანონპროექტს, რომლის მიღების შემდეგ, ერთჯერ ერთის ანალოგით, ორჯერ ორი ორი იქნება.

●ჯანდაცვის სამინისტროს გადაწყვეტილებით, 2007 წლის 30 თებერვლიდან, 70 წელს გადაცილებულ პენსიონერ ქალებს უფასოდ მოემსახურებიან საქართველოს სამშობიაროები.

●საკურორტო სეზონის მოახლოებასთან დაკავშირებით, რკინიგზის დეპარტამენტის გადაწყვეტილებით, დაინიშნა მატარებლების ახალი მარშრუტი „თბილისი-თბილისი", თბილისის გავლით. მგზავრობა უფასოა.

●საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს საპრივატიზაციოდ გააქვს ფაბრიკა-ქარხნების, სამეცნიერო და კულტურული დაწესებულებების შენობების გაყიდვის გამოცდილება. საწყისი ფასი 1 მილიონი დოლარი.

●ქართველმა სამართალდამცავებმა ქვეყანაში ნარკოტიკების შემოსვლის უდიდესი არხი — მოქალაქე ბაირამოვის უკანალი გადაკეტეს.

●გერონტოლოგებმა დაადგინეს, რომ მედიცინის განვითარების კვალდაკვალ ადამიანთა სიცოცხლის ხანგრძლივობა მცირდება. მათ მიერ გამოკვლეული ას წელს გადაცილებული ასი მოხუციდან 3 მეცხრამეტე საუკუნეში აღმოჩნდა დაბადებული, 97 — მეოცე საუკუნეში, ოცდამეერთე საუკუნეში კი — არც ერთი.

●ქართული მწერლობის გადარჩენისა და შემდგომი აღორძინების მიზნით, საქართველოს პრეზიდენტის მხარდაჭერით, საქართველოს მწერალთა კავშირის შენობაში იხსნება უფასო სასადილო 500 მწერლისათვის.

● სიღატაკის დაძლევის პროგრამის ფარგლებში დახმარების მიღებისათვის, დახმარების მიღების მსურველებმა შესაბამის კომისიებში უნდა წარმოადგინონ სამი-ოთხი შიმშილით მკვდარი ოთახის ბუზი საკუთარი ბინიდან.

**ილია ბარამიძე**

## ◉ სხარტულა

### დაცვაა, რაცაა!..

**თბილად ვიხსენებ**
**სტუდენტობას.**
**ეჰ, რა დრო იყო!**
**დაცვის გარეშე**
**დადიოდა**
**ბატონი ნიკო.**
**არ დიდკაცობდა,**
**ცხოვრებაში**
**ბევრის მნახველი,**
**და დასაცავად**
**ეყოფოდა**
**მხოლოდ სახელი...**

**გელა თელია**




საზაფხულო მოტივი

მხატვარი ამირან ერაძე

## მუნდიალი – 2006



# დაშლილი ჩეხეთი და გაღვიძებული რონალდო

**ჩეხეთმა ჩინებულად დაიწყო გერმანული მუნდიალი, მაგრამ კოლერის ტრავმამ მარტივ მამრავლებად დაშალა კარელ ბრიუკნერის გუნდი და ერთ-ერთი კერკეტი კაკალი სამშობლოში უსახელოდ, პირველი ეტაპის დასრულებისთანავე დაბრუნდა. ბუნებრივია, მიზეზები სხვაც არაერთია – თუნდაც ლოკვენცის დისკვალიფიკაცია და იტალიელებთან ყოფნა-არყოფნის მატჩში მინდორზე ახალგამოჯანმრთელებული ბაროშის იძულებით გამოჩენა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება – ფორუმი მისი ერთ-ერთი შესაძლო აღმოჩენის გარეშე დარჩა.**

ზემოთ „ე“ ჯგუფის ცენტრალური შეხვედრა ვახსენეთ და ბარემ აქვე ვიტყვით, რომ აპენინელებმა დამსახურებულად სძლიეს უხერხულ მეტოქეს – 2:0 (მატერაცი, ინძაგი), არადა, დებიუტში უფრო აგრესიულად სწორედ ნედველი და ძმანი მისნი გამოიყურებოდნენ. თითქოს მათთვის შვება სარბიელიდან დაშავებული ნესტას გასვლასაც უნდა მოეგვარა, მაგრამ პირიქით კი მოხდა – მისმა შემცვლელმა მატერაციმ ტოტის შესრულებულ კუთხურზე ზუსტი თავური შეაგება. აღსანიშნავია, რომ მეორე გოლიც რეზერვისტმა გაიტანა – აქამდე რატომღაც უგულებელყოფილმა ინძაგიმ ყველას შეახსენა, რომ თავისი საქმის პროფესიონალად რჩება.

როგორც იქნა, რონალდომაც შეწყვიტა მშრალი სერია, თანაც, ერთბაშად „დუბლით“, რითაც გერდ მიულერის სამუნდიალო რეკორდი გაიმეორა (14 გოლით, მისმა პარტნიორებმა კი ლეგენდარული თანამემამულე ზიკოს გაწვრთნილი იაპონელები კაფუს, რობერტო კარლოსის, ემერსონისა და ადრიანოს გარეშეც მოგუდეს – 4:1.

**გუშინ: ესპანეთი – საუდის არაბეთი 0:0, უკრაინა – ტუნისი 0:0.**

## სკანდალი

# ცოტაც და ბომბი აფეთქდება

**იტალიის ფეხბურთის ფედერაციამ გაავრცელა ოფიციალური განცხადება, რომლის თანახმადაც „სერია- ა“-ს წამყვან კლუბებს „იუვენტუსს“, „მილანს“, „ლაციოსა“ და „ფიორენტინას“ ბრალი წაეყენათ სპორტული თამაშის კოდექსის დარღვევაში.** გუშინ „ფედერკალჩიოს“ სააპელაციო კომიტეტში დაიწყო მოსმენები აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ გრანდთა კვარტეტს დამნაშავედ ცნობენ, მის თითოეულ წევრს „სერია-ბ“-ში დააქვეითებენ, რაც ავტომატურად ნიშნავს ევროტურნირებიდან მოკვეთასაც. ელიტური დივიზიონის კიდევ ორ ბინადარს „უდინეზესა“ და „სამპდორიას“ სოლიდური ფინანსური სანქციები ემუქრება. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის საგამოძიებო განყოფილების ხელმძღვანელის ფრანჩესკო სევერიო ბორელის ცნობით, გახმაურებული კორუფციული სკანდალის სასამართლო პროცესი 28 ივნისს აიღებს სტარტს, საბოლოო განაჩენს კი ფედერალური სასამართლო, სავარაუდოდ, 20 ივლისს გამოიტანს.



მაინც, რა შესცოდეს ასეთი პოტენციურმა შერისხულებმა? – დაგაინტერესებთ ალბათ.

გაუწყებთ, რომ ზედაპირზე ამოტივტივებული დანაშაულობანი საფეხბურთო სამყაროს თითქმის ყველა სფეროს მოიცავს, დაწყებული მსაჯების მოსყიდვით, დოპინგის გამოყენებით, თამაშების უკანონო ფსონების დადებითა და დამთავრებული თვით ფეხბურთელთა ბაზარზე გამოაშკარავებული ფინანსური მაქინაციებით. კერძოდ, საუბარია ისეთ სერიოზულ დარღვევებზე, რომელიც თან ახლდა თანამედროვეობის კაშკაშა ვარსკვლავების ზიდანის, კოვაჩევიჩის, კანავაროსა და იბრაჰიმოვიჩის ტრანსფერებს. სულ ეჭვი შეტანილია 41 კონტრაქტის მართლზომიერებაში.

ბუნებრივია, მუნდიალის პარალელურად განვითარებული სამარცხვინო მოვლენების შესახებ საკუთარი პოზიცია ოფიციოზმაც დააფიქსირა. „გამოძიება გრძელდება და იმ შემთხვევაში კი, თუ „სკუადრა აძურა“ მსოფლიოს ჩემპიონატს მოიგებს, ყველა დამნაშავე სათანადოდ დაისჯება“ – შეუვალია ქვეყნის სპორტის მინისტრი ჯოვანა მილანდრი. მემარჯვენე ორიენტაციის წარმომადგენელი ზოგიერთი პარტიის პოლიტიკოსთა აზრით, თუ ნაკრები გერმანიიდან ტრიუმფით დაბრუნდება, საბედისწერო ფაქტი დავიწყებას უნდა მიეცეს, მის გმირებს კი ამნისტია უნდა შეეხოთ. არიან ისეთებიც, ვინც გამოძიების დროებით შეწყვეტას მოითხოვს, რათა მარჩელო ლიპის ნაკრები გუნდის წევრებს კიდევ ერთხელ არ მიადგეთ ჩრდილი და მათ მიეცეთ გერმანიის სტადიონებზე მშვიდად გამოსვლის საშუალება.

ყველაფრის მიუხედავად, რომის, ტურინისა და ნეაპოლის პროკურატურებში გრძელდება იმ საფეხბურთო სკანდალის გამოძიება, რომელიც მაისის დასაწყისში იტალიური კლუბების მენეჯერთა სატელეფონო საუბრების მოსმენის შედეგად სამართალდამცავმა ორგანოებმა ააგორეს.

## ფეხბურთი

# მეზობელი კარისა

**გუშინ შვეიცარიაში მოეწყო ჩემპიონთა ლიგის პირველი და მეორე საკვალიფიკაციო რაუნდების კენჭისყრა, რომელმაც დაასახელა ბოლნისის „სიონის“ მომავალი მეტოქეები.**

11 (შინ) და 18 ივლისს კახი ცხადაძის გუნდი აზერბაიჯანის საუკეთესო კლუბს „ბაკის“ შეხვდება, მეზობელთა წინაღობის დაძლევის შემთხვევაში კი სოფიის „ლევსკის“. პირველი მატჩი ბულგარეთში გაიმართება.

* * *

ასევე გაირკვევა ჩვენი გუნდების მეტოქეები უეფას თასზე: „ამერი“ სომხეთის „ბანანცს“ უმასპინძლებს, ხოლო „ვიტ ჯორჯია“ სლოვაკეთის „არტმედიას“ შეხვდება.

## ავტომოტოსპორტი

# „ალისფერ ქალებს“ კვლავაც მოუხმობს გზა და ბუნება

**რამდენიმე წლის წინათ „ქალთა გაზეთის“ ინიციატივით ქართველმა მანდილოსნებმა თბილისიდან შავ ზღვამდე ავტოგადარბენა მოაწყვეს სახელწოდებით „ალისფერი ქალები მშვიდობისა და თანასწორობისთვის“. ამ ღონისძიებაში აქტიურად მონაწილეობდნენ მამაკაცებიც, მათ შორის ავტოსპორტის ცნობილი სპეციალისტები – ირაკლი ჯაჯანაშვილი და ალექსანდრე ჯანელიძე. ახლა ისინი ამზადებენ სომეხი კოლეგების თანადგომით ავტოგადარბენას თბილისი – ერევანი – თბილისის მარშრუტით, რომელიც ორ მეზობელ ერს შორის მეგობრობის განმტკიცებას შეუწყობს ხელს.**

ამ საქმის ინიციატორებს მხარში უდგანან მეგობრები – კოსტანტინე იაშვილი, გარიკ კოგოსოვი, ტარიელ გამყრელიძე და ჯემალ გულარაშვილი, რომლებიც ავტოსპორტში საქართველოს მრავალგზის ჩემპიონები, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატების გამარჯვებულები და პრიზიორები არიან. სწორედ მათი ერთსულოვნებით დაარსდა შარშან საქართველოს ავტო-მოტოსპორტისა და ტურიზმის ასოციაცია, რომლის მიზანია, სპორტის ამ სახეობების განვითარება და საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებაზე ზრუნვა, უცხოეთის მონათესავე ორგანიზაციებთან მჭიდრო კონტაქტების დამყარება.

– საქართველო სპორტისა და ტურიზმის ქვეყანაა, – გვითხრა ასოციაციის თავმჯდომარემ **ირაკლი ჯაჯანაშვილმა**, – ამიტომ ორივე სახეობას დიდი პერსპექტივები აქვს. ავტომოტოსპორტისა და ტურიზმის განვითარება თანხების მოზიდვასაც შეუწყობს ხელს.

ჩვენ მარტო არ ვართ – აქტიურად ვთანამშრომლობთ კარტინგის ეროვნულ ასოციაციასთან, რომელსაც იარკლი მჟავანაძე უდგას სათავეში. ამას წინათ სწორედ ამ ორგანიზაციასთან ერთად გავათამაშეთ ცნობილი ავტომრბოლის ოთარ ხარაძის სახელობის თასი კარტინგში. საქართველოს ავტომობილისტთა კლუბში (პრეზიდენტი დავით ნებიერიძე) გაერთიანებული პილოტები კი ჯერჯერობით ეროვნულ ჩემპიონატებსა და სამოყვარულო ტურნირებს მართავენ, მაგრამ მალე ისინი საერთაშორისო ღონისძიებებსაც მოაწყობენ.

**– ავტოტურიზმის გასავითარებლად რას გეგმავთ?**

– მოგეხსენებათ, საქართველოში ლამაზ ადგილებს თვლა არა აქვს. მათი ხილვით, დარწმუნებული ვარ, ბევრი ადამიანია დაინტერესებული. ამიტომ ერთი და ორდღიანი ღონისძიებების ორგანიზებაში დავეხმარებით მსურველებს. ბაკურიანი, ბორჯომი, ფასანაური... მიმზიდველი ადგილების მეტი რა არის. განსაკუთრებით შაბათ-კვირას მდინარეებისა და ტბების სანაპიროებზე კარვების გაშლითა და ღამისთევით გვინდა მოვაწყოთ ქალაქგარეთ გასვლა.



**– ყოველივე ეს კარგია, მაგრამ ამგვარი ღონისძიებები რისკთანაც არის დაკავშირებული. საგზაო მოძრაობის უსაფრთხოებას ვგულისხმობ...**

– ეს თემა მთელ მსოფლიოშია აქტუალური, განსაკუთრებით საქართველოში, სადაც საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების რაოდენობა ყოველწლიურად იზრდება. სამწუხაროდ, გარდაცვლილთა და დასახიჩრებულთა რიცხვიც მატულობს. ყოველივე ეს, უპირველესად, გამოწვეულია ავტოპარკისა და მოძრაობის ინტენსივობის გაზრდით, რასაც ემატება მანევრირებისა და რიგთაშორისი მოძრაობის წესების დარღვევა, დაშვებული სიჩქარის გადაჭარბება, შემხვედრ ზოლზე მოძრაობა, შუქნიშნების იგნორირება, არასწორი დგომა-პარკირება და სხვა სახის დარღვევები. მძღოლთა უმეტესობის პროფესიული მომზადების დონე დაბალია. საგულისხმოა ისიც, რომ მოუწესრიგებელია საგზაო ნიშნები და მონიშვნები. სავალ ნაწილზე მხოლოდ თეთრი ზოლის გავლება საქმეს ვერ შველის.

**– გამოსავალს რაში ხედავთ?**

– ყველა უწყება პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდოს მასზე დაკისრებულ მოვალეობას. რაც მთავარია, კანონმა უნდა იკანონოს. ასევე, ასამაღლებელია საჭესთან მსხდომთა პროფესიონალიზმი.

ასოციაციის შექმნისთანავე, გავხსენით მძღოლთა სპეცმომზადების უმაღლესი სკოლა, სადაც მეცადინეობები ჩვენი და უცხოელი სპეციალისტების მიერ შედგენილი სასწავლო პროგრამებით ტარდება. აქ უკვე გაიარეს მომზადება ძალოვანი სტრუქტურების სპეცდანიშნულების დანაყოფთა მძღოლებმა და კმაყოფილი დარჩნენ. შემუშავებული გვაქვს პროგრამა, რომლის მიხედვითაც კვალიფიკაციას ავუმაღლებთ სასწრაფო სამედიცინო დახმარების, პოლიციის, სახანძრო და დაცვის სამსახურების, ბანკის საინკასაციო და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მძღოლებს. თითოეულ სპეციალობას თავისი სპეციფიკა აქვს და ამ უნარ-ჩვევების დაუფლებაში მსურველებს მაღალი კლასის პროფესიონალები დაეხმარებიან. ჩვენს ორგანიზაციასთან ფუნქციონირებს ავტოსკოლაც, სადაც სწავლება თანამედროვე მოთხოვნების დონეზე შედგენილი პროგრამებით მიმდინარეობს. კურსდამთავრებულები გამოცდას საპატრულო პოლიციაში აბარებენ. ვიმედოვნებთ, რომ მძღოლთა პროფესიულ მომზადებასთან ერთად პოტენციურ ავტოპილოტებსაც ვზრდით, რომლებიც ჩვენი ასოციაციის ეგიდით გამართულ შეჯიბრებებში იასპარეზებენ.

**– და, ალბათ, ავტოტურიზმშიც მიიღებენ მონაწილეობას.**

– უეჭველად, ზემოთ აღვნიშნე და გავიმეორებ: საქართველო თავისი გეოგრაფიული მდებარეობით და ისტორიული წარსულით ოდითგანვე ბევრ ტურისტს იზიდავდა. ეს ბიზნესია და მის განვითარებაში ჩვენც შევიტანთ წვლილს. როგორც ქართველ, ისე უცხოელ ავტო-მოტო და ექსტრემალური სპორტის მოყვარულებს მრავალფეროვანი მარშრუტებით დავაინტერესებთ. საერთაშორისო ორგანიზაციებთან ერთად ახალგაზრდულ ბანაკებსა და ავტოგადარბენებს მოვაწყობთ, რითაც ქართული სტუმართმოყვარეობისა და ტრადიციების წარმოჩენასაც შევუწყობთ ხელს. ჩვენი ქვეყნის ღირსშესანიშნაობების დათვალიერებით, ბუნების წიაღში დასვენებით სტუმრებიც და მასპინძლებიც კმაყოფილი დარჩებიან.

ესაუბრნენ
**ვაჟა დანელია,
ხაჩატურ ვართანიანცი.**

## ორბიტაზე

### პრემიერ-მინისტრი — კომენტატორი

**სწორედ რომ, დროებით ფეხბურთის კომენტატორობა მოუწია ინგლისის პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერს ბი-ბი-სისთვის ინტერვიუს დროს, როდესაც ერთი მსმენელი დაინტერესდა, თუ რა აზრის იყო მთავრობის მეთაური ინგლისის ნაკრებში ფეხბურთელთა განლაგებაზე.**

ბლერმა უარყო ის მოსაზრება, რომ დროა, შეიცვალოს ნაკრების კაპიტანი დევიდ ბექჰემი. მან აგრეთვე აღნიშნა, რომ ინგლისელმა ფეხბურთელებმა თავი გამოიჩინეს მძიმე წუთებში.




„ამ ეტაპზე მთავარი ჩვენი გუნდის მხარდაჭერაა!“ – თქვა პრემიერ-მინისტრმა.

როგორც ბი-ბი-სი იუწყება, პრემიერ-მინისტრმა, რომელიც აქტიურად გულშემატკივრობს ინგლისის ნაკრებს და „ნიუკასლს“, თქვა, რომ უნდოდა შემტევ ნახევარმცველად ყოფნა, მაგრამ აღიარა, რომ ცუდად თამაშობს მარცხენა ფლანგზე.

ტონი ბლერმა ისიც აღნიშნა, რომ ფეხბურთის მწვრთნელისა და პრემიერ-მინისტრის მუშაობაში რაღაც საერთოც არის. მან თავი ერიქსონსაც კი შეადარა, ხოლო ეკოლოგიის მინისტრს უწოდა „მინისტრთა კაბინეტის უეინ რუნი“.

პრემიერ-მინისტრს არც ფეხბურთელთა „დაუშვებლად მაღალი ხელფასები“ გამორჩენია და შენიშნა, რომ ზელიმიტის შემოღება საქმეს ვერ უშველის, რადგან მოთამაშეებს აიძულებს, საზღვარგარეთ ეძებონ უფრო დიდი მატერიალური ანაზღაურება.

ამის გარდა, ბლერმა, რომელიც გამოირჩევა ორატორის ოსტატობით, აღიარა, რომ მწვრთნელებისა არ იყოს, ზოგჯერ თავს არიდებს ძნელ კითხვებზე პასუხებს.

### ჰოკეისტს „აეკიდა“

**სასტუმროების იმპერიის „ჰილტონის“ სკანდალურად ცნობილმა მემკვიდრემ, 24 წლის პერის ჰილტონმა, უკვე რამდენიმე ფილმში – „პაემანი ვარსკვლავთან“, „ცვილის ფიგურების სახლი“, „დაიფიცე!“ – და სამოყვარულო პორნოკინოშიც რომ გადაიღეს, თანაც ცოტა ხნის წინათ ბერძენ გემთმფლობელ სტავროს ნიარჰოსს რომ გაშორდა, „გამოიჭირა“ კანადელი ჰოკეისტი ჟოზე ტეოდორი.**

ჰილტონების უმდიდრესი მემკვიდრემ, შემთხვევით რომ აღმოჩნდა კანადაში, რომელიღაც მუსიკალური პრემიის გადაცემაზე, „გვერდზე გაიხედა“ და კლუბ „კოლორადო ზველანშის“ მეკარე ჩაუვარდა ხელში. ჟოზე არასოდეს გამოირჩეოდა სპორტული რეჟიმის მკაცრი დაცვით, ახლა კი მკერდსავსე მილიონერი რომ დაინახა, ყველაფერი დაავიწყდა. – ცოლიც, მარტში დაბადებული ქალიშვილიც და პერისთან ერთად ჰილტონების ერთ-ერთ სასტუმროში განმარტოვდა „მუსიკის ფონზე საყვარელი კაფკას გადასაკითხად“.



# განცხადება

## სს „თბილელექტრო აპარატის“ ლიკვიდატორი აცხადებს ბალანსზე რიცხული ქვემოთ ჩამოთვლილი მასალების თავისუფალ გაყიდვას:

| № | მაკომპლექტებელი დეტალის დასახელება | განზომილების ერთეული | ფასი /ლარი/ | რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | 2 | 3 | 5 | 6 |
| 1 | მაგნიტური გამთიში პ6-121 | ცალი | 4,6375 | 8021 |
| 2 | სასიგნალო არმატურა ამე | ცალი | 0,025 | 361409 |
| 3 | სასიგნალო არმატურა ამე ტროპიკი | ცალი | 0,025 | 3305 |
| 4 | სასიგნალო არმატურა ოკ-73 | ცალი | 0,445 | 3994 |
| 5 | სასიგნალო არმატურა ასკმ-05 | ცალი | 0,45 | 603 |
| 6 | სასიგნალო არმატურა ასკმ-2 | ცალი | 0,45 | 681 |
| 7 | სასიგნალო არმატურა ასბ | ცალი | 0,475 | 74673 |
| 8 | სასიგნალო არმატურა ას-1260 | ცალი | 0,393 | 2496 |
| 9 | გადამრთველი 1 კლავიშიანი | ცალი | 0,375 | 15770 |
| 10 | შოჭინა | ცალი | 3,75 | 63 |
| 11 | ლუდის კათხა 0,5 ლიტრიანი | ცალი | 0,21 | 227 |
| 12 | ძაბრი დიდი | ცალი | 0,21 | 120 |
| 13 | გადამრანი | ცალი | 1,50 | 37 |
| 14 | საბავშვო სკამი | ცალი | 0,75 | 3 |
| 15 | ძაფის გადამხვევი | ცალი | 42,975 | 92 |
| 16 | კვების ბლოკი | ცალი | 165 | 6 |
| 17 | რკალმქრობი | ცალი | 4,50 | 2045 |
| 18 | ელექტრო ძალოვანი კარადა | ცალი | 431,625 | 2 |
| 19 | ფოლადის ღერო Ø12 | კგ | 0,75 | 40 |
| 20 | სარჩილავი | კგ | 4,50 | 10 |
| 21 | ფოლადის საზამბარე მავთული Ø0,5 | კგ | 0,20 | 644 |
| 22 | ფოლადის საზამბარე მავთული Ø0,6 | კგ | 0,20 | 478,5 |
| 23 | შესაფუთი ლენტა 0,25x14 | კგ | 0,05 | 650 |
| 24 | ფოლადის საზამბარე ლენტა 0,2x16 | კგ | 0,25 | 50 |
| 25 | ფოლადის საზამბარე ლენტა 0,25x14 | კგ | 0,25 | 27 |
| 26 | ფოლადის საზამბარე ლენტა 0,4x100 | კგ | 0,25 | 1494 |
| 27 | ფოლადის საზამბარე ლენტა 0,8x63 | კგ | 0,25 | 282 |
| 28 | ფოლადის საზამბარე ლენტა 0,4x22 | კგ | 0,25 | 50 |
| 29 | სლუდოპლასტი პსდ-1 | კგ | 0,15 | 261 |
| 30 | სლუდა ს და ს ზომა | კგ | 0,07 | 390,41 |
| 31 | სტელაკოტკანი ლ.ს.მ. | მ | 0,125 | 80 |
| 32 | შესადუღებელი წნელი | კგ | 0,06 | 10 |
| 33 | ნატრიუმ ფტორიდი კ/ს | კგ | 0,10 | 280 |
| 34 | დიქლორიტანი | კგ | 0,05 | 3093 |
| 35 | ბარიუმქლორიდი | კგ | 0,075 | 94,5 |
| 36 | კალცინირებული სოდა | კგ | 1,00 | 22 |
| 37 | ტექნიკური ფირფიტა ს და ს ზომა 1-488 | კგ | 0,25 | 4854,5 |
| 38 | სოლიდოლი | კგ | 0,15 | 100 |
| 39 | რესპირატორის შემცვლელი | ცალი | 0,05 | 121 |
| 40 | ყურმსმენი | ცალი | 0,10 | 135 |
| 41 | პოლიეთილენის და რეზინის ფართუკები | ცალი | 0,20 | 18 |
| 42 | ფენოპლასტი | კგ | 0,98 | 140 |
| 43 | პოლისტიროლი გამჭვირვალე | კგ | 1,75 | 154 |
| 44 | პოლიკარბონატი | კგ | 2,00 | 40 |
| 45 | ნათურა КМ 6-50 | ცალი | 0,0005 | 142000 |
| 46 | ნათურა КМ-24-90 | ცალი | 0,05 | 95800 |
| 47 | ნათურა ინ-36 ივლIh | ცალი | 0,005 | 726555 |
| 48 | ნათურა ინ-35 | ცალი | 0,005 | 62600 |
| 49 | ნათურა ТЛЗ 3-2 | ცალი | 0,25 | 1350 |
| 50 | ნათურა 36/60 | ცალი | 0,005 | 1153 |
| 51 | ნათურა 24/40 | ცალი | 0,005 | 137 |
| 52 | ნათურა Ц -110 | ცალი | 0,30 | 600 |
| [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] | [illegible] |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 186 | [illegible] | ცალი | 10,00 | 10 |
| 187 | [illegible] | ცალი | 0,50 | 8 |
| 188 | [illegible] | ცალი | 0,50 | 2 |
| 189 | [illegible] | ცალი | 0,50 | 6 |
| 190 | [illegible] | ცალი | 12,00 | 1 |
| 191 | [illegible] | ცალი | 0,50 | 1 |
| 192 | [illegible] | ცალი | 0,005 | 2 |
| 193 | [illegible] | ცალი | 0,0001 | 60 |
| 194 | [illegible] | ცალი | 0,01 | 2 |
| 195 | [illegible] | ცალი | 0,50 | 20 |
| 196 | [illegible] | ცალი | 0,01 | 2 |
| 197 | [illegible] | ცალი | 0,005 | 5 |
| 198 | [illegible] | ცალი | 0,50 | 1 |
| 199 | [illegible] | ცალი | 0,015 | 1 |
| 200 | [illegible] | ცალი | 0,015 | 2 |
| 201 | [illegible] | ცალი | 0,01 | 1 |
| 202 | [illegible] | ცალი | 0,50 | 1 |
| 203 | [illegible] | ცალი | 0,01 | 8 |
| 204 | [illegible] | ცალი | 0,50 | 1 |
| 205 | [illegible] | ცალი | 0,005 | 40 |
| 206 | [illegible] | ცალი | 0,005 | 1000 |
| 207 | [illegible] | ცალი | 0,005 | 600 |
| 208 | [illegible] | ცალი | 0,005 | 100 |
| 209 | [illegible] | ცალი | 10,00 | 2 |
| 210 | [illegible] | ცალი | 80,00 | 6 |
| 211 | [illegible] | ცალი | 100,00 | 6 |
| 212 | [illegible] | ცალი | 1,00 | 6 |
| 213 | [illegible] | ცალი | 100,00 | 10 |
| 214 | [illegible] | ცალი | 0,001 | 5 |
| 215 | [illegible] | ცალი | 0,0002 | 31000 |
| 216 | [illegible] | ცალი | 0,002 | 1 |
| 217 | [illegible] | ცალი | 0,0005 | 85 |
| 218 | [illegible] П6-12 | 1000 ცალი | 0,50 | 2650 |
| 219 | კონდენსატორი МБГЧ-1-2Б | ცალი | 0,01 | 1200 |
| 220 | კონდენსატორი МБГЧ-1-2Б | ცალი | 0,01 | 1200 |
| 221 | კონდენსატორი К10-62 Н90 315 В 4700 пф | ცალი | 0,01 | 600 |
| 222 | კონდენსატორი МБГЧ-1-1 | ცალი | 0,01 | 144 |
| 223 | კონდენსატორი МБМ [illegible] мф | ცალი | 0,10 | 460 |
| 224 | კონდენსატორი МБМ [illegible] мф | ცალი | 0,10 | 770 |
| 225 | კონდენსატორი К10-7В [illegible] мф | ცალი | 0,10 | 900 |
| 226 | კონდენსატორი МБМ [illegible] мф | ცალი | 0,10 | 40 |
| 227 | კონდენსატორი К73-17 250 В х 0,1 мф | ცალი | 0,10 | 2179 |
| 228 | კონდენსატორი К73-17 250 В х 0,1 мф | ცალი | 0,10 | 100 |
| 229 | კონდენსატორი К73-17 250 В х 0,047 мф | ცალი | 0,10 | 900 |
| 230 | კონდენსატორი КБГС | ცალი | 0,10 | 30 |
| 231 | კონდენსატორი КБГ-И 600х40 0,47 | ცალი | 0,10 | 30 |
| 232 | კონდენსატორი К-713 Н800, 0,022 мф | ცალი | 0,10 | 100 |
| 233 | კონდენსატორი К50-6 16В х 500 мф | ცალი | 0,10 | 47 |
| 234 | კონდენსატორი К50-16 25В х 10000 мф | ცალი | 0,10 | 10 |
| 235 | კონდენსატორი [illegible] Н90 33 пф | ცალი | 0,10 | 100 |
| 236 | კონდენსატორი К10-7В М750 51 пф | ცალი | 0,10 | 100 |
| 237 | კონდენსატორი К10-7В Н90 68 пф | ცალი | 0,10 | 100 |
| 238 | კონდენსატორი К10-7В 470 пф | ცალი | 0,10 | 100 |
| 239 | კონდენსატორი К73-17 250 В х 0,47 мф | ცალი | 0,10 | 600 |
| 240 | [illegible] | ცალი | 0,01 | 1971 |
| 241 | [illegible] | ცალი | 0,00005 | 100 |
| 242 | [illegible] | ცალი | 0,005 | 32 |
| 243 | [illegible] | ცალი | 0,20 | 1 |
| 244 | [illegible] | ცალი | 0,0125 | 64 |
| 245 | [illegible] | ცალი | 0,01 | 20 |
| 246 | [illegible] | ცალი | 0,20 | 54 |
| 247 | [illegible] | ცალი | 0,10 | 50 |
| 248 | [illegible] | ცალი | 0,20 | 470 |
| 249 | [illegible] | ცალი | 0,10 | 6 |
| 250 | [illegible] | ცალი | 0,05 | 1 |
| 251 | [illegible] | ცალი | 0,50 | 1 |
| 252 | [illegible] | [illegible] | 60,00 | 1 |

ფასები მოცემულია დღგ-ს გარეშე

გაყიდვა შედგება 26 ივნისიდან 4 ივლისის ჩათვლით, ყოველდღე 10 საათიდან 19 საათამდე, მისამართზე: ქ. თბილისი, თორნიკე ერისთავის ქ. № 8.

სს „თბილელექტროაპარატის"
სალიკვიდაციო კომისია.

# მცხეთის რაიონის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის მუდმივმოქმედი კომისია აცხადებს

# აუქციონს

**შემდეგ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობებზე:**

1. მცხეთის რაიონის ძეგვის საკრებულოს ტერიტორიაზე, ქ. მცხეთიდან სოფ. ძეგვში მიმავალი საავტომობილო გზის მარცხენა მხარეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ 800 მ² (მიწის სარეგისტრაციო № 721104282ძ მიწის ფართობი;

2. ქ. მცხეთაში, მუხრანის ქ. № 28 საცხოვრებელი კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 60 მ² (მიწის სარეგისტრაციო № 720747139ძ მიწის ფართობი;

3. ქ. მცხეთაში, № 1 საშუალო სკოლის მიმდებარე ტერიტორიაზე სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 740 მ² (მიწის სარეგისტრაციო № 720704309ძ მიწის ფართობი;

4. ქ. მცხეთაში, სამხედროს ქ. № 2 საცხოვრებელი კორპუსის სიახლოვეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 25 მ² (მიწის სარეგისტრაციო № 720704314ძ მიწის ფართობი;

5. მცხეთის რაიონის დაბა ზაჰესის ტერიტორიაზე, რეაქტორის მიმდებარედ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 0,25 ჰა (მიწის სარეგისტრაციო № 721204262ძ მიწის ფართობი;

6. მცხეთის რაიონის სოფ. ძეგვში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 3000 მ² (მიწის სარეგისტრაციო № 721105281ძ მიწის ფართობი;

საწყისი გასაყიდი ფასია:

I პუნქტად გამოცხადებული 800 მ² (მიწის სარეგისტრაციო № 721104282ძ მიწის ფართობი. 1 მ² – 10 (ათიძ ლარი, სულ 8000 (რვა ათასიძ ლარის ოდენობით.

II პუნქტად გამოცხადებული 60 მ² (მიწის სარეგისტრაციო № 720747139ძ მიწის ფართობი. 1 მ² – 12.69 (თორმეტიძ ლარი 68 თეთრი, სულ 760.80 (შვიდას სამოციძ ლარი 80 თეთრის ოდენობით.

III პუნქტად გამოცხადებული 740 მ² (მიწის სარეგისტრაციო № 720704309ძ მიწის ფართობი. 1 მ² – 40 (ორმოციძ ლარი, სულ 29600 (ოცდაცხრა ათას ექვსასიძ ლარის ოდენობით.

IV პუნქტად გამოცხადებული 25 მ² (მიწის სარეგისტრაციო № 720704314ძ მიწის ფართობი, 1 მ² – 12.68 (თორმეტიძ ლარი 68 თეთრი, სულ 317 (სამასჩვიდმეტიძ ლარის ოდენობით.

V პუნქტად გამოცხადებული 0,25 ჰა (მიწის სარეგისტრაციო № 721204262ძ მიწის ფართობი, 1 მ² – 7 (შვიდიძ ლარი, სულ 17500 (ჩვიდმეტი ათას ხუთასიძ ლარის ოდენობით.

VI პუნქტად გამოცხადებული 3000 მ² (მიწის სარეგისტრაციო № 721105281ძ მიწის ფართობი, 1 მ² – 5 (ხუთიძ ლარი, სულ 15000 (თხუთმეტი ათასიძ ლარის ოდენობით.

აუქციონის „ბე" შეადგენს გასაყიდი ფასის 10 პროცენტს. მყიდველის მიერ ნაკვეთის გამოსასყიდი თანხის გარდა გადახდილი უნდა იქნეს ობიექტის გასაყიდად მომზადებისათვის გაწეული ხარჯები.

აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთში გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30 კალენდარული დღის განმავლობაში. თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღის 12 საათზე, აუქციონი ჩატარდება განცხადების მიღებისათვის განსაზღვრული ვადის დამთავრების მეორე დღის 11 საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ნაკვეთს.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს „ბეს" გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი...

„ბეს" გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: მცხეთის რაიონის გამგეობა ანგ. № 33030001, სახალხო ბანკის კოდი 220101415, საიდენტიფიკაციო კოდი № 236033234. კომისიის მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. № 73. ტელ 8 (27-32ძ 27-27: 893 45-14-44.

**მცხეთის რაიონის გამგეობა.**
**„არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის მუდმივმოქმედი რაიონული კომისია".**



შვილები ნუნუ, დათო გამგონეიშვილები, რძლები ნინო კობახიძე, ლელა ცერცვაძე, ეთერ სუჯაშვილი, ლიდა ბალანჩივაძე, სიძე ირაკლი ნაფეტვარიძე, შვილიშვილები ბაქარი, ანა კუჭავები, თამუნა, ლევან ბუბაშვილები, ანა გამგონეიშვილი, შვილთაშვილები ნინი, გიორგი, სალომე, მძახლები, დისწულები, ძმისწულები იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ცაცა ძიგრაშვილი

პანაშვიდი 25, 26 VI 17 სთ, მის: ვაჟა-ფშაველას I შეს. № 3, ბინა 30, გამოსვენება 27 VI 15 სთ.

---

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო თანაუგრძნობს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს ქალბატონ ნათელა წიკლაშვილს დედის,

ნინო გურაშვილი – წიკლაშვილის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს, ახლობლებსა და მეგობრებს.

---

მერი, ოთარ, ნინო, თემურ ჩარკვიანები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი მეგობარი, ღირსეული პიროვნება, საქართველოს დამსახურებული ექიმი

ვალნინ ცხოვრებაშვილი

და თანაგრძნობას უცხადებენ ოჯახს.

---



მეუღლე ნაზი ქობალია, შვილები ლელა, გელა, სიძე ელგუჯა კიტია, რძალი ქეთევან ნოდია, შვილიშვილები კახა, გიორგი, ეკა კიტიები იუწყებიან

რევაზ
თოლორაიას

გარდაცვალებას.

პანაშვიდი 25, 26 VI 17 სთ, გამოსვენება 27 VI 15 სთ, დიღმის მასივი, II კვ., მე-3 კორპუსი.

---

ოთარი, ჯამბული, ჯუმბერი, ლუიზა, ზოია, ნათელა, რძლები ირა, მარინა, სიძე დემურ სირბილაძე შვილებით იუწყებიან სიძის

რევაზ თოლორაიას

გარდაცვალებას, სამძიმარს უცხადებენ დას ნაზი ქობალიას.

---

შვილი მანანა მაჭავარიანი, სიძე გოგა კოსტავა, შვილიშვილები ზუკა კოსტავა, ოთარ მაჭავარიანი, რძლები ნატა მახარაძე, ნინო აროშიძე, შვილთაშვილები, ბიძაშვილი ჯანიკო ნანეიშვილი, მარინა, გოგი, ზურიკო, ნატული ნანეიშვილები, გოგი თოფაძე, რამაზ, მერაბ, არჩილ ერქომაიშვილები, ბასა ლოლობერიძე, ალეკო ციბაძე, კოკო გრიგოლაშვილი ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

თამარ ნანეიშვილი-მაჭავარიანი

პანაშვიდი 25, 26 VI 16 სთ, დაკრძალვა 27 VI 15 სთ. მის: შანიძის (ყოფილი კალანდაძისძ 20.

---

## განცხადება

2006 წლის 30 ივნისს 11 საათზე ზესტაფონის რაიონული სასამართლოს შენობაში გაიმართება შპს „ზესტაფონის № 25 სსს „უჩას" კრედიტორების მეორე კრება. კრედიტორებს ვთხოვთ წარმოადგინონ თავიანთი პრეტენზიები.

გაკოტრების მმართველი. გ. ჯუღელი.


რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
98-96-32; 899 328576


## ინფორმაცია

### კონტრაბანდული ტვირთი ვერ შემოაპარა

**ფინანსური პოლიციის აჭარის სამმართველომ კონტრაბანდის ფაქტზე მურმან ნეფარიძე დააკავა. მან სარფის საბაჟოს გავლით სხვადასხვა სახის პროდუქცია, ავტონაწილები და ტანსაცმელი მალულად, ავტობუსის სამალავებით შემოიტანა.**

**ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა ავტობუსში ჩხრეკა სარფის საბაჟოს გადმოკვეთის შემდეგ ჩაატარეს და დამალულ კონტრაბანდას მიაგნეს.**

### ვინ ეწევა ამდენს?

**ფინანსთა მინისტრის ბრძანებით, თბილისში უაქციზო სიგარეტის რეალიზატორთა გამოსავლენად და პასუხისგებაში მისაცემად სპეციალური ჯგუფებია შექმნილი და განსაკუთრებული ღონისძიებებია დაგეგმილი. სპეციალური ჯგუფების კოორდინაცია ფინანსური პოლიციის პირველ ოპერატიულ-საგამოძიებო სამმართველოს დაევალა. ჯგუფებში ფინანსური პოლიციის თანამშრომელთა გარდა, თბილისის საგადასახადო და აქციზის გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციების თანამშრომლებიც მონაწილეობენ.**

**კომპლექსური ღონისძიებები თბილისში 19 ივნისს დაიწყო და 19 ივლისამდე გასტანს. სპეციალური ჯგუფები ყოველდღიურ რეიდებს ატარებენ უაქციზო სიგარეტის რეალიზაციის წერტილებში. გამოვლენილ რეალიზატორებს ადმინისტრაციული სახდელი ედებათ, უაქციზო სიგარეტი კი ჩამოერთმევათ. 20 ივნისს თბილისის ტერიტორიაზე ამოღებულია 4 700 კოლოფზე მეტი უაქციზო სიგარეტი, 21 ივნისს – 3 300 კოლოფი, 22 ივნისს კი 5 400-ზე მეტი კოლოფი უაქციზო სიგარეტი. უაქციზო სიგარეტის რეალიზატორი 50-მდე პირი ადმინისტრაციული წესით უკვე დაჯარიმებულია.**

**მედიანიუსი**

## ⊙ ერიჭა!!!

# ანსამბლი „რუსთავიც“ სომხური ყოფილა?!

**მხვდება ბადრი თოიძე – სახელგანთქმული ანსამბლის „რუსთავის“ დირექტორი, მოვიკითხეთ ერთმანეთი, ეს რა მოვისმინე ტელევიზიით, ამას მიმალავდით, თუ ანსამბლი რუსთავი სომხური იყო-მეთქი?.. სულ მიკვირდა, რატომ ჟღერს „რუსთავის“ შესრულებულ „ჩაკრულოში“ და „რაჭულ მრავალჟამიერში“ სომხური ჰანგები-მეთქი, იქნებ, ის შენი დეიდაშვილი ანზორ ერქომაიშვილიც სომეხია – ერგუმიანი-მეთქი...**

**ვიცინით, ვკვდებით სიცილით...**

არადა, სატირლადაა ჩვენი საქმე – ამ ჩვენს ძვირფას მეზობლებს და ქართლოსის ძმის – ჰაოსის შთამომავალთ, ყველაფერი, რაც კი ჩვენია და ასე გვეძვირფასება – ანბანით დაწყებული, „ვეფხისტყაოსნითა“ და მისი ავტორით, ციხეტაძრებითა და ტერიტორიებით დამთავრებული, სულ თავისი ჰგონიათ, ჰგონიათ კი არა, „საბუთებითაც“ „ამტკიცებენ“ თავიანთ „მოსაზრებებს“ და ამ ბოლო დროს მაინც, სულ სომხურად გაუტიეს.

კარგით, ერთი წამით დავუშვათ, რომ ქართული ანბანი, მართლაც მესროპ მაშტოცმა შეგვიქმნა ჩვენ საწყლებს, „ვეფხისტყაოსანი“ აშოტ რუსთაველიანმა დაგვიწერა, მაგრამ ასეთ აბსურდამდე შეიძლება მივიდეს ჩვენი „თანამოძმის“ აზროვნება, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ საოცრებად შერაცხული (პოლიფონიურობისა გამოძ ქართული ხალხური სიმღერა, სომხურიაო, გამოუცხადო?!

ჰოდა, ახლა უკვე (რაღა დროს სიცილიაძ სერიოზულად მიყვება ბატონი ბადრი:

– ამ ცოტა ხნის წინათ გერმანიაში მყოფი ქართული კამერული ორკესტრის წევრებს უნახავთ და გამოგვიგზავნეს ერთ-ერთი გერმანული ფირმის მიერ 2004 წელს გამოშვებული კომპაქტდისკი (70 ევროდ იყიდებაძ, რომელშიც შესულია ყოფილი საბჭოთა კავშირის ხალხთა სიმღერები – ძირითადად რუსული, და დისკსაც ამიტომ ჰქვია




(17) **Mravalzhamieri** (Trinklied) 3:05
aus Racha, Armenien (M.: Traditional/
T.: Volksmund) P. D. (P) 1994 Reader's
Digest/Mazur Media (4)
**Rustavi Chor, Armenien /**
**Anzor Erkomaishvili, Leitung**
ISRC us_rdg_02_19218

(6) **Tchakrulo** (Trinklied) 5:52
aus Kachetien, Armenien (M.: Traditional/
T.: Volksmund) P. D. (P) 1994 Reader's
Digest/Mazur Media (4)
**Rustavi Chor, Armenien /**
**Anzor Erkomaishvili, Leitung**
ISRC us_rdg_02_19212

„ტაიგის მონატრება“. აქ არის ორი **„სომხური“** სიმღერაც – „ჩაკრულო“ და „რაჭული მრავალჟამიერი“. დიახ, დიახ, არ გაგიკვირდეთ! **„მრავალჟამიერს“** მიწერილი აქვს – **რაჭა, სომხეთი**, ხოლო **„ჩაკრულოს“ – კახეთი, სომხეთი.**

აქვე ისიც არის მითითებული, რომ სიმღერებს ასრულებს **სომხური ანსამბლი „რუსთავი“.**

**– საიდან მოხვდა ეს ყველაფერი გერმანიაში, გერმანულ ფირმაში?** – ვეკითხები ბადრი თოიძეს.

– ჩვენ ვფიქრობთ, რომ რუსეთიდან. 1986-87 წლებში გამოვიდა „რუსთავის“ მიერ შესრულებული „100 ქართული სიმღერა“. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ფირმა „მელოდიას“ საავტორო უფლებები აილო მოსკოვმა, ჩვენ თავის დროზე კაპიკები გადმოგვიგდეს და ის გახდა უკვე ჩვენი სიმღერების მესაკუთრე. ჰოდა, როგორც უნდა და სადაც უნდა, ისე აგზავნიან ამ სიმღერებს.

**– კი, მაგრამ, სომეხი იყო გამგზავნი, სომხური სიმღერა რომ მიაწერა „ჩაკრულოს?“**

– აი, ვიძიებთ, ავიყვანეთ ადვოკატი, რომელიც არკვევს, საიდან მიილო გერმანულმა ფირმამ ეს ჩანაწერები ასეთი წარწერებით, როგორ გამოუშვა... იქნებ, სულაც, ფირმაში „იმუშავა“ ვინმემ... ამას ყველაფერს შევისწავლით და მანამ არ მოვეშვებით, სანამ სიმართლე არ გაირკვევა. ამის მიჩუმათება აღარ შეიძლება!..

**– კარგით, „ჩაკრულო“ და „მრავალჟამიერი“ სომხურია... ქართული სიმღერა არ არის შესული კომპაქტდისკში?..**

– როგორ არა – „სულიკო“, რომელსაც შავი ზღვის ფლოტის ვაჟთა გუნდი ასრულებს... აქვე ვიტყვი, რომ სიმართლის გარკვევაში ჩვენი კულტურის სამინისტროც დახმარებას გვპირდება. ეს საკითხი აუცილებლად უნდა დადგეს სამთავრობო დონეზე... „მოძმე“ სომხებს მადა გაეხსნათ, ახლა ქართული საგალობლების მითვისებაც უნდათ!..

**– ახია ჩვენზე, მიძინებულ ერს უარესი მოუვა!..**

**ვილენ მარდალეიშვილი**

## ⊙ ლარის კურსი

**24 ივნისიდან დადგინდა ლარის მიმართ უცხოური ვალუტების შემდეგი კურსები**

| | | | |
|---|---|---|---|
| ინგლისური გირვ. სტერლ. | 1 | 3,2765 | ლარი |
| აშშ დოლარი | 1 | 1,7774 | ლარი |
| ევრო | 1 | 2,2350 | ლარი |
| რუსული რუბლი | 1 | 0,0657 | ლარი |
| აზერბაიჯანული მანათი | 1 | 1,9835 | ლარი |
| სომხური დრამი | 100 | 0,4225 | ლარი |

## ⊙ რას არ გაიგებ...



### ფეთქებადი ბენ ლადენი

როგორც ერთ-ერთი არაბული ტელეარხი იუწყება, №1 ტერორისტი გატაცებით ადევნებს თვალს მსოფლიო ჩემპიონატს ფეხბურთში. ცხადია, ბენ ლადენი საუდის არაბეთის ნაკრებს გულშემატკივრობს და არავინ იცის, რას მოიმოქმედებს ფეთქებადი ხასიათის პატრონი უსამა სავარუდო გუნდის დასახმარებლად.



### ფარშევანგი პი

პატარა ინგლისურ სოფელში ფარშევანგმა ბენზინგასამართი სადგურის ტუმბოს ხმა დედალი ფარშევანგის გამომწვევ ძახილად აღიქვა და უდანაშაულო „პარტნიორი ქალის“ დაუფლება სცადა. თუმცა ფარშევანგის ეს საქციელია იმ ძალადობასთან, რომელიც ბენზინგასამართი სადგურები, „ნეფტეპროშის“ ეს ძალები ავტომფლობელების მიმართ იჩენენ, თანაც ყოველკვირა ახალ-ახალ ფასებს ადგენენ.

### „Uma2rman“



ჯგუფის წევრებმა, ძმებმა კრისტოვსკებმა გადაწყვიტეს კრასნოიარსკში ღამის კლუბ „კოლორადოელ მამაში“ დაესვენათ, მაგრამ ფეის-კონტროლმა ვერ იცნო ისინი, დრეს-კონტროლიდან კი უკან გამოაბრუნეს, ცუდად გაცვიათო! სტილი „მილიტარი“ დაუწუნეს და არც სულელური „ოლიმპიკები“ მოუწონეს: გამოდის, რომ ციმბირში არმანი არ უყვართ.

### ვინი პუჰის მეგობარი გოჭი დაიჩაგრა



თურქულმა ტელეკომპანიამ TRT უარი თქვა მთელ მსოფლიოში პაპულარული მულტფილმის „ვინი პუჰის“ ჩვენებაზე. გეგმები პუჰის მეგობარმა გოჭმა ჩაშალა (კარგი ვინმე კია, მაგრამ მაინც ღორიაო!ძ, რომლის ფირიდან ამოჭრა მართლმორწმუნე მაყურებლების საამებლად ვერ მოხერხდა.

## ⊙ მოდა

# ვერსაჩე, გუჩი – ვინ იქნება მესამე?!



**დიდი კუტიურეს ჯანი ვერსაჩეს მკვლელობის მიზეზი, როგორც ამბობენ, სასიყვარულო რომანი იყო. მისი მკვლელი ცნობილი ჰომოსექსუალი ენდრიუ ფილიპ კუნინია (მას კიდევ ოთხი მკვლელობა ედება ბრალადძ. სენსაციის მოყვარულმა ჟურნალისტებმა ახალი ვერსია შეთხზეს, რომლის თანახმადაც, მსოფლიოს საუკეთესო დიზაინერი მაფიასთან კონფლიქტის მსხვერპლი გახდა. მაფიამ კვალის გასაქრობად, ვერსაჩესა და ენდრიუს არატრადიციული რომანი მოიშველია, ანუ ეჭვიანობის ნიადაგზე თითქოსდა ენდრიუმ საყვარელი სიცოცხლეს გამოასალმა.**

ჯანი ვერსაჩეს მკვლელობიდან ერთი წლით ადრე გავრცელდა ხმები, რომ მისი იმპერია და სამოდელო სახლები სხვა იტალიელი დიზაინერების „ბინძური ფულის ჩამორეცხვის“ ერთ-ერთი საშუალება იყო. ეს სენსაციური ინფორმაცია მას შემდეგ გახდა დამაჯერებელი, რაც ვერსაჩეების ოჯახს ერთი წევრი გამოაკლდა, რომელსაც ავტომობილი დაეჯახა. სწორედ აქედან მომდინარეობს მკვლელობათა სერიების ჯაჭვი, რომელიც დიდი მოდელიერის სიკვდილმა დაასრულა.

სენსაციის მოყვარულმა ჟურნალისტებმა ვერსაჩეებისა და გუჩების ოჯახების ტრაგედია ერთმანეთს დაუკავშირეს.

90-იანი წლებიდან მოყოლებული მსოფლიოში ცნობილი დიზაინერის – გუჩის ოჯახის წევრები საიდუმლო ვითარებაში იღუპებოდნენ. მაშინდელი პრესა მიზეზად გუჩის ფირმის სამოდელო სახლების არასწორ პოლიტიკას ასახელებდა – დიდი დავა მიმდინარეობდა, თუ რა კუთხით წაეყვანათ „გუჩის საქმეები“. ერთნი თვლიდნენ, რომ ფირმის შემოქმედება წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ელიტურ, დახურულ სამოდელო სახლებში, სადაც ფასები გაცილებით მაღალი იქნებოდა და თუ ეს იდეა განხორციელდებოდა, მაშინ ისინი ელიტურ-მაფიოზური დაჯგუფებების გავლენის ქვეშ მოექცეოდნენ. მეორენი მიიჩნევდნენ, რომ დიზაინერს მოდელები შედარებით დაბალი ბაზრისთვის უნდა შეექმნა და ფასებიც შესაბამისად, დაბალი ყოფილიყო. სანამ ფირმა გუჩის ხელმძღვანელობა მოდის ინდუსტრიაში თავის ადგილს დაიმკვიდრებდა, პატენტურმა მარკებმა ფართო გაქანება ჰპოვეს და „გუჩის“ ბაზარზე გამოსვლისთვის არამყარი ნიადაგი მოამზადეს. მაშინ ფირმა კრიზისულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რაც მის ფინანსურ მდგომარეობაზეც აისახა.

როცა 1994 წელს გუჩის თავკაცი მოკლეს, ფირმის სათავეში გარეშე ძალებმა ამერიკელი ტომ ფორდი დანიშნეს და ამით მოდის ინდუსტრიაში თავიანთი ფსონი გააკეთეს. ახალგაზრდა დიზაინერმა ტომ ფორდმა შექმნილი სიტუაციიდან სწორი გამოსავალი მოძებნა, რასაც ფირმის პრესტიჟი და დიდი ფინანსური წარმატება მოჰყვა.

90-იან წლებში ვერსაჩესა და გუჩის ფირმები იდენტური აღმოჩნდა, მათ შემოქმედებითი კრიზისი დაეწყოთ, რასაც ფინანსური კრიზისიც დაემატა. თანდათან ვერსაჩეს სტილი სხვადასხვა მიზეზის გამო გაუბრალოვდა, თუმცა, მისთვის დამახასიათებელი ბევრი შტრიხი მაინც შეინარჩუნა.

თავდაპირველად ვერსაჩემ მოდის ინდუსტრია იტალიური ეგზოტიკით დაიწყო, რომელსაც პირობითად „ნეო ბაროკოს“ უწოდებენ. მისი სამოდელო სახლები განსაკუთრებულ ყურადღებას ახალგაზრდულ მიმდინარეობებს უთმობდნენ. მათი ერთ-ერთი მთავარი შეცდომა ის იყო, რომ გარკვეულ პერიოდში ვერსაჩეს ფირმის მომხმარებელი პოლიტიკაში მრავლად მოიძებნებოდა. ყველაფრის მიუხედავად, ჯანი ვერსაჩეს „ოქროს ღილების მოყვარულის“ იმიჯი შეექმნა, თუმცა, თავად მაესტროს ეს ნაკლებად მოსწონდა და იმიჯის შეცვლას გამუდმებით ცდილობდა. იგი პირველთაგანი იყო, ვინც ჯერ კიდევ 90-იანი წლების დასაწყისში XXI საუკუნის ჩაცმულობაზე ზრუნავდა.

ამჟამად ვერსაჩეს ფირმას მისი და – დონატელა ვერსაჩე ხელმძღვანელობს, რომელმაც საგვარეულო საქმიანობა განაგრძო და მოდელებს ავანგარდული ელემენტებიც შესძინა. XXI საუკუნე ვერსაჩეებისთვის ძალიან წარმატებული აღმოჩნდა. მათი აზრით, ამ საუკუნეში კიდევ ერთი ჯანი ვერსაჩე დაიბადება.

ასე რომ, მაფიოზური დაჯგუფებები თანდათან მოდის ინდუსტრიითაც დაინტერესდნენ – მოკლეს გუჩი, შემდეგ – ვერსაჩე, ვინ იქნება მესამე?!

**ლელა დონაძე**

**სურათებზე: ჯანი ვერსაჩე და მისი მოდელები.**






საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორის“ სტამბაში, რკინიგზის ჩიხი, 20.

დამფუძნებლები – გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ თანამშრომლები

გამომცემელი – შპს „ახალი საუკუნე“
მ. კოსტავას 14
ტ: 899 537616

მთავარი რედაქტორი რუსლან რუსია.
მორიგე რედაქტორი ოთარ ხუციშვილი

ინდექსი 66434,
მისამართი: 0108, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
მთავარი რედაქტორი: 98-96-34.
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: 98-96-33.
სარეკლამო განყოფილება: 98-96-32; 899 328576

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. წერილებში მოყვანილი ფაქტების უტყუარობაზე პასუხს აგებენ ავტორები, რომელთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

ავტორებს ვთხოვთ, კომპიუტერზე ანაწყობ 2-2,5 ნაბეჭდ გვერდზე მეტი მოცულობის სტატიებს ნუ შემოგვთავაზებენ.